F75 N839

საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ.,
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

შაბათი, 2 ოქტომბერი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 224 (1769)

დ ღ ი უ რ ი

- — პოლონეთის სეიმმა დაამტკიცა პოლონეთ - რუმინეთის ხელშეკრულება.
- — დაიწყო მოლაპარაკება გერმანიასა და ჩეხო - სლოვაკიას შორის სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ.
- — ჩან-ძო-ლინი ემზადება მონღოლეთზე გასალაშქრებლად.
- — მაღაროს მეპატრონეები წინააღმდეგი არიან საარბიტრაჟო სასამართლოსი.
- — მოსკოვში გაიხსნა სრულიად საკავშირო გეოლოგთა მეორე ყრილობა.

„კომუნისტის“ კანტორა
ხვალ, კვირას
ღია იქნება დღის 9 ს. შუადღის 4 საათ.
რუსთაველის პრ. № 34.

ჩვენი სიძნელენი და ოპოზიცია

(„პრავდა“-ს მოწინავე)

ის გარემოება, რომ ჩვენ ვიმყოფებით სოციალისტური ეკონომიის საფუძვლის ჩაყრის გარდატეხის ხანაში, არავისთვის საეჭვო არაა. მაგრამ ყველას როდი აქვს ნათელი წარმოდგენა ჩვენი აღმშენებლობის ამ თავისებურებაზე, ყველას როდი შეუძლია, როგორც ამბობდა ლენინი, „დაფიქრდეს ჩვენი ბრძოლის დღევანდელ საფეხურისა დღევანდელ ეტაპის თავისებურებაზე“ და ის ადამიანები, რომელთაც ვერ შეუგნიათ ჩვენი ხანის არსება და თავისებურება, მოჰყვებიან წუწუნს, სთესენ პანიკას და ერთი უკიდურესობიდან ხდებიან მეორე უკიდურესობაში.

ამ წუწუნს, რომელიც ხრწნის პარტიას, უნდა დაუპირისპირდეს ჩვენი სინამდვილის ფაქტების ცივი და ფხიზელი აღნუსხვა.

ხუთი წლის წინად ჩვენი ამოცანები მახლობელ წლებისთვის და მახლობელ ათეულ წლებისთვის, ლენინმა ჩამოაყალიბა საერთო ფორმულით, როგორც „მრეწველობის აღდგენა სახელმწიფოს მიერ მუშებისა და გლეხებისათვის საქონლის ხელსაყრელი გაცვლა-გამოცვლის მოწყობის“ ამოცანა:

უდავოა ის ფაქტი, რომ ჩვენ ამჟამად დავასრულეთ ჩვენი მეურნეობის აღდგენის პროცესის ძირითადი მხარე. არ შეიძლება ამ ფაქტის სათანადოთ არ დაფასება.

როცა ჩვენ 5 წლის წინად ვცდილობდით განგვეჭვრიტნა აღმშენებლობითი მუშაობის მოლი, ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზი ამ პროცესის დასრულებას უკავშირებდნენ 1930—1931 წ. ლენინურ გზაზე გადაუხვევლად სვლამ და ლენინურ კვეთილების შეთვისებამ მოგვცა საშუალება დაგვეჩქარებინა ამ მომენტის მოვება რამდენიმე წლით. ამ უკანასკნელ წლებში ჩვენ უზარმაზარი ნაბიჯებით მივაღწიეთ ამ პუნქტს.

მაგრამ მეორე მხრივ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ასეთი ტემპით მივედით რეკონსტრუქციის გრანდიოზულად მძიმე ამოცანებთან, რომელთა შესახებ ჩვენ წინად ვფიქრობდით, რომ ისინი ჩვენ წინაშე გაცილებით უფრო გვიან წამოიჭრებოდენ.

შემდეგ უდავოა ფაქტიც, რომ გვაქვს უდიდესი მიღწევა ჩვენს მეორე უმთავრეს ამოცანაში—საქონლის ბრუნვის დაპყრობის საქმეში. საბითუმო ბრუნვის 90% და საცალო 61%—სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხელშია. შეუძლებელია ამ ფაქტის სათანადოთ არ დაფასება. ხუთი წლის წინად ლენინი სწერდა „პროლეტარული სახელმწიფო უნდა გახდეს ფრთხილი, მომჭირნე ცოდნიანი მეურნე და დახელოვნებულად მოვაჭრე, წინააღმდეგ შემთხვევაში ის წვრილ გლეხურ ქვეყანას ვერ დააყენებს ფეხზე“. ჩვენ სრულის მშვიდით შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ამ ამოცანის უმთავრესი მხარე გავგვარეთ. მაგრამ სწორედ ეს გარემოება აყენებს ჩვენს წინაშე კიდევ უფრო ძნელ ამოცანას დავეუფლოთ მთელ საქონლის ბრუნვას და დავძლიოთ ანარქისტულ - ინდივიდუალურ - სპეკულატიური გაცვლა, რომელიც ხან იქ და ხან აქ წინ ეღობება ჩვენს მუშაობას. ამ მუშაობაში უნდა დავეყრდნოთ ჩვენს მიღწევებს საბითუმო ბრუნვაში. ჩვენ ეს ჯერ კიდევ ვერ შევისწავლეთ თუმცა წარსულმა წელმა, საქონლის შიმშილის პირობებშიაც კი მოგვცა ძვირფასი მასალა კერძო ვაჭრობის სახელმწიფოს მიერ მოცვის საქმეში.

შემდეგ უდავოა ის ფაქტი, რომ ჩვენ წარმოებაში და ვაჭრობაში მატებას მივაღწიეთ მხოლოდ იმით, რომ ზედმიწევნით ვიცავდით ლენინის დარიგებას გლეხობის მიმართ მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობის შორის ისეთი დამოკიდებულების შექმნა, რომელიც „ხელსაყრელი იქნება გლეხისთვის და მუშისთვის“ (ლენინი)—ასეთი იყო ჩვენი ბელადის [illegible]. ჩვენ შევასრულეთ ეს, მიუხედავად პარტიის ოპოზიციის გააფთრებული [illegible] ამ გზას და მიუხედავად ამავე ოპოზიციის ცდისა ჩამოერღვია კავშირი პროლეტარიატისა და ღარიბ გლეხობას შორის კულაკებთან კავშირის ნიღბით. გაძლიერებულ კულაკებთან ბრძოლას ჩვენ ვაწარმოებდით ლენინის კარნახით— პროლეტარიატის [illegible] ღარიბ და საშუალო გლეხ[illegible]რობით კულაკის გავლენისაგან საშუალო გლეხის განთავისუფლებისათვის.

ჩვენი ეხლანდელი განვითარების თავისებურებას, უკანასკნელ წლებთან შედარებით, ახასიათებს ჩვენი მუშაობის ტემპი. ბავშვობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ საქონლის ბრუნვის დასაპყრობად და წვრილ და უწვრილეს გლეხურ მეურნეობის სოციალისტურ კალაპოტში მოსაქცევად, ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქციის ახალი ამოცანების გადაჭრა შეიძლებოდეს ისეთივე ტემპით, როგორც აღდგენის ამოცანების. საშიში შეცდომა იქნებოდა ცდა დაგვეჩქარებინა ეს პროცესი ისე, რომ არ გაგვეწია ანგარიში ჩვენი რესურსებისათვის და დავმდგარიყავით გლეხობის მიერ პროლეტარიატისადმი ნდობის დაკარგვის საფრთხის წინაშე. ახალი ამოცანები გვიკარნახებენ გაცილებით მეტ სიმტკიცეს და გამძლეობას, ვიდრე ოდესმე, ვიდრე ხუთი წლის წინად. არ უნდა ავიშვათ თავი, არ უნდა ჩავშალოთ საზიანო ნახტომებით ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობა.

მაგრამ ამ თავისებურობაზე არ ფიქრობენ ჩვენი პარტიის „მჩხავანები“, მათ ვერ დაუძლევიათ ჩვენი უკანასკნელი ორი-სამი წლის განვითარებით გამოწვეული ინერცია და ვერ მიმხვდარან, რომ ეხლა მუშაობის სულ სხვა ტემპი უნდა ავირჩიოთ, თორემ დავიღუპებით. საკითხი ასე სდგას: ჩვენ ან გადავჭრით გრანდიოზულ ამოცანებს აუცილებელი სიფრთხილით, სიდინჯით, მაგრამ სწორად და მით გავამაგრებთ პროლეტარიატს, ან და გავყვებით ოპოზიციას, შევეცდებით გლეხობაზე გადაჭარბებული დაწოლით „ტემპის აწევას“, ავიშვებთ თავს და გადავამტერებთ რა ერთმანეთს პროლეტარიატს და გლეხობას, უეჭველად კისერს მოვტეხავთ პროლეტარიატის დიქტატურას. საკითხი ასე სდგას და არა სხვანაირად. რა თქმა უნდა,—ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა არის საშუალებათა დასაგროვებლად, მათი მომჭირნეობით დასახარჯავად და ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად გამუდმებითი, ბეჯითი, წვრილმანი და ყოველდღიური მუშაობის პოლიტიკა. მაგრამ ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს. ვისთვისაც მოსაწყენი, არა საინტერესო და გაუგებარია ეს მუშაობა, გავიმეორებთ ლენინის სიტყვებს. ვინც ზევით სწევს ცხვირს, ან ვარდება პანიკაში, ან თავს იბრუებს „წინანდელი აღტყინების“, „წინანდელი ენტუზიაზმის“ და სხ. დეკლარაციით, ის უმჯობესია „განთავისუფლდეს სამუშაოდან“ და ჩაბარდეს არქივს, რათა ვერ შესძლოს ზიანის მოტანა, ვინაიდან მას არ სურს ან არ შეუძლია გაიგოს „დღევანდელი ბრძოლის საფეხურის, დღევანდელი ეტაპის თავისებურება“.

პარტია ამჟამად ულენინოდ იჭერს უძნელეს ამოცანას არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში. მაგრამ პარტია საკმაოდ გამობრძმედილია. რათა ლენინის მაგალითის მსგავსად „ამხილოს“ „მჩხავანები“ და საქმით დაუმტკიცოს მათ, რომ ისინი კი არ ეხმარებიან, არამედ ხელს უშლიან მეურნეობის მშენებლობას, კი არ ეხმარებიან, არამედ ხელს უშლიან პროლეტარულ რევოლიუციას, გამოხატავენ არა პროლეტარულ, არამედ წვრილ-ბურჟუაზიულ მისწრაფებებს და სამსახურს უწევენ სხვა კლასს. ჩვენი ლოზუნგია „ძირს „მჩხავანები“!“ (ლენინი).

ჩვენ ამჟამად ყველაზე უფრო მძიმე დრო გვაქვს—საოპერაციო სამეურნეო წლის დასაწყისში—პურის დამზადება, მრეწველობის საოპერაციო გეგმების შედგენა, კოლექტიური ხელშეკრულებანი. საჭიროა ყველა ძირითად ხაზებზე შეთანხმებული, ფრთხილი და მოფიქრებული მუშაობა. გარეთ გვიდარაჯებს იმპერიალისტური მტერი, რომელიც მოუთმენლად ელის ჩვენი პარტიის რიგების გათიშვას. ამ დროს, როცა თვითოეული ძალა აღრიცხვაზეა აყვანილი როცა მუშაობა ასე ძნელია, წვრილბურჟუაზიული ოპოზიცია მიუტევებელი სიმჩატით უარყოფს პარტიის გადაწყვეტილებებს, ძირს უთხრის მის მთლიანობას, ემუქრება პარტიის საქმიან მუშაობას, სურს შეარყიოს პარტია ახალი გააფთრებული დისკუსიით, სურს თავს მოახვიოს პარტიას ოპოზიციონური ჯგუფის ხაზი, რომელიც უკუაგდო პარტიამ. მთელი პარტიული მასა შესძახებს „ხელს ნუ გვიშლით მუშაობაში! ჩვენი ლოზუნგია—ძირს მჩხავანები! მთელი პარტია იტყვის—რკინის დისციპლინისათვის! გაბედული ბრძოლა გამთიშველებს! ლენინის პარტიის მთლიანობისათვის“!

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 1 ოქტომბერი.

* * *

კოოპერატიული აპარატის გაუმჯობესება

კოოპერატიული აპარატის [illegible]გენლობის შერჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციის [illegible] მუშაობისა და განვითარებისათვის. კოოპერატიული აპარატი [illegible] ჩვენს კოოპერატიული მშენებლობის [illegible] მისი ყოველდღიური პრაქტიკული [illegible]ნობის გამტარებელს და ხელს. ხელსაყრელ პირობებში მყოფ [illegible]ტივსაც დაღუპავს მოელის, თუ [illegible]რატი უვარგისია და მართლაც, [illegible] მაგალითებია, როდესაც კ[illegible]ვი იღუპება გამგეობის უც[illegible]ის, დაუდევრობის და ზოგიერთ [illegible] ში ბოროტმოქმედების გამო.

კოოპერაციის ზრდა და ნ[illegible] განვითარება წარმოუდგენელ[illegible]რატიული აპარატის გაუმჯობ[illegible]რეშე. კოოპერაციის ხელმძღ[illegible]რატის გადახალისება ხდება [illegible] ახალი სამეურნეო წლის დასაწ[illegible]. კოოპერაციის წევრთა მთელი [illegible]ლებაც აქეთ უნდა იქნეს მი[illegible]. არჩევნები სწყვეტს კოოპერატი[illegible] წინასწარ განსაზღვრავს მის [illegible] საკმაო დიდი ხნით. ხელმძღვანელ ორგანოებში მომზადებულ და საიმედო პირთა გაყვანით უზრუნველყოფილია კოოპერატივის მომავალი. ამიტომ, კოოპერატიული მოსახლეობა დიდი სიფრთხილით, დაკვირვებით და მომზადებით უნდა შეხვდეს კოოპერატიულ არჩევნებს.

აუცილებლად საჭიროა, რომ კოოპერატივის კრების და არჩევნების შესახებ წინდაწინვე იცოდენ წევრებმა. ნაჩქარევათ და მოულოდნელათ მოწვეულ კრების მუშაობაში წევრები ვერ შესძლებენ აქტიური მონაწილეობის მიღებას, არჩევნებიც უწესრიგოთ ჩატარდება, რაც ხშირად შემდეგში აუარებელ საჩივრებს და მიწერ-მოწერას იწვევს და საკმაოდ დიდ დროს ართმევს კოოპერაციის წევრებს და მუშაკებს. კოოპერატივების წესდებებში ნაჩვენები კრების მოწვევის და არჩევნების ჩატარების წესები სავსებით უნდა იქნეს დაცული.

ხშირია შემთხვევები, როდესაც გამგეობა განზრახ აგვიანებს წლიური კრების მოწვევას. ისეთი მაგალითებიც არის, როდესაც ორ-სამ წელიწადში მხოლოდ ერთხელ იწვევენ კრებას და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც კოოპერატივი უკვე დაღუპულია და მისი ლიკვიდაცია აუცილებელი ხდება. რასაკვირველია, წევრებთან გამგეობის კავშირზე აქ ზედმეტია ლაპარაკი და წევრთა თვითმოქმედებაც ამ შემთხვევაში სრულებით არ სჩანს. თუ გამგეობა კრებას განზრახ არ იწვევს, შეიძლება მისი მოწვევა სარევიზიო კომისიის კოოპერატიული კავშირის და წესდებით განსაზღვრულ წევრთა ნაწილის მოთხოვნით. ყოველ შემთხვევაში, მარტო გამგეობაზე დანდობა დაუშვებელია და თავის კოოპერატივის ბედით პირველად ყოვლისა თვით წევრები უნდა იყონ დაინტერესებული.

კოოპერაციის ბედი თვით კოოპერაციის წევრთა ხელშია, კოოპერატიული კრება უმაღლესი ორგანოა კოოპერატივისა და მისი დადგენილებები სავალდებულოა გამგეობისთვის, სარევიზიო კომისიისათვის და კოოპერატივის ყველა მუშაკისთვის. კოოპერატიული აპარატის შესანახათ საკმაო დიდი თანხები იხარჯება და კოოპერაციის წევრებმა წლიურ კრებებზე უნდა შეამოწმონ, რამდენად მიზანშეწონილია ასეთი თანხების გაღება აპარატისთვის, რამდენად დაცულია მომჭირნეობა მის მუშაობაში, რამდენად ამართლებენ მისი ორგანოები და მუშაკები თავის დანიშნულებას.

საზოგადო კრებას დიდი დახმარება უნდა გაუწიოს ამ საკითხების გარკვევაში სარევიზიო კომისიამ, მაგრამ, სამწუხაროთ, ამ კომისიების უმრავლესობა უვარგისი და მოუმზადებელია თავისი დანიშნულებისთვის. ამაში დანაშაული მიუძღვისთ კოოპერატივის წევრებს, რომლებიც სარევიზიო კომისიის მუშაობას არ თვლიან იმდენათ საპასუხისმგებლოთ და მნიშვნელოვანათ, რომ მის წევრთა შერჩევას შესაფერი ყურადღებით მოეპყრან. ამიტომ ხშირია შემთხვევები, როდესაც სარევიზიო კომისიას მეტად სუსტი წარმოდგენა აქვს თავის კოოპერატივის მუშაობაზე და გამგეობაც სრულებით უკონტროლოთ მოქმედობს.

მოახლოვებულ არჩევნებში ეს ნაკლი, სადაც მას ადგილი აქვს უნდა გამოსწორდეს. სარევიზიო კომისიების შემადგენლობაში უნდა შევიდენ ისეთი პირები, რომლებიც შესძლებენ კოოპერატიულ საქმიანობაში გარკვევას და გამგეობისადმი ნამდვილი კონტროლის განხორციელებას. ასეთი შემადგენლობა სარევიზიო კომისიისა მას შესაფერ ავტორიტეტს და ნდობას მოუპოვებს კოოპერატივის წევრთა შორის და გამგეობის საქმიანობასაც სწორ მიმართულებას მისცემს. უკვე საკმაოდ შემცირებული ბოროტმოქმედებანიც კიდევ უფრო მეტად შემცირდება.

აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება: ხშირი ცვალებადობა გამგეობის და სხვა კოოპერატიულ ორგანოების შემადგენლობისა უარყოფით შედეგებს იძლევა. თუ ძველ შემადგენლობას რაიმე დანაშაულობა და მნიშვნელოვანი შეცდომები არ აქვს ჩადენილი, მიზანშეუწონელია სრულებით ახალი და კოოპერატიულ საქმიანობაში გამოუცდელი პირების არჩევა გამგეობაში და სარევიზიო კომისიაში. მორიგეობა დაუშვებელია კოოპერატიულ ხელმძღვანელობაში. არა თუ გამგეობის და სარევიზიო კომისიის, არამედ ტეხნიკური აპარატის შემადგენლობის ცვლილებაც მეტად საზიანოა და ის მხოლოდ აუცილებლობით და მიზანშეწონილობით უნდა იქნეს გამოწვეული.

გამგეობის და სარევიზიო კომისიის მუშაობა მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი, როდესაც ის სარგებლობს წევრთა ნდობით, ემყარება წევრთა თვითმოქმედებას და აქტივობას. ეს თვითმოქმედება და აქტივობა ჩვენი გლეხობის ღარიბმა და საშუალო ფენებმა უნდა გამოიჩინონ მოახლოვებულ კოოპერატიულ არჩევნებში. საიმედო, მცოდნე და გამოცდილ აპარატის შექმნით შესაძლებელია კოოპერატიულ „ავადმყოფობათა“ დაძლევა, კოოპერაციის საკუთარ ფეხზე წამოდგომა და მშრომელ მოსახლეობაში კოოპერატიული თვითმოქმედების გაზრდა.

ი. ბუაჩიძე.

* * *

საფრანგეთ-გერმანიის დაახლოება

(წერილი პარიზიდან)

ადვილი არაა იმის გაგება, თუ როგორ მოხდა, რომ საფრანგეთი, რომელიც „ანადგურებს“ გერმანიას თავისი სარეპარაციო მოთხოვნებით, მასვე თავის „ვალის გადახდის უნარს მოკლებულ მევალეს“ მიმართავს ფინანსიური დახმარებისათვის. მაგრამ ამასთანავე ეს არის ევროპის ეხლანდელი საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ძირითადი ფაქტი. ამ საზეიმო სიტყვებმა, რომლებითაც ერთმანეთს მიმართეს შტრეზემანმა და ბრიანმა ლიგაში გერმანიის შესვლის დროს, უეჭველია ახალი ხანა შექმნეს ევროპის ვერსალის შემდგომ ისტორიაში, ხანა ,რომელიც ხასიათდება საფრანგეთ-გერმანიის დაახლოებით. მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგები შეიძლება მოიტანოს ამ დაახლოებამ და მიიღებს თუ არა იგი რაიმე რეალურ გამოხატულებას, ჩვენ გვაქვს მთელი რიგი დამამტკიცებელი ფაქტებისა, რომელნიც გვიაშკარავებენ ამ ახალ ტენდენციის არსებით შინაარსს.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რაში მდგომარეობს ძირითადი აზრი ბრიანსა და შტრეზემანს შორის დაწყებული მოლაპარაკებისა, რომელიც პარიზის კაბინეტის სანქციით სწარმოებს. გერმანია ამჟამად, უმთავრესად, დაინტერესებულია იმაში, რომ ეხლავე მოიპოვოს იმ უპირატესობათა „ნივთიერი ნიშნები“, რომლებსაც იგი, როგორც ფიქრობენ, მიიღებს ერთა ლიგაში შესვლის წყალობით. გერმანიის მთავრობას პირველ რიგში სურს მოიპოვოს ეს ნივთიერი საბუთები შინაური პოლიტიკის მოსაზრებათა გამო: მისთვის აუცილებელია დაუმტკიცოს „შესრულების პოლიტიკის“ ყველა მოწინააღმდეგეებს, როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ, რომ იგი მოქმედებდა „გონიერად“. გერმანიის მთავრობისათვის არა ნაკლებ აუცილებელია, რომ დაუყოვნებლივ სასწრაფოდ მიიღოს რაიმე ნივთიერი პოლიტიკური მონაპოვარი თავისი საერთაშორისო პრესტიჟის მოსაზრებათა მიხედვითაც: მას სურს მიაღწიოს იმას, რომ შესაძლო გახდეს სახელმწიფოებთან ლაპარაკი მართლაც თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ყოველივე ამის გამო, ერთა ლიგაში მიღებისთანავე, გერმანიამ საფრანგეთს დაუსვა საკითხი რეინის და საარის ოლქების ვადის გასვლამდე ევაკუაციის შესახებ.

მაგრამ, ცხადია, რომ ამ საკითხებში დაკმაყოფილების მიღება შეიძლება მხოლოდ დიდი ფასით. რა თქმა უნდა, ამ ოლქებიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის საკითხი შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ საფრანგეთის ფინანსიურ კრიზისის გამო, რომელიც მწვავე ხასიათს იღებს და საფრთხის წინაშე აყენებს მას. სწორედ ეს გარემოება აიძულებს საფრანგეთის დიპლომატიას— მოუსმინოს გერმანიის ისეთ განცხადებებს, რომლებსაც, ჯერ კიდევ ახლო წარსულში საფრანგეთში შეეძლო გამოეწვია მხოლოდ აღშფოთება და შოვინისტური განგაში. თუმცა უნდა ითქვას, რომ განგაში ეხლაც საკმაოა. ბრიანის პოლიტიკას, რომელმაც, ცხადია, როგორღაც განსაზღვრული დაპირებანი მისცა შტრეზემანს, საფრანგეთში ყველანი არ ხვდებიან თანაგრძნობით. ნაციონალისტური პრესა განგაშს სცემს და სრულიად საფუძვლიანად აღნიშნავს, რომ გერმანია ფოლადის ტრესტის საშუალებით იბრუნებს ელზას-ლორენს. ტუარის საშუალებით კი, სადაც სწარმოებდა საიდუმლო თათბირი ბრიანსა და შტრეზემანს შორის, სცდილობს მიაღწიოს ვერსალის ხელშეკრულების ლიკვიდაციას. თვით საფრანგეთის კაბინეტშიაც წარმოიშვა უთანხმოება გერმანიასთან გადაჭარბებული დაახლოების საკითხის შესახებ. მაგრამ ქვეყნის ფინანსიური კრიზისი ხელს უშლის ამ ბრძოლის უკიდურესობათა გამოაშკარავებას; საკმაოა აღვნიშნოთ, რომ მილიარდნახევარი ოქროს მარკას, რომელსაც შტრეზემანი ჰპირდება ბრიანს ოკუპაციაქმნილი ოლქების გასანთავისუფლებლად მეტად საგრძნობლად შეეძლო შემსუბუქებია საფრანგეთის სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობა.

ბრიანის პოლიტიკის წინააღმდეგ საპროტესტო ხმები გაისმის არა მარტო შოვინისტების მხრივ. ჯერ კიდევ ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად საფუძვლიანად, მაგრამ საფრანგეთის პრესის ნაწილი ფრანკის უკანასკნელ დაცემას ხსნის, როგორც „ანტისაქსონურ ბლოკის“ პასუხს საფრანგეთ-გერმანიის ბლოკის შექმნის ცდის წინააღმდეგ. ინგლისსაქსონური ბლოკის შესახებ აუცილებელია ცოტა რამ ითქვას. ინგლისისა და შეერთებული შტატების ეხლანდელი ურთიერთობა არ შეიძლება იქმნას ცნობილი მეგობრულ განწყობილებად. კანტონის არმიის გამარჯვებისა და ინგლისიაპონიის თანამშრომლობის განახლების ცდის გამო, ინგლის-ამერიკის ინტერესთა წინააღმდეგობის უმთავრესი კვანძი ეხლა შორეულ აღმოსავლეთში ინასკვება. რასაკვირველია, რომ ეს წინააღმდეგობანი თავის გამოხატულებას ჰპოვებენ ევროპაშიაც. მიუხედავათ ამისა, სწორედ საერთაშორისო ფინანსიურ პოლიტიკის დარგში ლონდონის სიტისა და ნიუ-იორკის უოლსტრიტს შორის უეჭველია კონტაქტი არსებობს.

ეს აიხსნება მარტო იმ ფაქტითაც, რომ როგორც ამერიკა, ისე ინგლისი სარგებლობენ საფრანგეთის მათ წინაშე დავალიანებით და იყენებენ მას, როგორც პოლიტიკურ იარაღს, რომლის საშუალებითაც ისინი ზღუდავენ მის დამოუკიდებლობას საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად საკითხებში.

მაგრამ, თუ დღემდე შეერთებული შტატების პოზიცია ერთგვარ ეჭვებს იწვევს, სამაგიეროდ სავსებით უდავოა ინგლისის ძლიერი უკმაყოფილება. ინგლისის პრესა ერთხმად აღიარებს, რომ ბრიანისა და შტრეზემანის მოლაპარაკება ინგლისის დიპლომატიური მარცხია. ეს უკმაყოფილება განსაკუთრებით ძლიერდება კიდევ იმიტომ, რომ საფრანგეთ-გერმანიის დაახლოება დაკავშირებულია საფრანგეთის გავლენის გამარჯვებასთან ერთა ლიგის არჩევნებში.

როგორი ზემოქმედების საშუალებები აქვს ამ საკითხში ინგლისის დიპლომატიას? ბუნებრივია, რომ პირველ რიგში, თვალები მიპყრობილია იტალიისაკენ. იტალია-ინგლისის დაახლოვებაში, რომელიც უეჭველად ფაქტად გახდა უკანასკნელ წლებში, სხვა მიზეზებს გარდა დიდი როლი ითამაშა იტალიისა და საფრანგეთის შორის არსებულმა ანტაგონიზმმა, რომელიც უფრო და უფრო იზრდება. იტალია-საფრანგეთის წინააღმდეგობანი დაკავშირებული არიან როგორც ჩრდილოეთ-აფრიკის კოლონიების პრობლემასთან, ისე ბალკანეთის პრობლემასთან, სადაც საფრანგეთს, განსაკუთრებით ცენტრალურ ევროპაში და ბალკანეთში ამას წინედ დადებულ მთელ რიგ ხელშეკრულებათა შემდეგ, მეტად აქტიური როლი ენიჭება. ყოველივე ამით აიხსნება ის გარემოება, რომ იტალიამ სიამოვნებით უნდა მიიღოს საფრანგეთის საწინააღმდეგო წინადადებანი, რომლებსაც ინგლისი წარადგენს. ჩემბერლენისა და მუსოლინის დემონსტრატიულმა შეხვედრამ, ცხადია, კონტრ-ზომების მთელი რიგი უნდა დაუპირდაპიროს საფრანგეთ-გერმანიის მოწიფებულ ბლოკს.

ამავე დროს, როგორც ცნობილია, ინგლისის დიპლომატია ანვითარებს საფრანგეთის საწინააღმდეგო მოქმედებას ერთა ლიგაში. ამ კონტრ-შეტევის საგულისხმო ეპიზოდი იყო ინგლისის დელეგატის წინადადება ლიგის საქმიანობის ფარგლის განსაზღვრის შესახებ. თავის მხრივ საფრანგეთი იმუქრება ოსმალეთი შეიყვანოს ლიგაში, ოსმალეთი, რომელსაც ინგლისმა შარშან ლიგის საშუალებით წაართვა მოსული. ამგვარად ინგლის - საფრანგეთის მეტოქეობა უკვე სავსებით გაშიშვლებული ფაქტია.

საფრანგეთ- გერმანიის დაახლოების მეოხებით ეს წინააღმდეგობა ახალ იმპულსს იღებს და ამავე დროს საფრანგეთს აიძულებს ამ დაახლოების განმტკიცებასა და განვითარებას. ა. მ.

პარიზი, 20 სექტემბერი.

* * *

ლიტვასთან ხელშეკრულების დადების შემდეგ

პოლონეთის პრესა უკმაყოფილებას გამოსთქვამს ხელშეკრულების დადების გამო

სეიმმა ბარტელს უნდობლობა გამოუცხადა; მთავრობა გადადგა

ჩან-ძო-ლინი და რეაქციის სხვა გენერლები ცდილობენ კანტონის მთავრობასთან შერიგებას

ხელშეკრულების დადების შემდეგ

უცხოეთის პრესის გამოძახილი

ესტონეთის პრესა

რეველი, 30 სექტემბერი. ლიტვა-საბჭოთა შეთანხმების დადებამ გაცხოველებული გამოხმაურება ჰპოვა ესტონეთის პრესაში.

გაზეთები ამ ხელშეკრულებაში ხედავენ პოლონეთისადმი სამტრო აქტს, რომელიც საშუალებას უსპობს საბჭოთა კავშირს შეუთანხმდეს პილსუდსკის მთავრობას. აგრარების ორგანო „კაია“ ფიქრობს, რომ ლიტვის სეპარატიული გამოსვლა, რომელსაც არ სურს თავისი საგარეო პოლიტიკა შეუთანხმოს ბალტიის სხვა სახელმწიფოებს, დაბრკოლებებს ქმნის ბალტიის მხარის სახელმწიფოთა შეთანხმებისათვის.

პოლონეთის პრესა

ვარშავა, 30 სექტემბერი. პოლონეთის პრესა საზოგადოებრივი აზრის ყურადღებას აქცევს ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულების იმ ნაწილზე, სადაც ლაპარაკია თავზე არ დასხმისა და ნეიტრალიტეტის შესახებ. გაზეთების უმთავრესი ყურადღება ეხლა მიქცეულია შინაურ კრიზისზე; ხელშეკრულების შესახებ კი მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის ცნობებს იძლევიან და საკითხს არსებითად არ ეხებიან.

მხოლოდ სამხედრო სამინისტროს ორგანო „პოლსკა ზბროინა“ უძღვნის კომენტარიებს ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულებას და ლაპარაკობს მის შესახებ საბჭოთა კავშირისადმი სამტრო ტონით.

მდგომარეობა პოლონეთში

სეიმის სხდომა

ვარშავა, 30 სექტემბერი. სეიმის 30 სექტემბრის სხდომა გაიხსნა ნერვიულ ატმოსფერაში. მთავრობა მთელი შემადგენლობით პილსუდსკის გამოკლებით დაესწრო სხდომას, კულუარებში ლაპარაკია ორი საკითხის გარშემო: სეიმის დაშლისა და ლიტვა-საბჭოთა კავშირის შესახებ.

პოლონეთ-რუმინეთის ხელშეკრულების შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ, სეიმი გადავიდა სენატის შესწორების განხილვაზე. სენატის ეს შესწორება, შეტანილი მთავრობის საბიუჯეტო პროექტში, მეოთხე კვარტალის ბიუჯეტს ამცირებს 140 მილიონ ზლოტით. შესწორება სეიმმა მიიღო ხმების დიდი უმრავლესობით, 206 ხმით 92 წინააღმდეგ, რაც უდრის მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებას.

საღამოს 9 საათისათვის დანიშნულია სეიმის მეორე სხდომა ოპოზიციის მიერ შემოტანილი რეზოლიუციისათვის კენჭის საყრელად. რეზოლიუცია უნდობლობას უცხადებს მთავრობას.

„ვიზვოლენიე“ პარტიამ შეიტანა წინადადება სეიმის თვით დაშლის შესახებ.

მთავრობა გადადგა

ვარშავა, 30 სექტემბერი. 30 სექტემბერს საღამოს სხდომაზე სეიმმა მიიღო მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების რეზოლიუცია. მთავრობა გადადგა. პრეზიდენტმა მიიღო გადადგომა.

პილსუდსკის თარეში

ბერლინი, 1 ოქტომბერი. პოლონეთის ყოფილ მინისტრს ბეხოვსკის სცემა ოფიცრების ჯგუფმა, რომელიც შეიჭრა მის ბინაზე. გაზეთი „პირანკა ვარშავსკა“ ფიქრობს, რომ თავდასხმა მოხდა პილსუდსკის ოფიცრების მიერ, რადგან ის გაჯავრებული იყო ბეხოვსკიზე მისი მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრების გამო.

სეიმის დათხოვნის საკითხი

ვარშავა, 30 სექტემბერს. 30 სექტემბერს, იმის შემდეგ, როცა სეიმის თავმჯდომარე რატაიმ გამოაცხადა ცნობა მთავრობის გადაგომის შესახებ, დაიხურა სეიმის საღამოს სხდომა. დამოუკიდებელი გლეხური პარტიის წინადადების განხილვა სეიმის დათხოვნის შესახებ, გადატანილ იქნა შემდეგ სხდომაზე, რომელიც გაიმართება ახალი მთავრობის შედგენის შემდეგ.

სეიმის გამარჯვება

ვარშავა, 30 სექტემბერი. პრეზიდენტმა უარი განაცხადა სეიმის დათხოვნაზე და ახალი კაბინეტის შედგენა მიანდო პილსუდსკის. პრემიერისა და სამხედრო მინისტრის პილსუდსკის გარდა, მთავრობის შემადგენლობაში შევლენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბარტელი და გარეშე საქმეთა მინისტრად ზალესკი. მემარჯვენე წრეები აფასებენ ამ მოვლენას, როგორც სეიმის გამარჯვებას.

ურთიერთობა რუმინეთთან

ვარშავა, 1 ოქტომბერი. სეიმმა მესამე წაკითხვის დროს დიდი უმრავლესობით ხმა მისცა რუმინეთთან საგარანტიო ხელშეკრულების რატიფიკაციის კანონს.

მიტინგის გარეკვა

ვარშავა, 1 ოქტომბერი. ლოძში პოლიციამ გარეკა მიტინგი, რომელზედაც უნდა გამოსულიყო სეიმის კომუნისტი დეპუტატი სოხაცკი. პოლიციის ცხენოსანმა რაზმა სამჯერ მიიტანა იერიში მუშებზე.

პილსუდსკის წინააღმდეგ

ვარშავა, 30 სექტემბერი. მთავრობა და სეიმი გაფაციცებით ემზადებიან სეიმის სხდომისათვის. მთავრობასთან ახლო მდგარი პრესა იუწყება, რომ ვარშავაში ჩამოვა პილსუდსკი. ხმებია რომ პილსუდსკი გამოცხადდება სეიმში რათა კრიტიკულ მომენტში წარმოსთქვას „საჭირო სიტყვა“. სხვადასხვა მიმართულების პრესა აშკარათ აღიარებს, რომ პოლონეთში ერთი პირის დიქტატურა სუფევს; სეიმი მხოლოთ დემოკრატიის თვალის ასახვევათ არსებობსო.

პილსუდსკის კაბინეტი

პარიზი, 2 ოქტომბერი. პრეზიდენტმა მიანდო პილსუდსკის მთავრობის შედგენა.

ბარტელი რჩება ახალ კაბინეტში პრემიერის მოადგილედ, ზალესკი დატოვებულია საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე, კლარნერი ფინანსთა მინისტრად, სამხედრო მინისტრის პოსტი რჩება ისევ პილსუდსკის, პიატკოვსკი — ვაჭრობა - მრეწველობის, იურკევიჩი — შრომის მინისტრი, რომოცკი — გზათა მინისტრი, იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე რომოცკის ნაცვლად დანიშნული იქნება მეიშკოვიჩი, აგრარიების ჯგუფის ბელადი. საკითხი სეიმის მომავალი ბედის შესახებ ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

კანტონის გამარჯვების შემდეგ

მანიფესტაცია ხანკოუში

პეკინი, 30 სექტემბერი. 26 სექტემბერს ხანკოუში შესდგა ახალი დიდი მასიური მიტინგი, რომელიც კანტონის ჯარების საპატივცემო მანიფესტაციით დასრულდა. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 100.000-ზე მეტი კაცი.

მოლაპარაკების წინ

პეკინი, 30 სექტემბერი. იუწყებიან, რომ კანტონის წარმომადგენლები ჩავიდენ მუკდენში ჩან-ძო-ლინთან მოლაპარაკების საწარმოებლად.

რეაქციის ბანაკში

ლონდონი, 30 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება, რომ სუნ-ჩუან-ფანი ამჟამად სცდილობს კანტონის მთავრობასთან მშვიდობიანი დამოკიდებულების დამყარებას. როგორც ხმები დადის, ჩან-ძო-ლინს განზრახული აქვს მიმართოს მის მაგალითს.

თავისას არ იშლის

ბერლინი, 1 ოქტომბერი. ხარბინიდან მიღებულ ცნობებით, ჩან-ძო-ლინმა განაცხადა, რომ დროა აღსდგეს მონღოლეთში ჩინეთის ბატონობაო. ცნობაში ნათქვამია, რომ იგი ემზადება ურგაზე თავდასხმისათვის.

მდგომარეობა ჩინეთის ფრონტებზე

პეკინი, 30 სექტემბერი. ცნობები სამხედრო მდგომარეობის შესახებ ჩინეთში წინააღმდეგობით არის აღსავსე.

სუნ-ჩუან-ფანმა გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა ნან-ჩანის, პროვინცია ძზიან-სის დედა-ქალაქის უკან დაბრუნების შესახებ. იგი იუწყება, რომ ტყვედ ჩაიგდეს კანტონის 5.000 ჯარისკაცი.

სხვა ცნობები კი, პირიქით, იუწყებიან, რომ კანტონის ჯარები უკვე შევიდენ პროვინცია ან-ხოიში და მიაღწიეს ქალაქამდე, რომელიც სან-ცზი-ცზიანის ჩრდილოეთ ნაპირას, ცზი-ცზიანს პირდაპირ მდებარეობს.

უ-პეი-ფუს, რომლის უმთავრესი შტაბი იმყოფება ჩენ-ჩოუში, პროვინცია ხენანის ჩრდილოეთ ნაწილში, განზრახვა აქვს კიდევ დაიხიოს ბაო-ტინ-ფუს ჩრდილოეთით, პეკინის სამხრეთით 140 კილომ. მანძილზე. ეს დახევა გამოწვეულია იმით, რომ მთელ პროვინციას ხენანს მალე დაიკავებენ კანტონის ჯარები, რომლებსაც შეუძლიათ ზურგით შემოვლა.

პეკინის გარნიზონის ყველა ნაწილები, რომელსაც მეთაურობდა ამას წინედ თანამდებობიდან გადამდგარი უ-პეი-ფუს მომხრე ვან-გუაი-ჩინი, განიარაღებულია. და ეს ჯარის ნაწილები შესცვალეს მუკდენის ჯარებმა.

ჩემბერლენის გასტროლები

ლონდონი, 1 ოქტომბერი. ლივორნოში მუსოლინთან შეხვედრის შემდეგ, ჩემბერლენი გუშინ ჩავიდა გენუაში იახტა „დელფინით“. გენუიდან ჩემბერლენი გაემგზავრება ლონდონში. ის გაივლის პარიზზე და შეეცდება ინახულოს ბრიანი. უკეთებენ რა კომენტარიებს ლოკარნოს შეხვედრას, გაზეთები აღნიშნავენ, რომ ინგლისსა და იტალიას აქვთ საერთო ინტერესები, როგორც ისეთ სახელმწიფოებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ლოკარნოს ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება არის უკანასკნელი ეტაპი ევროპის სამშვიდობო პოლიტიკისა, რომელსაც შეუცვლელად ატარებენ ჩემბერლენი და ინგლისის საგარეო საქმეთა მისი წინა მორბედი ყველა მინისტრები. მუსოლინთან შეხვედრის შემდეგ, გაზეთების თანამშრომლებთან საუბრის დროს ჩემბერლენმა სთქვა, რომ, როცა მუსოლინიმ გაიგო ჩემბერლენის განზრახვა იტალიისადმი ჩასვლის შესახებ, მან გამოსთქვა მასთან შეხვედრის სურვილი, რაც ჩემბერლენმა—სიამოვნებით მიიღო. მათი საუბარი უმთავრესად მეგობრულ ხასიათს ატარებდა; პოლიტიკაზე ძალიან ცოტა ისაუბრეს. შემდეგ ჩემბერლენმა დასძინა, რომ ის სავსებით ჩამოშორდა გაზეთებს და რადიო-დეპეშებსაც კი. კითხვაზე პასუხის გაცემისას, ჩემბერლენმა სთქვა, რომ მუსოლინთან შეხვედრის დროს—ბრიანისა და შტრეზემანის მოლაპარაკების შესახებ—მათ ლაპარაკი არ ქონიათ.

მაღაროს მეპატრონეები ჯიუტობენ

ლონდონი, 30 სექტემბერი. სარწმუნო წრეებში აცხადებენ, რომ მაღაროს მეპატრონეები კატეგორიულად წინააღმდეგი არიან მთავრობის წინადადების საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაარსების შესახებ. ამ წრეებში ამბობენ, რომ მაღაროს მეპატრონეებმა გადასწყვიტეს შემდეგში არ დაუშვან რაიმე ჩარევა სამუშაო ხელფასისა და სამუშაო დღის ხანგრძლივობის სრულიად ინგლისის მასშტაბით განსაზღვრის საკითხებში. კიდევ მეტი; მაღაროს მეპატრონეებს განზრახული აქვთ უარჰყონ როგორც სარაიონო შეთანხმება, ისე შეთანხმება ცალკე მაღაროების მიხედვით, თუ ეს შეთანხმებები გამოიწვევენ სამთამადნო მუშების მიმართვას საარბიტრაჟო ტრიბუნალში. უკიდურეს შემთხვევაში მაღაროს მეპატრონეები დაუბრუნდებიან ინდივიდუალურ, დღიურ ხელშეკრულებების დადებას.

ლონდონი, 1 ოქტომბერი. ლანკაშირსა და იორკშირში იმ მაღაროებიდან სადაც შტრეიკბრეხერები მუშაობენ, მოხსნეს ის მუშები, რომლებიც თვალყურს ადევნებდენ მაღაროების მდგომარეობას. მემაღაროეთა კავშირის აღმასკომის წევრები დადიან ნორტინგამის ოლქში და ხელმძღვანელობენ მემაღაროეთა სამუშაოზე დაბრუნების საწინააღმდეგო კამპანიას.

ჩემბერლენის და მუსოლინის შეხვედრა

ყაჩაღების მასლაათი

რომი, 30 სექტემბერი. სტეფანის სააგენტო იტყობინება: „30 სექტემბერს მუსოლინი, საგარეო საქმეთა მინისტრის თანხლებით, ჩავიდა ლივორნოში, სადაც ის შეხვდა ჩემბერლენს და მის ოჯახობას იახტა „დელფინზე“. ორივე მინისტრის საუბარს უაღრესად მეგობრული ხასიათი ჰქონდა. ისინი იხილავდენ საერთაშორისო პოლიტიკის სადღეისო მნიშვნელოვან საკითხებს. ორივე მინისტრმა კმაყოფილებით აღნიშნეს ინგლის-იტალიის ურთიერთ დამოკიდებულების მეგობრული ხასიათი და ორივე მთავრობის პოლიტიკის თანხმობა მნიშვნელოვან ევროპიულ პრობლემების გადაწყვეტის საქმეში“.

ისევ რომისაკენ

პარიზი. 1 ოქტომბერი. „პტი ჟურნალის“ ცნობით, ჩემბერლენმა დაამშვიდა მუსოლინი ტუარის მოლაპარაკების მნიშვნელობის შესახებ. ჩემბერლენმა დაარწმუნა იგი, რომ იტალიის ყოველთვის ანგარიში გაეწევა ყველას მიერ, შეთანხმება აუცილებელია ევროპის წონასწორობის აღსადგენათ.

ლივორნოდან მიღებულ ახალი ცნობით, მუსოლინი გაემგზავრა რომში.

შერეული სასამართლოები

პეკინი, 30 სექტემბერი. შანხაიდან მიღებულ ცნობით, საკონსულო კორპუსისა და ჩინეთის ადგილობრივი ხელისუფლების შეთანხმებას ჩინეთის სამოსამართლო ორგანოებისათვის შერეული სასამართლოს დაბრუნების შესახებ, ხელი მოაწერეს ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოთა კონსულებმა. მაგრამ სასამართლოს გადაცემა ჩინეთის ხელისუფლებისათვის მოხდება არა უადრეს მომავალი წლის დასაწყისისა.

შენიშვნა: „უთანასწორო ხელშეკრულებების“ თანახმად გარჩევა საქმეებისა, რომლებშიაც ერთის მხრივ არიან იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ქვეშევრდომები, შეუძლიათ არა ჩინეთის ჩვეულებრივ სასამართლოებს, არამედ ეგრედწოდებულ შერეულ სასამართლოებს, რომელშიაც გადამწყვეტი გავლენა საქმის მსვლელობაზე აქვთ უცხოეთის მოსამართლეებს.

პუანკარეს წინააღმდეგ

პარიზი, 30 სეტემბერი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ პუანკარემ მიიღო საპარლამენტო დელეგაცია, რომელმაც პროტესტი განაცხადა მთავრობის მიერ ჩატარებულ ადმინისტრატიულ რეფორმის ზოგიერთი მხარეების წინააღმდეგ. დელეგაციის განცხადების მოსმენის შემდეგ პუანკარემ განაცხადა, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მტკიცედ დაიცვას დეკრეტი ადმინისტრატიული რეფორმის შესახებ და არ მიიღოს რაიმე შესწორებები მასში, უკიდურეს შემთხვევაში დასვამს ნდობის საკითხს. ზოგიერთმა დელეგატებმა გამოსთქვეს შიში, ვაი თუ მთავრობის უტეხმა პოზიციამ გამოიწვიოს მისი დაცემა. პუანკარემ განაცხადა. რომ, მისი აზრით, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს ნაციონალური მთლიანობის ახალი მთავრობის შედგენა.

ფ ო ლ ა დ ი ს ტ რ ე ს ტ ი

ბერლინი, 1 ოქტომბერი. საერთაშორისო ფოლადის ტრესტის შესახებ ბრიუსელში მიღებული შეთანხმება ითვალისწინებს ყოველწლიურად 27.578.000 ტონა კონტინგენტს, რომელიც ასე ნაწილდება: გერმანია—43,5% საფრანგეთი — 31,19%, ბელგია—12.26%, ლიუქსემბურგი—8,5% და საარის რაიონი—5,25%.

ფოლადის ტრესტი იქნება ლიუქსემბურგში. ტრესტის თავმჯდომარედ დანიშნულია პეირიჩი.

შტრეზემანის მოხსენება

პარიზი, 1 ოქტომბერი. ბერლინიდან მიღებული ცნობით, 7 ოქტომბერს მოწვეულია რეიხსტაგის გარეშე საქმეთა სამინისტროს კომისია, რომელიც მოისმენს შტრეზემანის მოხსენებას.

თეთრი ემიგრანტები

პრაგა, 30 სექტემბერი. ჩეხიის სოციალ-დემოკრატიული ცენტრალური ორგანო „პრავო ლიდუ“ იუწყება, რომ ერთა ლიგის მიერ რუსეთის თეთრი ემიგრანტების მდგომარეობის საკითხის განხილვის დროს გამოირკვევა, რომ ჩეხო-სლოვაკია თეთრი ემიგრანტების შესანახათ იხდის ყოველ წლიურად 73 მილიონ ჩეხურ კრონს (4,160,000 მან.).

არეულობა ციხეში

პარიზი, 1 ოქტომბერი. ბერლინიდან მიღებული ცნობით, ალენშტეინის ციხეში მოხდა პატიმრების ამბოხება. დანგრეულია სახელოსნოები. მცველებმა პოლიციის საშუალებით წესრიგი აღადგინეს, ზარალი 20.000 მარკამდე აღწევს.

ჩემბერლენის განზრახვა

ლონდონი, 1 ოქტომბერი. „დეილი ჰერალდი“ აცხადებს, რომ ჩემბერლენი ცდილობს იტალიამ უარი განაცხადოს საბჭოთა კავშირთან „ნახევრად მეგობრულ“ დამოკიდებულებაზე; მას სურს გამოიყენოს ის თავისის გავლენისა და ინგლისის პოლიტიკის განსამტკიცებლად ბალკანეთზე.

ოკუპანტების ხულიგნობა

ბერლინი, 1 ოქტომბერი. კობლენცში ერთ პროფესორს ღამით მოესმა ქალის ძახილი დახმარების შესახებ და გაექანა ქალისაკენ. მგრამ საოკუპაციო გარნიზონის ჯარისკაცებმა სტაცეს ხელი, შეჰკრეს და სცემეს სანამ გრძნობა არ დაკარგა. გაცემულია ბრძანება გამოძიების მოსახდენათ.

არგენტინის შეიარაღება

ლონდონი, 1 ოქტომბერი. ბუენოს-აირესიდან მიღებული ცნობით, პარლამენტის საიდუმლო სხდომაზე მთავრობამ მიიღო რწმუნებულება, რომ არგენტინის ფლოტის გასაძლიერებლად დახარჯოს 75 მილ. პეზეტი.

მთავრობამ დახმარება შეუწყვიტა

ლონდონი, 30 სექტემბერი. ინგლისის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ 1926 წლის 1 მაისიდან 42 სამზრუნველო კომიტეტს შეუწყვიტეს დახმარების გაცემა. დახმარებათა შემცირება ან შეწყვეტა—ეს ერთი ფორმათაგანია მუშებზე ზეგავლენის მოსახდენათ.

პოლონეთ-რუმინეთის ხელშეკრულება

ლონდონი, 30 სექტემბერი. იხილავს რა პოლონეთ-რუმინეთის ხელშეკრულებას და, სამხედრო კონვენციას, „მანჩესტერ გარდიენი“ სწერს: „ამ ხელშეკრულების მიზანია, პირველ რიგში, არა მეგობრული დამოკიდებულების განმტკიცება ამ ორ სახელმწიფოს შორის, არამედ იარაღის გალესვა მათი მოსალოდნელი მტრის წინააღმდეგ (იგულისხმება საბჭოთა კავშირი). აღმოსავლეთის და ევროპის ნერვიულ ატმოსფერაში ისეთი ხელშეკრულებები, როგორიც, მაგალითად, პოლონეთ-რუმინეთის ხელშეკრულებაა, რა კეთილი განზრახვებიც არ უნდა ახასიათებდეს მის დამდებ სახელმწიფოებს, ობიექტიურად მაინც აძლიერებენ ომის საშიშროებას, რომელსაც საშინელი შედეგები მოჰყვება.

საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობა

პარიზი, 30 სექტემბერი. პუანკარეს გამოსვლის გამო ბარლედიუკში, პოლიტიკურ წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ მეტალურგიული მრეწველობის კომიტეტის თავმჯდომარის ვანდელის სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა ნანსიში. ვანდელს მხედველობაში ჰქონდა საფრანგეთისა და გერმანიის მრეწველების ომამდე არსებული შეთანხმება, მან სთქვა:

„არავითარი შეთანხმება [illegible] შორის არ იმოქმედებს გერმანიაზე, რომ მან უარი სთქვას დიდი გერმანიის იდეაზე. ვისაც ამაში ეჭვი შედის, ის უნდა ჩაუკვირდეს შტრეზემანის სიტყვებს. ფოლადის ტრესტის შეთანხმება არ შეიძლება დაკავშირებული იყოს პოლიტიკური ხასიათის შეთანხმებასთან. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეწიროს ამ შეთანხმებას ისეთი დათმობები, რომლებსაც კავშირი აქვს ჩვენი უშიშროების უზრუნველ

გაფიცვა გერმანიაში

მეზღვაურთა გაფიცვა

ბერლინი, 1 ოქტომბერი. ჰამბურგში 20.000 მეზღვაურმა გამოაცხადა გაფიცვა. შორეულ მგზავრობის მეზღვაურთა კავშირის ბელადები გადადგენ და უარი განაცხადეს იკისრონ გაფიცვის პასუხის მგებლობა, რომლის გამოცხადება მოხდა მათი თანხმობის გარეშე. გემთმშენი მუშები რჩებიან სამუშაოებზე, მიუხედევათ იმისა, რომ რადიკალები ეწევიან აგიტაციას სოლიდარული გაფიცვის გამოცხადებს სასარგებლოდ.

ნავთსადგურის მუშათა გაფიცვა

ჰამბურგი, 1 ოქტომბერი. დღეს, დილით დიდის აღფრთოვანებით დაწყებული მეზღვაურთა გაფიცვა მოედო **ნავთსადგურის 15.000 მუშას. დახატვირთი სამუშაო შეწყვეტილ იქნა 90%-ით. საგაფიცვო კომიტეტი შესდგება კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატებისაგან.** კომიტეტის შემადგენლობაში შეყვანილია უმუშევართა კომიტეტის წარმომადგენელიც. **გერმანიის ტრანსპორტელთა შემთანხმებელი კავშირის ჰამბურგის სექციის გამგეობამ უარი განაცხადა გაფიცვის ხელმძღვანელობაზე, არ სურს რა იკისროს პასუხისმგებლობა, რამდენადაც სამედიატორო გადაწყვეტილება გამოქვეყნებული იყო სავალდებულოდ შრომის მინისტრის მიერ.**

გუშინ, საღამოს გაიმართა ჰამბურგის გემსაშენ სახელოსნოების მუშათა მრავალრიცხოვანი კრება. **კრებაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის ორი მუშა, რომელნიც მონაწილეობდენ მუშების უკანასკნელ დელეგაციაში, და გემსაშენ სახელოსნოების მუშებს გადასცეს ოდესის მუშების მიერ მათ სახელზე გამოგზავნილი დროშა.**

ჰამბურგის სენატმა, რომელშიც სახალხო პარტიის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობს შვიდი სოციალ-დემოკრატი, მოაწყო „შტრეიკბრეხერული“ დახმარება. პოლიციელთა ავტომობილებს მოჰყავდათ შტრეიკბრეხერები ნავთსადგურში, რაც იწვევდა ზოგიერთი მუშის პროტესტს, რისთვისაც აპატიმრებენ.

გაფიცვის გამოცხადება

ბერლინი, 1 ოქტომბერი. შრომის მინისტრმა სავალდებულოდ გამოაცხადა სამედიატორო გადაწყვეტილება, გამოტანილი ჰამბურგის ნავთსადგურის მუშების კონფლიქტზე მწარმოებლებთან. **ჰამბურგის ნავთსადგურის მუშათა ორგანიზაციის თანამდებობითი პირების კრებამ, მიუხედავად გერმანიის ტრანსპორტელთა კავშირის წარმომადგენლების აგიტაციისა, ერთხმად დაადგინა გამოაცხადოს გაფიცვა.**

ბერლინის ორგანიზაციის სადელეგატო კონფერენცია

ბერლინი, 30 სექტემბერი. კომპარტიის ბერლინის ორგანიზაციის სადელეგატო კონფერენცია, რომელიც გუშინ გაიმართა ბერლინში, არსებითად წარმოადგენდა საკავშირო კომპარტიის ც. კ. და ც. ს. კ. ივლისის პლენუმის დადგენილებათა შესახებ ფორმალური დისკუსიის დასასრულს. ბრაუნის მოხსენების შემდეგ გაიმართა ხანგრძლივი კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ოპოზიციის ლიდერებმა და მათ რიცხვში ურბანსმა. გერმანიის კომპარტიის ცეკას მიერ გამოტანილი რეზოლიუცია მიღებულ იქნა 806 ხმის უმრავლესობით ოპოზიციის ყველა გაერთიანებული ჯგუფების 344 ხმის წინააღმდეგ.

ვებერის რეზოლიუციას ხმა მისცა ურბანსისა და ვებერის 323 მომხრემ.

კორშის ჯგუფის რეზოლიუციას ხმა მისცა 20 კაცმა.

ურბანსის ჯგუფის რეზოლიუციამ, რომელიც ეწინააღმდეგება მასლოვისა და რუტ ფიშერის გამორიცხვას პარტიიდან, მიიღო 275 ხმა.

დემონსტრაციები

იაპონიაში

ტოკიო, 30 სექტემბერი. მთელ იაპონიაში მოხდა გლეხთა საპროტესტო დემონსტრაციები ინდოეთში ლევინის წინააღმდეგ. ათასეულმა ბავშვებმა, ნიიგატის გუბერნიის დაწყებითი სკოლების მოსწავლეებმა გამოაცხადეს გაფიცვა და უარი სთქვეს სკოლაში შესვლაზე.

ყორანთა კონგრესი

ბერლინი, 1 ოქტომბერი. გუშინ დამთავრებულ პოლიციელთა საერთაშორისო კონგრესზე დადგენილ იქნა, რომ ამა თუ იმ პიროვნების გამოსარკვევად მიღებული იქნას თითების ანაბეჭდი (დაქტილოგრაფია). გადაწყდა, შემოღებულ იქნას პოლიციის აგენტების ერთგვარი პირადი ბარათები და პოლიციელთა საერთაშორისო კოდექსი.

ტაიფუნი ჩინეთში

ლონდონი, 1 ოქტომბერი. ფიქრობენ, რომ უკანასკნელმა ტაიფუნმა, რომელმაც ჩინეთის ნაწილებზე გადაიარა ორშაბათს, გაანადგურა 130 ჯონკი, ჩინეთის მეთევზეების ფლოტის უდიდესი ნაწილი. **დაღუპულია რიცხვით 2.000 კაცამდე.**

უცხოელთა ლეგიონი

ჩინეთში

ლონდონი, 30 სექტემბერი. ჩინეთის საინფორმაციო ბიუროს ბიულეტენი, რომელიც ლონდონში გამოდის, იტყობინება, **რომ ინგლისის მთავრობა იხილავს უცხოელთა ლეგიონის შექმნის საკითხს. ამ ლეგიონის დანიშნულება იქნება ჩინეთში სამხედრო ოპერაციების წარმოება.**

კომკავშირის დევნა

ინგლისში

ლონდონი, 30 სექტემბერი. ინგლისის კომკავშირის ცეკას მდივნის მოადგილეს **სპრინხოლს** მიუსაჯეს 3 თვით დაპატიმრება იმის გამო, რომ მან სამთამადნო ახალგაზრდობის მიმართ გამოაქვეყნა ფურცლები, სადაც მათ მოუწოდებდა გაფიცულთა შორის მოეწყოთ მასიური პიკეტები შტრეიკბრეხერების წინააღმდეგ.

მუსოლინი არმიის სარდალი

ბერლინი, 1 ოქტომბერი. რომიდან მიღებული ცნობით, იტალიის ფაშისტების მთავარსარდალი გენერალი **გონზაგი გადადგა. მთავარსარდლობა მიიღო მუსოლინიმ.**

საბჭოთა კავშირში

ინტერვენციით დაზარალებულნი

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. ინტერვენციით დაზარალებულთა დამხმარე საზოგადოებამ ამჟამად დაასრულა ჩეკების აკრეფა და დათვლა. ეს ჩეკები ოკუპაციითა და ძარცვა - გლეჯით დაზარალებულ ბაქოს მცხოვრებთ 1918 წელს დაურიგა მოკავშირე სახელმწიფოების საკონტროლო კომისიამ ინგლისელების სახით. ამ ჩეკებით ინგლისელები სდებდენ პირობას, რომ ვერსალის საზავო კონფერენციის შემდეგ აანაზღაურებდენ ყოველგვარ ზარალს.

ინტერვენციით დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტს ხელთ აქვს 30.000 ჩეკი, სულ 300 მილ. მან. ღირებულებისა, საზოგადოებას განზრახული აქვს, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საშუალებით, ინგლისის მთავრობის წინაშე აღძრას საკითხი ბაქოს მცხოვრებთათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ.

სამრეწველო წარმოების შედეგები

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის თანამშრომელთან საუბარში საბჭ. კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კვირინგმა 1925-26 წ. სამრეწველო წარმოების შედეგების შესახებ შემდეგი განაცხადა:

წარსულ სამეურნეო წელში სახელმწიფო მრეწველობამ საგრძნობლად მოიმატა პროდუქციის მხრივ.

საბჭოთა კავშირის პროდუქციის ღირებულება საცენზო მრეწველობაში ამ წლის განმავლობაში გაიზარდა 43%-ით. 1924—25 წელში იგი შეადგენდა 4.060.000 მან., 1926—27 წ. კი— 6.780.000 მან.

მრეწველობის ცალკე დარგებმაც მოიმატეს: ქვა-ნახშირის მრეწველობამ იმატა — 53%-ით, სამთო, ლითონის დამმუშავებელმა და ელექტრო-ტექნიკურმა — 57%-ით, ბამბის — 35%-ით, სახერხი და ფირფიცარის—72%-ით.

მრეწველობის დარგების უმრავლესობამ ომამდე არსებულ დონეს მიაღწია: ქვა-ნახშირის წარმოებაში ნაყოფიერება 1925—26 წელში შეადგენს 1913 წლის პროდუქციის 87%-ს, ნავთის წარმოებაში — 91%, ბამბეულის— 90%. ნაკლებად გაიზარდა რკინის მადნის პროდუქცია — 55%, თუჯის— 70%.

მუშათა რიცხვი საცენზო მრეწველობაში 1925—26 წ. გაიზარდა 400.000 კაცით, ე. ი. 28%-ით. მუშათა ხელფასმა რეალურად მოიმატა 20%-ით; მრეწველობის მრავალ დარგში ხელფასმა მიაღწია ომამდე არსებულ დონეს, ზოგან კიდეც გადააჭარბა მას.

მრეწველობის კაპიტალური აღმშენებლობის ხარჯების (საბინაო აღმშენებლობის გარდა) წარსულ წელში შეადგენდა 850 მილ. მანეთს; მათ შორის ელექტრო - აღმშენებლობაზე დაიხარჯა — 70 მილ. მან.

მრეწველობისათვის უცხოეთიდან შემოტანილი მოწყობილობა შეადგენს 60 მილ. მან.; სამრეწველო ნედლეული 11 თვის განმავლობაში შემოტანილ იქნა 330 მილ. მან.

სახელმწიფო მრეწველობამ წარსულ წელში მოგვცა 450 მილ. მან. მოგება. ასეთი შედეგებით გადავდივართ ჩვენ 1926—27 სამეურნეო წელში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

ა.-კ. წყალთა მეურნეობისათვის

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. **30 სექტემბერს საბჭოთა კავშირის სახელმწ. საგეგმო კომისიის წყალთა მეურნეობის სექციის სხდომაზე განხილულ იქნა ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამუშაოთა საოპერაციო გეგმა 1926-27 წლისათვის.**

გაცხოველებულ კამათის შემდეგ სხდომამ მიიღო სექციის პრეზიდიუმის მიერ წარდგენილი მუშაობის გეგმა, რომლის მიხედვით ხარჯები განსაზღვრულია 8.095.000 მან. რაოდენობით. **ამ თანხიდან საქართველოს მიეცემა 1.505.000 მან. ამ სამუშაოში შედის ქალადიდის და ფოთის ჭაობების ამოშრობა; ალაზანის, სამურზაყანოს ველისა და დიდომის ადგილების მორწყვა და ფოთის ჭაობების კოლმატაცია.**

აზერბეიჯანის წყალთა მეურნეობის საამშენებლო მუშაობისათვის გადადებულია 2.350.000 მან. (სამუშაოები მუღანის ველზე, ტერტერის სისტემის რეკონსტრუქცია, ბეიუკ-დაგის და ნახიჩევანის ველების მექანიკური მორწყვა, [illegible] - სახკალის ველის მორწყვა, შირ[illegible]ის ველის სამხრეთ - აღმოსავლეთ [illegible] მორწყვა).

სომხეთის წყალთა მეურნეობის საამ[illegible] მუშაობისათვის გადადებუ[illegible] მორწყვა, არაზდანის სისტემის სარწყაო არხის აღდგენა, ეჩმიაძინის ადგილების მექანიკური მორწყვა).

ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის გამოკვლევითი მუშაობისათვის გადადებულია 415.000 მან.; მათ შორის: საქართველოსათვის— 245.000 მან. (ფოთის ჭაობების ამოშრობა, ბორჩალოს მაზრის სისტემის რეკონსტრუქცია, სოღანლუღის მახლობელ ადგილების მორწყვა, შირაქის ველის წყლით უზრუნველყოფა, დოლლაურის ველის ადგილების მორწყვა); აზერბეიჯანისათვის — 170.000 მან. (დეკადაჩაის სისტემის რეკონსტრუქცია, გერიანის ველის მორწყვა, არაქსის ზოლის მორწყვა ზემო - მილის არხის მოწყობა, ჯანაურის ველის გამოყენება).

მეცნიერულ - გამოკვლევითი მუშაობისა და საერთო ხარჯისათვის გადადებულია: საქართველოსთვის—650.000 მან., აზერბეიჯანისათვის — 1.100.000 მან., სომხეთისათვის — 310.000 მან., საერთო ხარჯებისათვის ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებისათვის გადადებულია — 585.000 მან.

ამგვარად სულ საქართველოსათვის **გადადებულია 2.400.000 მან. აზერბეიჯან[illegible]ს 8.020.000 მან., სომხეთი[illegible]** 400.000 მან.

საუღელტეხ. უბნის ელექტროფიკაცია

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. 1-ლ ოქტომბერს საკავშირო საგეგმო კომისიის ენერგეტიკის სექციის სხდომამ განიხილა გზათა სახალხო კომისარიატის მიერ წარდგენილი პროექტი ა.-კ. რკინისგზათა ზესტაფონ-ხაშურის საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციის შესახებ (სურამის გადასარბენზე).

პროექტში აღნიშნულია, რომ საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციას ძალიან უწყობს ხელს ჰიდრავლიური ენერგიის უამრავი მარაგი და მისი სიახლოვე, აგრეთვე საბარგო და სამგზავრო გადაზიდვათა სწრაფი ზრდა, რაც აიხსნება ამიერ-კავკასიის სამეურნეო ცხოვრების საერთო განვითარებით და, ომის წინადროსთან შედარებით, ამიერ-კავკასიაში სამთამადნო მრეწველობის არაჩვეულებრივი განვითარებით. აგრეთვე უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი რკინის-გზის ხაზების გაყვანას, რომელთაგან ერთი მათგანის, შავიზღვის რკინის-გზის დასრულება მოგვცემს არა ნაკლებ 10 მილიონი ფუთი ტვირთის გადაზიდვას საუღელტეხილო უბანზე.

იმ დროს, როცა საუღელტეხილო უბანზე ორთქლადი წევის მეორე გზის აშენება დაჯდება 22 მილიონი მანეთი, ყველა სამუშაოები, დაკავშირებული მატარებლების გადაყვანასთან ელექტრიულ წევაზე, ზაჰესის ენერგიის გამოყენებით, გამოანგარიშებულია 8.678.000 მან.

ზესტაფონ-ხაშურის საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციის მთელი ღირებულება უდრის 14.871.000 მანეთს.

პროექტში ხაზგასმით არის აღნიშნული ის, რომ ელექტრიული ენერგიის ორი სადგურის აგებით (ზაჰესის და მდ. რიონთან ჰიდრო-ელექ. სად.), ზესტაფონ-ხაშურისა და ხაშურ - თბილისის უბნების ელექტროფიკაციით გადაწყვეტილი იქნება სახელმწიფო და საქვეყნო მნიშვნელობის ორი დიდი პრობლემა: ამიერ-კავკასიის მაგისტრალის საუღელტეხილო უბნის მიერ სამგზავრო და საბარგო ტვირთზიდვის გაძლიერება, რითაც ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქტებს ფართო გზა გაეხსნება უცხოეთისა და საბჭოთა კავშირის შინა -ბაზრებისაკენ: საქართველოს სამრეწველო რაიონებისა და მთავარ დასახლებულ ცენტრების ელექტრომომარაგება.

ჩვენი მეურნეობის გეგმაშეწონილი ელექტროფიკაციის გამოყენება შესაძლებლობას იძლევა წარმოებულ იქნას აღმშენებლობითი მუშაობა შემდეგი ხაზით: ზაჰესის აგება 1927 წელს, ზესტაფონ - ხაშურის საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაცია 1929-30 წელს, ელექტროსადგურის აგება დასავლეთსაქართველოში 1930-31 წელს და ხაშურ-თბილისის უბნის ელექტროფიკაცია 1931-32 წელს.

გერმანიის მუშა-ქალთა დელეგაცია აფხაზეთში

სოხუმი, 1 ოქტომბერი. დღეს საღამოს სოხუმში ჩამოვიდა გერმანიის მუშა-ქალთა დელეგაცია 12 ქალის შემადგენლობით. გზა და გზა იმართებოდა მიტინგები, სადაც დელეგატ-ქალები გამოდიოდენ სიტყვებით და ესაუბრებოდენ გლეხებისა და გლეხქალებს. გაგრაში მათ დაათვალიერეს სანატორიუმები. ავადმყოფებთან საუბარში დელეგატ-ქალებმა განაცხადეს, **რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეუძლიათ მუშებს და მუშა-ქალებს მკურნალობა და დასვენება.** ათონში დელეგაციამ დაათვალიერა მონასტირი, დასასვენებელი სახლი და სხვ.

პროფსაბჭოს თავმჯდომარის **სუკოთანის** და მუშა-ქალთა განყოფილების გამგის ჩიჟოვას მისალმებაზე საპასუხოდ დელეგაციის მდივანმა შულცმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა:

„მოგესალმებით გერმანიის მუშა-ქალთა სახელით, რომლებმაც აქ გამოგვგზავნეს, და მადლობას გწირავთ მასპინძლობისათვის. დღემდე გერმანიის მუშა-ქალი ამაყობდა იმით, რომ ის თავისუფალია, მაგრამ სინამდვილეში გერმანიის **მუშა-ქალები უფრო ნაკლებ თავისუფალი გამოდგნენ, ვიდრე თქვენ, აფხაზეთის მშრომელი ქალები,** თუმცა დიდი დრო არაა მას შემდეგ, როცა თქვენ გეპყრობოდენ როგორც მონებს და გაიძულებდენ ჩადრის ტარებას. ჩვენი ქალები მონაწილეობას როდი ღებულობენ სახელმწიფო მმართვა-გამგეობაში. ის არ ღებულობს აქტიურ მონაწილეობას საკავშირო და საზოგადო მუშაობაში, რადგან მას ამ გზაზე ბევრი შეფერხება ელობება.

გერმანიაში ახლა ტარდება რაციონალიზაცია; ეს კი ორგვარი მონობაა მუშა-ქალისათვის. მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიაში გვაქვს ახალი მანქანები, ჩვენი მუშა- ქალი ყველაფერს, მისთვის და ბავშვებისათვის საჭიროს, აკეთებს საკუთარი ხელებით. გერმანელი მუშა-ქალი თავისის განვითარებით ჩამორჩება მამაკაცს და აი ამიტომ არ უჭირავს მას კულტურული განვითარების მხრივ პირველი ადგილი. **გერმანიაში განათლების მიღება შეუძლიათ მხოლოდ ბურჟუაზიული წრის ქალებს. ჩვენს მუშა-ქალს თავისი კვალიფიკაციის აწევაც კი არ შეუძლია საბჭოთა კავშირის მუშა-ქალის მსგავსად“.**

დასასრულ შულცმა სთქვა: „სახლში დაბრუნების შემდეგ ჩვენ უამბობთ გერმანელ მუშა-ქალს, თუ როგორ ჩამორჩა ის რუს მუშა-ქალს, და იმისათვის, რომ მონობიდან იხსნას თავი, მან უნდა იბრძოლოს ისევე, როგორც იბრძოდა საბჭოთა სახელმწიფოს მუშა-ქალი. **მხოლოდ რევოლიუციას თუ შეუძლია აჰყაროს მას მონობის ხუნდები. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!“.**

დელეგაცია დაათვალიერებს ბოტანიკურ ბაღს, აფხაზურ სკოლას, უპატრონო ბავშთა სახლს, სანატორიუმებს და სხვა მთელ რიგ საზოგადო და პროფკავშირის ორგანიზაციებს.

პროფსაბჭოს მესამე პლენუმი

გუშინ, საღამოს 6 ნახევარ საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში ამხ. გ. **ყურულიშვილის** თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს პროფსაბჭოს მესამე პლენუმი.

პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) საქართველოს 1926-27 წლის სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტი; 2) საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და 3) პროფსაბჭოს მუშაობის ანგარიში.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. **მგალობლიშვილი.**

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ბიუჯეტი საორიენტაციო და არა მტკიცეა. ბიუჯეტი შედგენილია დეფიციტით.

სახელმწიფო ბიუჯეტი უდრის 26.100.000 მანეთს, წელს კი უდრიდა 21.400.000 მანეთს. ახალი ბიუჯეტი გადიდებულია 4.700.000 მანეთით, ანუ 20 გაცილებით ნაკლები იყო.

ამ 26.100.000 მანეთში შედის სხვადასხვა ფონდები. ამ ფონდებს შორის არის მასწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი, შავი-ქვის და სათადარიგო ფონდები. ეს ფონდები უდრის 11.744.000 მანეთს. წარსულ წელს კი გაცილებით ნაკლები იყო.

მასწავლებელთა ფონდი უდრის 3.700.000 მანეთს: შავი-ქვის ფონდი შესდგა ჭიათურის შავი-ქვის კონცესიონერებზე გადაცემის შემდეგ. შავი-ქვის შემოსავალი შედის ამ ფონდში და იხარჯება საამშენებლო საქმეებზე. მაგალითად, მიმდინარე წელს ამ ფონდიდან 3 მილიონამდე დაიხარჯა ზაჰესის და ქაღალდის ქარხნის საჭიროებისათვის.

მომავალ საბიუჯეტო წელში ამ ფონდში შევა 2.930.000 მანეთი. აქედან ერთი მილიონი მანეთი დაიხარჯება საკონტროლო ორგანოებზე და საფუთო გადასახადის კომპენსაციებზე. დანარჩენი თანხა მოხმარდება სამრეწველო და სხვა საამშენებლო საქმეებს.

სათადარიგო ფონდი, რომელიც 200.000 მანეთს უდრის, დაიხარჯება ბიუჯეტით გაუთვალისწინებელ საქმეებზე.

საქართველოს ბიუჯეტის თანხები ცალკე უწყებებს შორის შემდეგნაირად აწილდება:

სახალხო განათლების კომისარიატი— 4.625.000 მანეთი; აქედან მარტო მასწავლებელთა შრომის ხელფასისათვის გადადებულია 2.668.000 მანეთი; ამაში არ შედის პირველი და მეორე საფეხურის სკოლები, რომლებიც ადგილობრივ ბიუჯეტზეა.

დანარჩენი კომისარიატებიდან ჯანმრთელობის და მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატისათვის გადადებულია თვითეულისათვის 1.700.000 მანეთი.

ადგილობრივი ბიუჯეტი

საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმმა გუშინდელ სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა 1926—27 სამეურნეო წლის ბიუჯეტი, წარმოდგენილი სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

ცენტრ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა შემდეგი:

1926—27 სამეურნეო წლის საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტი, ქ. თბილისის და მისი მაზრის გამოკლებით დამტკიცდეს შემდეგი რაოდენობით:

საშემოსავლო ნაწილი—8,962,908 მან.

საგასავლო ნაწილი — (მასწავლებელთა ფონდის ჩათვლით) 16,812,908 მან.

დეფიციტი—7,850 ათასი მანეთი.

ეს დეფიციტი დაიფარება შემდეგი წყაროებიდან: 3,700,000 მანეთი, 1 და 2 საფეხურის სკოლების მასწავლებლებისათვის მიკუთვნებულ სპეციალურ დოტაციით; 3,400,000 მ.—ბათომში გაუქმებული საერთო სახელმწიფო სახსრიდან და 750,000 მ.—ბათომში გაუქმებულ საფუთო გადასახადის ასანაზღაურებლად გამოთხოვილ თანხიდან.

ქ. თბილისის და მისი მაზრის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა: საშემოსავლო ნაწილი—10,591,695 მან.

გასავალი—17,273,867 მან.

დეფიციტი—6,682,172 მან.

ეს დეფიციტი დაიფარება: **2,115,172** მანეთი საერთო სახელმწიფო სახსრიდან დოტაციის სახით და 4,567,000 მანეთი სესხის საშუალებით.

სულ კი 1926—27 სამეურნეო წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა შემდეგი რაოდენობით:

გასავალი—19,554,603 მან.

შემოსავალი—34,086,775 მან.

დეფიციტი—14,532,172 მან.

ამასთანავე ცენტრ. აღმასკომის პრეზიდიუმი ადგენს: აღიძრას შუამდგომლობა შესაფერ ცენტრალურ ორგანოების წინაშე, რომ დამტკიცებულ იქნას ბიუჯეტის გასამაგრებლად გათვალისწინებული თანხა 9,215,172 მანეთი და ბათომში გაუქმებულ საფუთო გადასახადის ასანაზღაურებელი თანხა—750,000 მანეთი.

აგრეთვე დამტკიცებულია: სოფლებში არსებულ პოლიტგანმანათლებელ დაწესებულებათა საჭიროებისათვის დამატებითი ხარჯთაღრიცხვა 133.799 მანეთი; სოცდაზღვევის დავალიანების დასაფარავად — 300 ათასი მანეთი. სოფლის მასწავლებელთათვის შრომის ხელფასის გასადიდებლად [illegible] ათასი მანეთი.

ღამის ცნობები

ჯარების თავის მოყრა

პეკინი, 1 ოქტომბერი. გაზეთების ცნობით, ჩან-ძუნ-ჩანის ჯარი მოიწევს ბაო-ცინ-ფუსაკენ (პეკინის სამხრეთით რკინის გზით ხანკოუსაკენ). ჩან-ძო-ლინის ჯარიც მოძრაობს იმავე მიმართულებით.

ოსმალეთ ჩინეთის ხელშეკრულება

ბერლინი, 2 ოქტომბერი. კონსტანტინოპოლიდან მიღებული ცნობით, ოსმალეთსა და ჩინეთს შორის დაიდო სამეგობრო ხელშეკრულება.

შტრეზემანი მუშ. პარტიის კონგრესზე

ბერლინი, 2 ოქტომბერი. შტრეზემანს მხურვალე შეხვედრა გაუმართეს სახალხო პარტიის კონგრესზე კელნში, სადაც მან გააკეთა მოხსენება მთავარ პოლიტიკურ მოვლენებზე, რომლებსაც ეხება ლოკარნოს პოლიტიკა.

არგენტინა იარაღდება

ბერლინი, 2 ოქტომბერი. არგენტინის პარლამენტის მიერ ნება დართულ კრედიტების საშუალებით უნდა ააშენოს: სამი კრეისერი, 6 ნაღმოსან-გამანადგურებელი და 6 „სუბმარინი“.

გეოლოგთა ყრილობა

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. გაიხსნა სრულიად საკავშირო გეოლოგთა მეორე ყრილობა.

საფრანგეთ-სამხრეთ-სლავია

პარიზი, 2 ოქტომბერი. ბრიანის ნინჩიჩთან თათბირის გამო აღნიშნავენ მოსალოდნელ ხელშეკრულების დადებას საფრანგეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის მსგავსად პოლონეთის, რუმინიის და ჩეხო-სლოვაკიის ხელშეკრულებისა.

ალან კობხემი.

ბერლინი, 2 ოქტომბერი. ალან კობხემმა დასრულა თავისი გადაფრენა. მას გაუმართეს აღფრთოვანებული შეხვედრა ლონდონში.

გერმანია და ჩეხო-სლოვაკია

პარიზი, 1 ოქტომბერი. დაიწყო გერმანიის და ჩეხო-სლოვაკიის მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ.

ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალში

პარიზი, 1 ოქტომბერი. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალში ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებიდან დელეგატად დანიშნულია იუზი.

ესპანეთ - ტანჟერის შესახებ

პარიზი, 1 ოქტომბერი. მადრიდიდან მიღებული ცნობით, ოფიციალურად მტკიცდება, რომ ესპანეთს ექნება წინასწარი თათბირი ტანჟერის საკითხის გარშემო.

მუსოლინის თათბირი ბეტლენთან

ბერლინი, 1 ოქტომბერი. უნგრეთის პრემიერს ბეტლენს ექნება თათბირი მუსოლინთან რომში ამა თვის დამლევს.

კატასტროფა ნოტინგამის მაღაროებში

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. ნოტინგამის რკინის მაღაროების 48 მემაღარო, რომლებიც ხუთი დღის განმავლობაში ცოცხლად იყვნენ ჩამარხული, აფეთქების გამო 800 მეტრის სიღრმეზე მიწაში, იპოვნეს ცოცხალი და უვნებელი, მხოლოდ ძლიერ დასუსტებული იყვნენ სიმშილის გამო.

საქონელი საბჭოთა კავშირისათვის

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. ბუენოს აირესიდან იტყობინებიან, რომ ოდესაში გამოემგზავრა გემი „ვირგინია“ დატვირთული ტყავითა და სათრიმლავი მასალებით, სულ 850.000 დოლარის.

ფოლადის ტრესტის საპასუხოდ

ბერლინი, 1 ოქტომბერი. უკეთებს რა კომენტარიებს ევროპის ფოლადის ტრესტის დაარსებას „როტე ფანე“ აცხადებს: ფოლადის ტრესტის დაარსების საპასუხოდ პროლეტარიატმა უნდა შექმნას მთლიანი ფრონტი ნაციონალურ და საერთაშორისო მასშტაბით.

არც ერთი სიტყვა ტუარზე

ლონდონი, 2 ოქტომბერი. მუსოლინის ნახვის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრის დროს ჩემბერლენმა განაცხადა: მუსოლინთან საუბრის დროს შტრეზემანისა და ბრიანის შეხვედრის შესახებ ტუარში არც ერთი სიტყვა არ თქმულა.

ჯარების თავის მოყრა

პეკინი, 1 ოქტომბერი. გაზეთების ცნობით ჩან-ძო-ჩანის ჯარი მოიწევს ბაო-ტინ-ფუსაკენ (პეკინის სამხრეთით რკინის გზით ხანკოუსაკენ). ჩან-ძო-ლინის ჯარიც მოძრაობს იმავე მიმართულებით.

სეიმის დათხოვნის წინააღმდეგ

ვარშავა, 2 ოქტომბერი. დილის გაზეთების ცნობით — პრეზიდენტმა ვერ სცნო შესაძლებლად სეიმის დათხოვნა, ვინაიდან საამისო არ არის საკმაო მოტივები. ზოგიერთი მინისტრები, პირველ რიგში კი სამეურნეო მუშაკები, რომლებიც არ ეკუთვნიან პილსუდსკის მომხრეთა რიცხვს, სეიმის დათხოვნის წინააღმდეგ წავიდენ.

საბჭოთა კავშირში მოდიან.

ლონდონი, 2 ოქტომბერი. „დეილი მეილის“ კორესპონდენტი მონრეალში (კანადა) იუწყება, რომ 16 დუხობორების ოჯახი, 100 კაცამდე თავის ძველ სამშობლოში—რუსეთში გაემგზავრა. ეს პირველი შემთხვევა ისტორიაში, რომ სექტანტები ბრუნდებიან რუსეთში იმის შემდეგ, რაც ისინი დასახლდენ კანადაში.

◆

სატარიფო თათბირი

30 სექტემბერს პროფსაბჭოს ახალ დარბაზში გაიხსნა რესპუბლიკანური სატარიფო თათბირი.

კოლექტიური ხელშეკრულებების დადების კამპანიისა და შრომის ხელფასის გადიდების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **მარიამიძემ.**

მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა წინასწარი მუშაობა ჩაატარა პროფსაბჭომ შრომის ხელფასის გასადიდებლად. ეს მუშაობა მდგომარეობდა შემდეგში: კავშირებთან ერთად გამოკვლეული იქნა ხელფასის ეხლანდელი მდგომარეობა, შრომის ნაყოფიერების დონე, ცალკე წარმოებათა ფინანსიური მდგომარეობა და სხვა.

გარდა ამისა, პროფსაბჭოს შუამდგომლობით სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დაარსებულია სპეციალური კომისია, რომელიც ამავე საკითხებს იკვლევს.

მოხსენების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მკაფიოთ არის გამოხატული პროფკავშირების პოლიტიკა ხელფასის მომატების დარგში.

ამ რეზოლიუციის მიხედვით, კოლხელშეკრულებათა გადასინჯვის დროს უნდა იქნეს მიღებული ზომები ჩამორჩენილი ჯგუფების ხელფასის ასაწევად და წარმოებებში მუშათა სხვადასხვა ჯგუფების ხელფას შორის არსებულ განსხვავების შესამცირებლად.

ამ მიზნით საჭიროა ხელფასის მდგომარეობის შესწავლა ცალკე წარმოებებში. სხვადასხვა ჯგუფების ხელფას შორის არსებულ განსხვავების შესამცირებლად საჭირო არ არის მტკიცე დანართების შემოღება ან და განაკვეთების გადიდება; ამისათვის საჭიროა ხელფასის გაცემის ფორმების და სისტემის მოწესრიგება (წასაქეზებელი სისტემა, ნარდი სამუშაოები, ჯილდოები და სხვა.)

ამასთანავე კოლხელშეკრულებების პროექტები აუცილებლად განხილული უნდა იქნეს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე არა მარტო თბილისში, არამედ მაზრებშიც.

იმ შემთხვევაში, თუ სამეურნეო ორგანოებთან მოლაპარაკების დროს საჭირო დათმობაზე წასვლა, ეს საკითხი უნდა დაისვას საერთო კრებაზე და მისი გადაწყვეტა უნდა მოხდეს მუშების თანხმობით.

პარტიული ცხოვრება

ამხ. სმირნოვის საქმე

მოსკოვი, 1 ოქტომბ. საკავშირო კომპარტიის მოსკოვის საკონტროლო კომისიის სამდივნოს სხდომაზე 15 ნოემბერს მოსმენილ იქნა საკავშირო კომპარტიის წევრის 1907 წლიდან, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმში მომუშავე ვ. ი. სმირნოვის მოხსენება, რომელსაც ბრალად ედება გამთიშავი ფრაქციული მუშაობის წარმოება.

მოსკოვის საკონტროლო კომისიამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ჩაითვალოს დამტკიცებულად სმირნოვის მონაწილეობა არალეგალურ ფრაქციულ, ე. წ. „სოკოლნიჩესკი რაიონის აქტივის კრებაზე“ 12 აგვისტოს და ამ კრებაზე გამოსვლა განცხადებით, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის მიერ მიღებულ დადგენილებებს და საერთო პარტიულ პოლიტიკურ ხაზს და მოწოდებით მიმართვა ორგანიზაციულ მუშაობისა პარტრიგების გახრწნის საქმეში, რაც წარმოადგენს პარტწესდებისა და პარტიის მე-10, მე-13 და მე-14 ყრილობათა დადგენილებების დარღვევას. აღიარებულ იქნას, რომ მსგავსი საქციელი, ჩადენილი ც. კ. და ც. საკ. კომისიის ივლისის პლენუმების შემდეგ, რომელთაც კატეგორიულად დაგმეს ლაშევიჩისა, ბელენკისა და სხვების ანალოგიური ცდები, იწვევს პარტიის მთლიანობის დარღვევას. ცნობილ იქნას, რომ მოსკოვის საკონტროლო კომისიის პარტიულ კოლეგიის სხდომაზე სმირნოვის მიერ გამოთქმული შეხედულებები პარტაპარატის მნიშვნელობასა და როლზე, აშკარად ანტილენინურია და პარტიისათვის უცხო.

მიღებულია რა მხედველობაში ის, რომ სმირნოვი პასუხისგებაში იყო მიცემული ფრაქციულ დაჯგუფებებში მონაწილეობისათვის, რომ მას ც. საკ. კომისიის მიერ გამოეცხადა სასტიკი საყვედური, რის შემდეგაც ის არ გამოსწორებულა და განაგრძობს ფრაქციულ მუშაობის წარმოებას და პარტრიგების დაშლას, გამორიცხულ იქნას ის საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებიდან.

პარტიიდან გამორიცხვა

ნიჟნინოვგოროდი, 2 ოქტომბერი. საგუბერნიო პროფსაბჭოს პლენუმმა გამორიცხა პლენუმის პრეზიდიუმიდან **ნეიშჩეევი და კუზნეცოვი,** რომლებმაც ისარგებლეს თავისი თანამდებობითი მდგომარეობით ერთდროული უკანონო დახმარების მისაღებად. ნეიშჩეევს აუკრძალეს სამი წლის განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობა.

გამორიცხეს აგრეთვე პლენუმიდან საბჭოთა და სავაჭროთა მოსამსახურეების პროფკავშირის საგუბერნიო განყოფილების ყოფილი თავმჯდომარე ვოტოშნიკოვი, რომელმაც ბოროტმოქმედება ჩაიდინა კავშირის ფულების დახარჯვაში.

საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის მე-3 პლენუმი

30 სექტემბრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. მელიკის მოხსენების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღო 14 ამხანაგმა, რომლებიც აღნიშნავდენ დადებით და უარყოფით მხარეებს მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის გატარების საქმეში.

შემდეგ გამოვიდა ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ამხ. **ნაზარეტიანი.**

ჯამი გაუკეთა რა ამხანაგების გამოსვლას, ამხ. ნაზარეტიანმა აღნიშნა, რომ გამართულ კამათში გამოირკვა ყველა ის ნაკლულევანებანი მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის გატარების საქმეში, რომლებიც აღნიშნული იყო ამხ. სტალინის, რიკოვის და კუიბიშევის უკანასკნელ ცირკულიარშიც.

— თუ ჩვენ გადავხედავთ ყველა ცირკულიარებს და დირექტივებს, ამბობს ამხ. ნაზარეტიანი, —უნდა ითქვას, რომ აპრილიდან, სახელდობრ, პირველი დირექტივის მიღებიდან, განსაკუთრებით ბევრი არ გაკეთებულა არსად, არც კავშირში და არც საკავშირო რესპუბლიკებში. მეტის გაკეთება არც შეიძლებოდა, რადგან ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისათვის არის კამპანია, რომელიც დიდხანს გაგრძელდება.

მომჭირნეობის რეჟიმის ძირითადი ამოცანაა—ინდუსტრიალიზაციის ფონდის შექმნა და გაძლიერება. იმისათვის, რომ გავაძლიეროთ ინდუსტრიალიზაციის ფონდი, პირველ რიგში, საჭიროა მთელი წარმოების რაციონალიზაცია. ყველაზე დიდ ეფექტს მომჭირნეობის მხრივ იძლევა წარმოების რაციონალიზაცია. ჩვენ, რასაკვირველია, შეგვიძლია რომელიმე ავტომობილზე, რომელიმე მოწყობილობაზე გადავარჩინოთ ესა თუ ის კაპეიკი, მაგრამ განა ასეთი წვრილმანებით ჩვენ შევძლებთ ინდუსტრიალიზაციის ფონდის გაძლიერებას? რასაკვირველია, არა.

შევეხოთ თვით დირექტივას. ის ფაქტი, რომ დირექტივა გახდა მთელი პროლეტარიატის ლოზუნგად, ამტკიცებს, რომ დირექტივა უეჭველად სწორია, და მას არავითარი შესწორება და გაუმჯობესება არ ესაჭიროება.

ყოველი დირექტივა თავისი რეალიზაციისათვის მოითხოვს პრაქტიკულ გეგმას. გეგმა უნდა შეეხოს ყველა არსებულ დაწესებულებებს და წარმოებებს, უმთავრესად სამეურნეო და სავაჭრო წარმოებებს, რომლებიც დიდ თანხებს ატრიალებენ. აქ ჩვენ შეგვიძლია მაქსიმალურ ეფექტს მივაღწიოთ ინდუსტრიალიზაციის ფონდის შექმნის საქმეში. ასეთი გეგმა შემუშავებული იქნა ა.-კ. საკონტროლო კომისიის მიერ, წარედგინა ა.-კ. საოლქო კომიტეტის პლენუმს და მაისში შესასრულებლად დაეგზავნა რესპუბლიკებს.

მუშაობის შემდეგი ეტაპია:—გეგმის შესრულება, პროგრამის შემუშავება. როგორ უნდა გატარდეს იგი? ამაშია სწორედ საკითხის სიძნელე. მუშაობის მესამე და ყველაზე უფრო ძნელი საფეხურია—გეგმის შესრულება.

როდესაც ჩვენ გადავედით ამ მესამე მომენტზე, დავინახეთ, რომ ამ მხრივ მუშაობა სუსტად ვითარდებოდა, როგორც ა.-კ. მუშათა და გლხეთა ინსპექციაში, ისე რესპუბლიკანურ ინსპექციებში. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ მომჭირნეობის რეჟიმის გატარების კამპანიაში ვერ ჩავაბით ყველა ის ორგანიზაციები, რომლებიც ნაგულისხმევი იყო გეგმაში. სწორეთ ამით აიხსნება ის დეფექტები, რომლებიც ემჩნევა ჩვენს მუშაობას.

აიღეთ ჩვენი პრესა. განა ის საკმარისად აშუქებდა ჩვენს მუშაობას მომჭირნეობის რეჟიმის გატარების დარგში. განა ამხ. მელიკის მოხსენებაში ცოტა იყო მასალა პრესაში გამოსაქვეყნებლად. პრესა საკმაოდ ჩაბმული ვერ იქნა ჩვენს მუშაობაში. იგივე უნდა ითქვას პროფკავშირების და მუშკორების შესახებ. მუშკორებს კი დიდი როლი უნდა ეთამაშნათ ამ მუშაობაში. უკანასკნელი ეტაპია—იმ ღონისძიებათა რეალიზაცია, რომლებიც უკვე შემუშავებულია გეგმის შესრულების შემდეგ. ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. წარმოება-დაწესებულებების გამოკვლევის დროს აღმოჩენილი იქნა ბოროტმოქმედებანი. ჩვენ გვაქვს მიღებული გადაწყვეტილება პასუხისგებაში მიცემის შესახებ, არის სათანადო აღმასრულებელი ორგანოებიც. ხშირად ამ ორგანოებს დროზე არ მოჰყავთ სისრულეში ჩვენი კარგი გადაწყვეტილებები. ჩვენ უნდა ვაიძულოთ ისინი, რომ სათანადოთ იმუშავონ, თვალყური უნდა ვადევნოთ მათ და გავაკეთებინოთ ის, რაც საჭიროა დღეს.

მჭიდროდ ლენინურ ცეკას გარშემო

ს. კ. პ. (ბ) ფოთის კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა, კომუჯრედის მდივნებთან ერთად მოისმინა რა მან ამხ. ზოგირაძის მოხსენება, საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის დადგენილებებზე აღნიშნავს, რომ ახალი ოპოზიცია სავსებით გადასცდა ლენინურ გზას და ლიკვიდატორულ მოვლენას წარმოადგენს ჩვენს პარტიაში.

ამის დამამტკიცებელი არის ამხ. ზინოვიევის, კამენევის და სხვების დადგომა ტროცკიზმის პლატფორმაზე, რომელიც (ტროცკიზმი) იყო და არის ლენინიზმის მოწინააღმდეგე იდეოლოგია.

მთელ რიგ საკითხებში ოპოზიცია იძლევა ისეთ წინადადებს, რომლებიც ძირს უთხრიან პროლეტარულ დიქტატურას.

პლენუმს დაუშვებლად მიაჩნია ფრაქციული მუშაობა, რომელსაც ხელმძღვანელობენ ტროცკი, ზინოვიევი და კამენევის ჯგუფი, მით უმეტეს, რომ ზინოვიევი და კამენევი გასულ წლებში თვით სასტიკად ილაშქრებდენ ფრაქციებისა და ჯგუფების წინააღმდეგ.

ფრაქციულ მუშაობას შეუძლია მიიყვანოს ჩვენი პარტია გახეთქილებამდე, რაც მოასწავებს საბჭოთა ხელისუფლების და პროლეტარულ დიქტატურის დამხობას.

პლენუმი ხაზსმით აღნიშნავს, რომ მაშინ, როდესაც პარტია და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე სდგას მრავალი რთული საკითხები, როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიურ სფეროში, პარტიამ განსაკუთრებული სიძლიერით უნდა შეამჭიდროვოს რიგები და განამტკიცოს ფოლადისებური მთლიანობა, რათა წარმატებით დაძლიოს მის წინაშე წამოჭრილი სიძნელენი.

ოპოზიცია კი თავისი მოქმედებით ასუსტებს პარტიის მთლიანობას და მით ძალა უნებურად ეხმარება ჩვენს მტრებს.

პლენუმი მოუწოდებს ფოთის ორგანიზაციის ყველა წევრებს ბოლშევიკური გამბედაობით აწარმოონ სასტიკი ბრძოლა ყოველ გვარი ჯგუფობრიობის და ფრაქციულობის წინააღმდეგ პარტიის მთლიანობის შესანარჩუნებლად.

პლენუმი აფრთხილებს პარტიის ყველა წევრებს, რომ ისინიც, ვინც დაარღვევს პარტიის დადგენილებებს შეეცდება დაარღვიოს პარტიის მთლიანობა თავს პარტიის რიგების გარეშე დააყენებს.

პლენუმი იწონებს პრეზიდიუმის დადგენილებას ყველა უჯრედში პლენუმის დადგენილებათა პოპულიარიზაციის კამპანიის ჩატარების შესახებ და ხდის აუცილებლად მომავალში ამ კამპანიას მიეცეს სისტემატიური ხასიათი.

მჭიდროდ შევუერთდეთ ლენინურ ცეკას გარშემო მთლიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ!

ძირს ახალი ერთიანებული ოპოზიცია!

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას ლენინიზმის დროშის ქვეშ!

გაუმარჯოს ლენინურ პარტიის ბოლშევიკურ ცეკას!

არ დაუშვებთ ლენინის გზიდან გადახრას.

ა.-კ. რკ. მთავარ სახელოსნოს კომკავშირის უჯრედების გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. სალუქვაძის საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმის რეზოლიუცია საბჭოების გადევის შესახებ, მთავარ სახელოსნოს კავშირის საერთო კრება სავსებით იწონებს პლენუმის დადგენილებებს და აღიარებით აღნიშნავს იმ ანტი-ლენინურ გზას, რომელსაც დაადგა ახალი ოპოზიცია, ზინოვიევის, ლაშევიჩის და სხვ. მეთაურობით.

ლენინური კომკავშირი ვერ ასცდება იმ გზას, რომელიც აჩვენა დიდმა ბელადმა ლენინმა [illegible] ცდა ოპოზიციისა პარტფრაქციულ დაჯგუფებებისა ვერ შეარყევს ჩვენს რწმენას სოციალიზმის მშენებლობაში.

კრება ასთქვამს სურვილს ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ყოველგვარ ფრაქციულ მოქმედებას ოპოზიციის მხრივ და ამავე დროს კრება სავსებით იზიარებს [illegible] მასის, საშუალო და ღარიბის [illegible] შესახებ.

მთავარ სახელოსნოს ლენინური კომკავშირის გაერთიანებული კრება ერთხელ კიდევ მოაგონებს ყველა ამხანაგებს, რომ ისინი კავშირის არის ლენინური და არასდროს არ დაუშვებს არავითარ ანტილენინურ გადახრებს თავის რიგებში.

გაუმარჯოს ჩვენ ფოლადისებურ ლენინურ ცეკას.

გაუმარჯოს მთლიან კომპარტიას.

ძირს გაერთიანებული ოპოზიცია.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

დაწესებულებათა ბინების შესახებ

ბინა ხარჯების ერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს დაწესებულებისათვის. შენობას, რომელშიაც დაწესებულება მუშაობს, მოვლა და პატრონობა უნდა. როგორ ასრულებენ ამ მოვალეობას დაწესებულებები? სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ხშირად სრულიად უგეგმოთ და მიზანშეუწონლად.

მაგალითად, გამოცდილებით ვიცით, რომ ბინების შინაგანი რემონტი ბევრად წინ უსწრებს სახლების გარეგან რემონტს. სახლის პატრონი დაწესებულებები უფრო ნაკლებათ იტკივებენ თავს სახურავის, კედლების, კარ-ფანჯარის და სხვათა შესაკეთებლად. სამაგიეროთ თქვენ ძალიან ხშირად ხდებით გაცხოველებულ შინაგან რემონტის მოწმე.

ოთახების გადაკეთებ-გადმოკეთება, გატიხვრა, კედლებ-ჭერის შელამაზება-შეღებვა, იატაკის შეკეთება, ძვირფასი კანალიზაციის და განათების მოწყობილობა და სხვა. ყოველივე ეს ზოგჯერ სრულიადაც არ არის აუცილებლობით გამოწვეული. მაგრამ, თუ მაინც კეთდება, ეს იმიტომ, რომ დაწესებულებამ, ასე ვსთქვათ, თავის წოდების ღირსი გამომეტყველება მიიღოს.

ამავე დროს სახლს სახურავი ალპება, კედლები ირღვევა და იცრიცება. მაგრამ არავინ ზრუნავს მის შესაკეთებლად, რადგან დაწესებულებისათვის პირველყოვლისა არსებობს შინაგანი რემონტი და შემდეგ გარეგანი.

გარდა ამისა ერთ და იმავე შენობაში ხშირად რამდენიმე დაწესებულებებია. ისინი ერთმანეთის ჯიბრით არ უჩქარიან სახლის შეკეთებას. თითოეულ მათგანი თავის კუთხის გამშვენიერება-კეთილმოწყობაზე ზრუნავს.

ჩვენ კი ვიცით, რომ საბინაო ნაშენობის დასაცავად პირველი მნიშვნელობა აქვს გარეგან რემონტს. დაწესებულებები ზოგჯერ ამას არ დაგიდევენ. ისინი „ყურწადებით“ არიან გარეგან რემონტზე. სახლი ამასობაში დღითი-დღე ძველდება და ფუჭდება და მანეთის ან ათი მანეთის რემონტი რამოდენიმე ხნის განმავლობაში ათასი მანეთის რემონტად იზრდება.

ხშირად, როდესაც შეეკითხები დაწესებულების ხელმძღვანელ პირებს, რატომაა, რომ ისინი ასე დიდ ყურადღებით ეკიდებიან შინაგან რემონტს, პასუხად მიიღებთ: ძალიან ვიწროობა და მოუწყობლობა გვაქვს, საქმეც ფერხდება და თანამშრომლებიც ავადდებიანო. ამავე დროს ამავე დაწესებულებაში თქვენ ზოგჯერ წარმოუდგენელ უთავბოლობას შეხვდებით სამუშაო ოთახების განაწილების საქმეში.

ერთი მხრივ დაწესებულების ხელმძღვანელებს და პასუხისმგებელ მუშაკებს უჭირავთ განიერი, ნათელი და ცალკე ოთახები. ტექნიკური მომუშავეები კი ისე არიან შეჯგუფული, რომ მაგიდებს შორის გავლაც შეუძლებელია. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ყოველგვარ რემონტზე უფრო სასარგებლოა სამუშაო ოთახების რაციონალურად განაწილება.

რაც შეეხება შინაგან რემონტს, ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ავიღოთ ხელი დაწესებულებათა ბინების გადაკეთება-გადმოკეთებ[illegible]ვან, როცა ამის აუცილებელი საჭიროება არაა. სამაგიეროთ მეტად უნდა ვიზრუნოთ საბინაო ნაშენობის დაცვაზე, რისთვისაც საჭიროა გარეგან რემონტის გაძლიერება.

გ. კალატოზი.

მომჭირნეობა რკინის გზაზე

სისტემატიური და თანდათანობითი გატარება მომჭირნეობისა ა.-კ. რკ. გზებზე დაიწყო ამა წლის 19 მაისიდან, როდესაც შესდგა გზების გამგეობის გაფართოებული საორგანიზაციო თათბირი მომჭირნეობის რეჟიმის გატარების შესახებ. ამ თათბირზე იქნა დასახული გზა, რომლითაც უნდა გატარებულიყო მომჭირნეობა და არჩეულ იქნა სპეციალური საგზაო კომისია. ამავე თათბირმა გამოიტანა სახელმძღვანელო დადგენილებები, თუ როგორ უნდა ემუშავნათ ადგილებზე და ცალკე სამსახურში. თათბირის მიერ ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ მომჭირნეობის გასატარებლად ყურადღება მიექციათ საწარმოო კომისიების და თათბირების მუშაობისათვის და მათი საშუალებით გაეტარებიათ ლოზუნგი ცხოვრებაში.

კომისიების, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე ორგანიზაციულად ჩამოყალიბების შემდეგ იწყება უკვე პრაქტიკული საქმიანობა. ცენტრალური კომისია იხილავს ისეთ არსებით საკითხებს, როგორიცაა: ადგილობრივ ხარჯების სადგურების შემოსავლიდან დაფარვა, გზების გამგეობის მიერ ვალცმულ ფონდების აღრიცხვა, კლიენტების მიერ მოთხოვნილ ვაგონების სისწორით გამოყენება. სამოძრაო საშუალებათა რაციონალურად გამოყენება, მივლინებათა შემცირება და სხვა.

სირთულე და მრავალფეროვნება ისეთი დიდი სამეურნეო ერთეულისა, როგორიცაა რკ. გზა, საშუალებას არ გვაძლევს დაწვრილებით აღვნიშნოთ ამ მოკლე საგაზეთო წერილში ყველა ის ცალკე დასახული ღონისძიებები, რომლების გატარება მიზნად დაისახეს კომისიებმა. მათგან აღვნიშნავთ მხოლოდ უფრო თვალსაჩინო ღონისძიებებს, რომლებიც ნაწილობრივ უკვე გატარებულ იქნენ ცხოვრებაში და ნაწილობრივ ეხლაც ტარდება.

წევის დარგში კომისიამ მიზნად დაისახა: საორთქლმავლო პარკის ბრუნვის მოწესრიგება, მსხვილ შეკეთებათა ხარჯების, მუშაობის სისწორით აღნუსხვა და სხვა.

მოძრაობის დარგში დასახული იყო სამოძრაო საშუალებათა გამოყენების გაუმჯობესება გადაზიდვებში არსებულ დეფექტების გამოკვლევა და გამოსწორება.

სალიანდაგო დარგში—სალიანდაგო სამუშაოების სისტემის და გეგმაშეზომილების გაღრმავება. ნარდი მუშაობის შემოღება და მუშა ხელის სისწორით გამოყენება; ქრონომეტრიული გამოკვლევა სალიანდაგო სამუშაოებისა. სალიანდაგო მუშაობის მექანიზაცია და სისტემატიური კონტროლი მათი თვისებებისას; სახელოსნოების გაუმჯობესება—მოწყობა და სამუშაოთა მ[illegible]რაგება თანამედროვე ხელსაწყოებით; აგენტურის კვალიფიკაციის და შრომის ნაყოფიერების აწევა. [illegible]ების მომჭირნედ გამოყენება და მათი [illegible]ების გაუმჯობესება; საამშენებლო მუშაო[illegible] თანამედროვე, უფრო გაუმჯობესებულ [illegible]ნაშენობათა პროექტების გამოყენება და [illegible]ბის თანამედროვე მეთოდების შემოღება, სტანდარტიზაცია ლიანდაგზე საჭირო [illegible]ების დამზადებისა.

[illegible] ღონისძიებების გატარება კომისიებმა [illegible] გზების ყველა დანარჩენ დარგებში: სამეურნეო-მატერიალურში, ნავთსადგენში, ელექტროტექნიკურში, კომერციულში, მთავარ სახელ[illegible]ებში და ცალკე სამსახურების უბნებში.

[illegible]ია, რომ ყველა ჩამოთვლილ ღონისძიებათა [illegible] შეუძლებელია რამოდენიმე [illegible]ვლობაში.

მ. ლ.

[illegible]ის დაკლების შესახებ

(წერილი მოსკოვიდან)

[illegible]ს ლაპარაკობდენ და კიდევ უფრო[illegible] სწერდენ საცალო ფასების და[illegible]. მაგრამ საგრძნობი შედეგები [illegible]ჯერობით არა გვაქვს.

[illegible]რობის სახალხო კომისარიატის [illegible]ის თანახმად ფასებმა საგუბერნიო [illegible]ლაქებში დაიწია 5—6 პროცენტით, [illegible]ოლო მაზრებში კი—სულ 2 პრო[illegible]. მომხმარებელთა მასა, ცხადია, [illegible]ს ასეთი დაკლებას ვერ გრძნობს. [illegible] წარმოსდგება საფუძვლიანი უკმაყოფილება.

[illegible]მათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი ადასტურებს ფასების [illegible]ნელო დაკლებას. ეს საკითხი გა[illegible]ა შრომისა და თავდაცვის საბჭომ [illegible] აღნიშნა, რომ ფასების დაკლება [illegible] სწარმოებდა არა იმ ტემპით, რო[illegible] ეს განზრახული იყო შრომისა და [illegible]აცვის საბჭოს 2 ივლისის დადგენი[illegible]ით.

[illegible]ასების დაკლებას სოფლებამდე თითქმის არც კი მიუღწევია. ზოგიერთ საქონ[illegible]ზე ფასების დაკლებას სრულიად არ [illegible]ია ადგილი.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადასტურა თავისი წინანდელი დადგენილება საცალო ფასების დაკლების შესახებ და წინადადება მისცა ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ყოველნაირი ზომები მიიღოს ამ დადგენილების განსახორციელებლად.

ლ. შ—ლი.

მოსკოვი, 25 სექტემბერი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მუზეუმის დათვალიერება

ქუთაისი, 1 ოქტომბერი. (საკუთარი კორესპ.) ქუთაისის მუზეუმი ინახულა საკავშირო ცაკის მდივანმა ამხ. ენუქიძემ, ამხ. მამია ორახელაშვილმა, მარიამ ორახელაშვილმა, სიმონ ჯუღელმა და მოსკოვიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა; მუზეუმი გულდასმით დაათვალიერეს; სტუმრები კმაყოფილი დარჩენ მუზეუმის მდგომარეობით.

საგზაო მშენებლობა

თელავი, 1 ოქტომბერი. მაზრაში მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა შარა-გზის შესაკეთებლად. პირველ რიგში აკეთებენ თელავ-ლაგოდეხის გზას, რომელსაც 60 ვერსის სიგრძე აქვს. გლეხები ხალისით გამოდიან სამუშაობაზე. მეორე რიგში შეუდგებიან თელავ-სიღნაღის შარა-გზის შეკეთებას.

საშემოდგომო ხვნა

თელავი, 1 ოქტომბერი. შეუდგენ მინდვრების საშემოდგომო ხვნას საზამთრო ნათესისათვის.

საკრედიტო ამხ-ბის გადარჩევა

სიღნაღი, 1 ოქტომბერი. (საკუთარი კორესპ.) დღეს მთელ სიღნაღის მაზრაში დაიწყო საკრედიტო ამხანაგობების ხელახალი გადარჩევა.

აფხაზეთი

გერმანიის მუშა-ქალთა დელეგაცია

სოხუმი, 1 ოქტომბერი. დღეს ახალ ათონში ჩამოვიდა გერმანიის მუშა-ქალთა დელეგაცია 16 კაცის შემადგენლობით. პროფკავშირებისა და მთავრობის წარმომადგენლები გაემგზავრენ ათონში. ხვალ დელეგაცია ჩამოვა სოხუმში.

ცაკის მესამე სესია

სოხუმი, 1 ოქტომბერი. აფხაზეთის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა ცაკის მესამე სესია მოიწვიოს 25 ოქტომბერს შემდეგი დღის წესრიგით: აფხაზეთის მომავალი წლის ბიუჯეტი, მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და გალის სამაზრო აღმასკომის საქმიანობა, აფხაზეთის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა და მიღებულ დადგენილებათა დამტკიცება.

144 წლის კაცი

სოხუმი, 1 ოქტომბერი. აფხაზეთის სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა პენსიაზე აიყვანა სოფელ ლაკის მცხოვრები, 144 წლის ნიკოლოზ შარკოვსკი.

წერილები

1874—1924

წელს საგარეჯოს სახალხო თეატრს შეუსრულდა არსებობის 50 წელი.

ვინ არ იცის, თუ როგორ დევნილი იყო ქართული ენა და მით უმეტეს ქართული თეატრი განსაკუთრებით 1900—5 წლამდე.

ჩვენი საუკეთესო ძალები დრო გამოშვებით-მაინც იძულებული იყვნენ განშორებოდნენ ქალაქის სიდუხჭირეს, შავქალას, და იქ სოფლის პირობებში პოვებდნენ თავშესაფარს. ასეთ ერთი-ერთი თავშესაფარი გასულ საუკუნის 2-რე ნახევარში გახდა სწორეთ სოფელი საგარეჯო, რომელიც მდებარეობს თბილისის მახლობლათ, დასახლებულია მჭიდროთ და კულტურულ მუშაობის შესაძლებლობას წარმოადგენს. ამით უნდა ავხსნათ, რომ ხსენებულ დროს სათეატრო საქმისადმი დაინტერესებულ პირებმა საგარეჯო გაიხადეს სამოქმედო ასპარეზად.

იმ დროს წერა-კითხვის მცოდნე საგარეჯოში 1—10-დე ძლივს აღწევდა. ამ ხანებში დაარსდა აქ ერთკლასიანი სკოლა. იყო სრული სიბნელე, სიბეჩავე, სიღარიბე და ხალხს თავს ადგა ბურუსი, შეუგნებლობა. გაჩნდა თეატრი, მას მოჰყვა სკოლა. სათეატრო საქმეების წინამსვლელობასთან ერთად იზრდებოდა სწავლა - განვითარების საქმეც.

საგარეჯოს თეატრი ჩირაღდანივით ენთო 50 წ. მანძილზე და ხალხს სწავლა-განვითარებისაკენ გზას უნათებდა, მომავლის შეგნებას უნერგავდა, თავის უფლებისადმი ლტოლვას უღვიძებდა რევოლუციონურ აღტყინებას აღვივებდა.

დღეს საგარეჯო სულ სხვაა, ის არ წააგავს თბილისის მაზრის და აღმოსავლეთ საქართველოს არც ერთ თემს და კუთხეს სწავლისადმი მისწრაფებით და საერთოდ საზოგადოებრივი შეგნებით. როდესაც თქვენ საქმე გაქვთ საგარეჯოს გლეხობასთან, სასოფლო ყრილობასთან, თქვენ გრძნობთ, რომ იმყოფებით პოლიტიკურად და კულტურულად დაწინაურებულ კუთხეში.

საგარეჯოში სწავლა, შეგნება და სკოლისადმი ლტოლვა დიდია.

ბევრია აქ ინტელიგენტური ძალები, საზოგადო მოღვაწენი, მასწავლებლობა. ყველანი საზოგადო საქმისაკენ მოისწრაფიან.

საგარეჯოს მშრომელი გლეხობა და ინტელიგენცია მთელი რიგი სოფლებით ზეიმობს თავის განმანათლებელ თეატრის 50 წლის იუბილეს.

ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია, ბევრი რამ გვაწუხებს, უსახსრობა და სიღარიბე. ხელებს გვიბორკავს (ყოველ წლობით მოუსავლელობა, მწირე მიწები) არ გვაქვს შენობა ტეხნიკუმისათვის, არ გვაქვს ელექტრო-სადგური, არ გვაქვს აბანო, საბავშვო სახლი, ბაღები, ხეირიანი გზები, საავადმყოფო. არ არის ჩატარებული მიწათ-მოწყობა.

სოფელი საჭიროებს დაგეგმვას, ტყეების მოშენებას, საცდელ მინდვრების მოწყობას და სხვა. საგარეჯოში არ არის ერთი რიგიანი შენობა, რომ ის სკოლისათვის ან სხვა რამისთვის გამოგვადგეს.

საგარეჯოს გლეხობა უკანასკნელ კაპეიკსაც არ იშურებს, რომ საზოგადო საქმე გაკეთდეს, სოფელი - სოფელს დაემგვანოს — გამშვენიერდეს, მხოლოთ მას სჭირია დახმარება და ხელმძღვანელობა სათანადო ორგანოების მიერ.

ეს ასეც იქნება. მუშურ - გლეხური მთავრობა კახეთის მშრომელთა მისწრაფებას გზას მისცემს, დაეხმარება და წინ წასწევს. მეტი ყურადღება საგარეჯოს და მის აღმშენებლობითი საქმეს. სალამი იუბილიარს, საგარეჯოს სახალხო თეატრს.

იერემია იმნაიშვილი



საგარეჯოს სახალხო თეატრის დამაარსებელ-მოამაგენი

მერ. გულისაშვილი, ალ. ცხვითაძე (გარდაცვლ.), შაქრო გულისაშვილი (გარდ.), ლევ. ჩერქეზიშვილი (გარდ.).

მემარიობე მასწავლებელი

(წერილი ლეჩხუმიდან)

პროკოფი ჰოხონელიძე მეტად სანდო და [illegible] კაცია. მაგრამ ფული ისეთი გაიძვერა რამეა, რომ მის მოსავლელად მარტო კეთილსინდისიერება არ კმარა, აქ ცოტა სიფრთხილე და თავდაჭერილობაცაა საჭირო. განსაკუთრებით თუ სხვისი ფული გაქვს ხელში.

პროკოფის სწორედ ეს უკანასკნელი თვისება, სიფრთხილე და თავდაჭერილობა აკლდა. მისდა ჭირად. სწორედ იმ დღეს, როცა ჰოხონელიძემ ამხანაგების დაუვალებლად ალპანის თემის მასწავლებლების ერთი თვის ჯამაგირი 317 მან. აიღო და ცაგერიდან გზას გაუდგა. მარიობა იყო. პროკოფის ფული სასოებით გახვეული ჰქონდა ხელსახოცში და პერანგის უბეში ედო.

გზა გაგრძელდა. თან ლეჩხუმის სუფთა ჰაერზე და ანკარა წყლებზე მადაც მოუვიდა. იფიქრა, მოდი ეშმაკს გადავაფურთხებ, მახლობელ სოფელში მემარიობებთან შევალ ყელს გავისველებ, კუჭს მოვიმაგრებ და ისე გავაგრძელებ გზასო. ასედაც მოიქცა...

ცოტა ხნის შემდეგ პროკოფი ჰოხონელიძე სოფ. დეხვირში განიერათ მოჯდომოდა პურ-ღვინით სავსე სუფრას და არხეინად უკრიმანჭულებდა. ალპანის მასწავლებლებს ამ დროს ფოსტის მოსვლისაკენ ეჭირათ თვალი. აბა, როდის მოვა ფოსტა და მოგვიტანს ფულსო. მაგრამ მათი „ფოსტა“ არ იჩქაროდა. ის დეხვირში ისველებდა ყელს და ალპანის მასწავლებლების მშობლებს „სასუფეველს უმკვიდრებდა“...

მზე უკვე თოხის ტარზე იქნებოდა დასული, როცა პროკოფიმ მასპინძლის „ასაშენებელი“ სადღეგრძელო მიირთვა და სუფრას გამოეთხოვა... მოდის პროკოფი ორღობეებში, მოდის და ფეხებს ძლივს მოათრევს. წინად მშიერი კუჭი უჭირვებდა საქმეს, ეხლა ფეხები ებორკებიან წინ... ცოტა ხნის შემდეგ პროკოფის თვალის ქუთუთოებიც დაუმძიმდა. გარინდების გრძნობებმა მოუარა და მემარიობე მასწავლებელი იქვე კლდის ძირში ჩაიკეცა. არც მუთაქა თქვენს პროკოფის, არც ბალიში და არც ჩვეული ნამზითი ლებ-საბანი. საცოდავათ ჩალეხილიყო ის ტალახში. თავი შუბლით კლდეზე მიებჯინა და გულსაკლავათ ხვრინავდა...

უცდიდენ ალპანელი მასწავლებლები ნაწვავ-ნადაგარ გრომებს, თვალები გამოშტერებული ჰქონდათ ფოსტის მოლოდინში. ფოსტა მოვიდა და წავიდა კიდეც. ფული კი არსად სჩანდა. მათი ჯამაგირი ცალკე „ფოსტით“ მოდიოდა. არც ეხლა იჩქარიდა ეს „ფოსტა“, მას თავმოძულებით ეძინა ღვირიშის კლდეში...

ტკბილმა სიზმრებმა მალე გაიარა, ზევიდან ნამმაც მოუხშირა, მგზავრმა ერთი ზანტად გაიზმორა და განცვიფრებით დაჭყიტა თვალები. მიიხედ-მოიხედა, საწოლი რაღაც ყუათში არ დაუჯდა. წამოხტა ზეზე, თვალები ამოიფშვნიტა და გზა განაგრძო... მაგრამ ალპანისკენ აღარ გაგრძელებულა მისი გზა. პროკოფი სადღაც უკვალოდ გადიკარგა.

უცდიან ალპანელი მასწავლებლები თავიანთ ნაოფლარს, თვალები ფოსტისაკენ უჭირავთ. მაგრამ ტყუილა იწუხებენ თურმე თავს. მათი ფული სხვა „ფოსტამ“ წამოიღო და სხვა „ფოსტამ“ გაუყენა გზას. მძინარე პროკოფის, როგორც თვითონ უთქვამს, უბიდან ამოაცალეს ფული.

უდანაშაულო მასწავლებლები დღესაც უჯამაგიროთ სხედან. რატომ, მხოლოდ იმიტომ, რომ განინსპექტორმა არ ინება ფულის ფოსტით გამოგზავნა. ასეთი შემთხვევა ერთი და ორი რომ იყვეს, კიდევ ჰო, მაგრამ მასწავლებელთა ჯამაგირების ამგვარი გაფლანგვა ხშირად ხდება სხვადასხვა ადგილებში. ნუ თუ იქ მაინც, სადაც ფოსტა სწყდება, განინსპექციამ ვერ უნდა მოაგვაროს ჯამაგირების მიწოდების საქმე?

ვარამი.

უგზოთ ვართ

(თავასა და მუხურის თ., შორ. მ.)

მუხურის თემი მეხილეობის კუთხეა. რა ჯიშის ხილი არ გინდათ, რომ ამ თემში არ ნახოთ, ამავე თემში ითხრება საუკეთესო ღირსების წისქვილის ქვა. მაგრამ უგზობის გამო დიდ გაჭირვებაშია გლეხები. ქვის ბაზარზე გატანა სჭირს. აქ შეიძლება დიდძალი კარტოფილის და კომბოსტოს მოყვანა, მაგრამ აქაურ გლეხს იმედი არ აქვს, რომ ეს სიმდიდრე მოიწიოს და შემდეგ თავის შრომა აინაზღაუროს, ვინაიდან გზა არაქვს ბაზარზე გასატანი.

მუხურის მოსაზღვრე თავასის თემი მდიდარია ღვინის მოსავლით, ღვინოც საუკეთესო ღირსების დგება აქ, მაგრამ ბაზარი არ გვაქვს. რადგან გზები არ გვივარგა 1920 წლიდან ქ. ზესტაფონიდან იქნა გამოყვანილი გეგმიანი დიდი გზა მუხურის თემამდე. ეს გზა აერთიანებს საქარის, ქვედა საზანოს, ზედა საზანოს, თუზის, თავასის და მუხურის თემებს. მართალია ამ თემებმა ბევრი იმუშავეს და მუშაობენ გზის დამთავრებისათვის. მაგრამ ყოველივე ეს ამაოა, ვინაიდან გლეხებს არ აქვთ საშუალება გზა დააყენონ მაგარ ნიადაგზე და ააგონ ხიდები და ბოგირები. აქ საჭიროა გზის სატკეცი მანქანა და ტეხნიკი, ნიადაგ საჭიროა ხიდის და ბოგირების მასალის დახმარება, საჭიროა იარაღი და ასაფეთქებელი მასალა. ეს უნდა ითაოს შორაპნის სამაზრო აღმასკომმა. გზა ზესტაფონიდან მუხურის თემამდის აუცილებლად უნდა იქნეს დასრულებული.

ივ. ცინაძე.

წერილებიდან

დ. ანაკლია (ზუგდ. მ.)

ზღვა გვანადგურებს. ანაკლია მდებარეობს მდ. ენგურის ზღვის შესართავთან. დაბას კარგა ხანია ზღვა უტევს. თუ ჯებირები არ გაკეთდა დიდი საფრთხე მოგველის. მაზრა ბევრჯერ დაგვპირდა ზომების მიღებას, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა.

ჯოჯო ანკლიელი.

დიდი-ჯიხაიში (ქუთ. მ.)

არაფერი ვიცით. თემაღმასკომის მუშაობით გლეხები კმაყოფილია, ხოლო გაუგებრობას იწვევს ერთი რამ. აღმასკომი არ იწვევს საერთო კრებებს და არ აკეთებს მოხსენებას თავის საქმიანობის შესახებ. არაფერი ვიცით რაზე და რამდენი ფული იხარჯება. აღმასკომმა ეს ნაკლიც უნდა გამოასწოროს.

ჯიხაიშელი.

ფოცხის თ. (სენ. მ.)

— რატომ არ შესდგა საღამო? ამასწინად კომკავშირის ადგილობრივ უჯრედის ინიციატივით უნდა შემდგარიყო ყაზბეგის „ელეონორას“ ფასიანი ლიტერატურული გასამართლება. ხალხი გასამართლებაზე არ მოვიდა, რადგან მიაკოკონობა და ელიობა იყო. გლეხები საცეკვავათ და სათამაშოთ იყვნენ დაფანტული სხვა და სხვა კუთხეებში. გარდა ამისა თვით სასამართლოს წევრები და აღმასკომის თავმჯდომარე გალეშილი იყვნენ ღვინით ამ საღამოს. ნუ თუ დასაშვებია ადგილობრივ მოწინავე პირების ასეთი საქციელი?

მნახველი.

სოფლის ქრონიკა

— **გზები.** რაჭის აღმასკომი მაზრაში აწარმოებს სასოფლო გზების შეკეთებას.

— **ტრაქტორზე** მომუშავეთა კურსებზე ბორჩალოს აღმასკომი აგზავნის 6 კაცს.

— **სავანის თემმა** თავის ხარჯით მოიწვია [illegible] აგრონომი.

— **დახმარება.** ბორჩალოს აღმასკომი შეუდგა სტიქიურ უბედურებით დაზარალებულ სოფლებისათვის დახმარების აღმოჩენის საქმეს.

— **სათესლე სესხი.** ბორჩალოს მაზრაში დაიწყო სათესლე სესხის აკრეფა.

— **სვანეთის სამაზრო** ბიუჯეტი წელს უდრის 178,842 მ. მასწავლებელთა ხელფასის გამოკლებით.

მუშათა ცხოვრება

რკინისგზის მთავარ სახელოსნოებში

(სურათი სინამდვილიდან)

— ეს რა არის? ვეკითხები ერთ მუშას, რომელიც გამურულა მაზუთით და კუპრით შავი ტანისამოსი აცვია.

— ეს მილების დასამზადებელი განყოფილებაა. ორთქლმავლებისა, რონოდების, მუხრუჭების, ვესტინგაუზის საჭერის და აგრეთვე 30 სხვა წარმოების საჭირო ხელსაწყო-იარაღების დამზადებისათვის.

მუშაობა დუღს. მუშები არ ზოგავენ ენერგიას და ძალას, ცეცხლი გუგუნებს და ამ ცეცხლის გუგუნში იქმნება უძლეველი ძალა წარმოების აღორძინებისათვის.

წარმტაცია ყოველივე სურათი მთავარ სახელოსნოებში!

ცეცხლიდან გამოღებულ გაწითლებულ რკინას 11 ვირვანქიანი ჩაქუჩები და უროები უბრაგუნებენ და ასე იქმნება შრომის ნაყოფიერება.

— აბა იკითხავთ, სად.?!

ეს სამჭედლოა.

— აბა გიორგი, მოიტა რკინა გამოვჭედოთ საჭირო იარაღები ან მოწყობილობა ორთქლმავლისათვის!

ურო — უროზე და ჩაქუჩი — ჩაქუჩზე გადადის. ხმაურობენ რკინები გრდემლზე. შეიღება ორთქმავლები.

— ილო, კარგად შეუღებე ამ ორთქმავალს ტენდერი!

— ნუ გეშინიან, ისე შევღებო, რომ ავ თვალს არ დაენახვებოდეს! არის ხალისიანი პასუხი.

თუჯის ჩამომსხმელ ქარხანაში მძლავრი ცეცხლი გუგუნებს, დნება თუჯი და ჩამოდის ანკარა შავი წყაროსავით ფორმებში.

რა არ მზადდება აქ წარმოებისთვის? ძნელია მაგის ჩამოთვლა, ამხანაგო! — ის, რაც სჭირდება რკინისგზას თითქმის ყველაფერი აქა მზადდება.

ძნელია აქ მუშაობა! ხომ ხედავ ამხ.ილიუშას ოფლიც კი ჩამოდის სახიდან.

მართალია ძნელი სამუშაოა, მაგრამ შრომა მაინც გვეფასება ღირსეულად.

ასწორებენ ქვიშის ფორმების მოდელს და იქმნება შიგ საჭირო საგანი.

სასიამოვნო სურათია!

შ—შ—...შ! ააშიშინა დურგალმა თავის მარჯვენა ხელით სალაშინი.

აწყობენ ორთქმავალს ნაწილებიდან ორთქმაველს ამწყობთა საამქროში.

კლიბავენ გამოყვანილ იარაღს, ზეინკლები, დღეს ყველაფერი. ყველაფერი ცეცხლის ალშია გახვეული. ლამაზი ქურებია სამჭედლოში გაკეთებული. ეტყობა განვითარებულია ჩვენი ტეხნიკა მთავარ სახელოსნოში.

— ბევრი ორთქლი მოგროვდა არა? ეკითხება „კარეგარი“ თანაშემწეს.

აქ 5—6 დიდი ქვაბია დადგმული, სადაც ორთქლის რაოდენობა საკმარისია, ბლომადაა ორთქლი და საჭიროც არის.

აგერ მუშას მუშაობის დროს გათოშვია რკინის სახვრეტი ბურღი, ლესავს. მაგრამ ამით მუშაობა მაინც არ შეჩერდა; გამონახა სხვა საქმე და შეუდგა სამუშაოს.

— გაილესა ბურღიც, — ოსტატო! მიუგო თანაშემწე შეგირდმა.

— ძალიან კარგი! მოდი აქ, დამიჭირე ლიანდაგი, ნაპირი უნდა ვაუხვრიტო. მუშაობა განა დაიზარება? — იქმნება ცხოვრება.

— საყვირია!

წამოიშალენ სამუშაოდან მუშები. მუშები ბუზივით ირევიან სახელოსნოში. ზოგი ცხელ—წყალს ასხამს ქუბიკში. ზოგი გარბის პურის და სანოვაგის საყიდლად, ზოგან კი სმა - ჭამა, საუზმე კოლექტიურია.

თითქმის მორჩენ საუზმეს.

აუშვეს ხელმეორედ საყვირი. გაეშურენ მუშები თავიანთ დაზგებისაკენ. განახლდა მუშაობა. დაუბრუნდენ მუშები თავის საამქროებს.

გუგუნებს უაღრესი ტემპერატურის ცეცხლი.

ჩხრიალებენ მანქანები.

კვლავ ახმაურდა სახელოსნო.

მუშები ელოდებიან „გადამწყვეტ საყვირს“. აგერ დაჰკრა საათმა და განთავისუფლდენ მუშები და გაეშურენ თავიანთ სახლებისაკენ მხიარული ხუმრობა - სიცილით.

მუშკორი ივ. ჯავახიშვილი.

ჩვენი ადგილკომი ენერგიულად მუშაობდა

28 ენკენისთვეს მოხდა გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობათა მუშა-მოსამსახურეების საზოგადო კრება.

დღის წესრიგში იყო ადგილკომის და სარევიზიო კომისიის მოხსენებები მათი მუშაობის შესახებ და ახალი ადგილკომის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ადგილკომის 9 თვის საქმიანობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. შ. მანჯავიძე, რომელიც დაწვრილებით აცნობს კრებას ადგილკომის მუშაობას.

სარევიზიო კომისიის სახელით ამხ. ვ. ბრეგაძე ადასტურებს რა ადგილკომის დადებითი მუშაობას, მიაქცევს კრების ყურადღებას იმას, რომ ადგილკომის მიერ შეკრებილი საწევრო გადასახადი ამ 9 თვის განმავლობაში 1.124 მ. 50 კ. რაოდენობით, რომელიც მთლიანად შეტანილია გან. მუშ. კავშირში. აგრეთვე ადგილკომი დებულობდა ენერგიულ ზომებს, რომ რაც შეიძლება ნაკლები ყოფილიყო კავშირისადმი დავალიანება.

ადგილკომის მუშაობის შესახებ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნობს ძვ. ადგილკომის მუშაობას.

ახალ ადგილკომში არჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები:

ვალ. ბერაძე, შალ. მანჯავიძე, გიორგი ავაქოვი, მიხ. ნატროშვილი, მიხ. გასპაროვი.

დასასრულ კრებამ მიიღო დადგენილება გადასდოს ინგლისის გაფიცულ სამთამადნო მუშების სასარგებლოდ 1% თანამშრომლების ჯამაგირიდან გაფიცვის დამთავრებამდე.

დამსწრე.

ჩვენ მილიციელებში

ბევრჯერ ყოფილა გაშუქებული ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მუშურ-გლეხურ მილიციის ყოფა-ცხოვრება, მაგრამ დღემდე მისი ნაწილობრივი და უარყოფითი მხარეები, ჯერ კიდევ არ არის გამოსწორებული: მათი ეკონომიური მდგომარეობა შედარებით სხვა დაწესებულებებთან ცუდია, რომლის გამოსწორებას ელოდება ჩვენი მილიციელი. ამავე დროს უნდა მიექცეს ყურადღება მილიციელთა გაწვრთნას, რაც გამოიხატება მილიციელთა პოლიტიკურად მომზადებაში. ამ საქმის ცენტრიდან დიდი ხანია აქვს ყურადღება მიქცეული, მაგრამ ერთეულების უფროსებს, განსაკუთრებით მაზრებში ჯერ კიდევ ვერ აღმოუფხვრიათ ეს ნაკლულოვანება და ნაწილობრივად კი სულ არ აქცევენ ყურადღებას, რაც უნდა მიეწეროს ერთეულების უფროსების დაუდევრობას, იმ შემთხვევაში, თუ ასეთების აღმოფხვრა მათ არ შეუძლიათ, მაშინ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა და კვირაში ერთხელ მაინც უნდა ჩაატარონ პოლიტსაათები, ამით ჩვენ მივაღწევთ მიზანს და გვეყოლება შეგნებული ადმინისტრატორები, რომლებიც განსაკუთრებით საჭირონი არიან პროვინციებში მშრომელ გლეხობასთან მჭიდრო კავშირის დასაჭერად, აგრეთვე არა ერთხელ ყოფილა ცენტრიდან დარიგებები, რომ რამდენადაც შეიძლება შესაფერ დონეზე დაყენებული ყოფილიყო სამწყობრო ნაწილი. მაგრამ დღემდე ზოგიერთ თემებში უყურადღებოდაა დატოვებული ეს საკითხიც და ერთეულების უფროსები არ აქცევენ მას ყურადღებას. მართალია, რომ თემებში ძალიან ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობა მილიციის თანამშრომლებს, მაგრამ ასეთი დაბრკოლებანი უნდა იქნეს გამოსწორებული.

მილკორი კლ. კოპალეიშვილი.

ყველაფერი დროზე უნდა გაუკეთოთ

(თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი“-ს მუშათა ცხოვრებიდან)

ჯერ კიდევ ზაფხულში, როდესაც ქალაქში სიცხისაგან სუნთქვა გვიძნელდებოდა ჩვენმა ქარხკომმა ჩამოუარა მეორე სახელმწიფო თუთუნის ფაბრიკის მუშებს, ყველა ჩამოსწერა და ჰკითხა თუ ვის სურს შეშის შეძენა და რამდენიო. იგი ამბობდა: ტრესტს განზრახვა აქვს, რომ ჩვეულებრივად შეღავათით შეშა მისცეს მუშებსო. მაგრამ გაიარა ზაფხულმა და ვეღარა გავიგეთ რა. მხოლოდ გასულ აგვისტოში ხელახლად შეადგინეს სია და გადასცეს, სადაც საჭირო იყო, მაგრამ დღესაც უყურადღებოდ არის მიტოვებული ეს საქმე.

ზამთარი კარებზე მოგვადგა, ზოგიერთ დაწესებულებაში უკვე მიიღეს მუშებმა შეშა, ან შეშის ფული, ჩვენთვის კი, როგორც ეტყობა, არავინ თავს არ იწუხებს. საჭირო კი არის, რომ ვიდრე კარგი დარებია და შეშის ყიდვაც ცოტა ნაკლებ ფასებშიც შეიძლება და სახლში მიტანაც ადვილია შეასრულონ დაპირებული, თორემ თუ წარსულ წელსავით თოვლ-ჭყაპის დროს დაგვირიგებენ ორიოდე მანეთს, მაშინ ერთი იმოდენა ფულიც უნდა დავაყაროთ ზედ, რომ ჩვენი ცოლშვილი შეშით უზრუნველვყოთ. იმის საშუალება ჩვენ არა გვაქვს, რომ ერთიორად გადავიხადოთ.

ეს კარგად იცის ტრესტმა და ვერ გაგვიგია, თუ რად აჭიანურებს იგი შეშის მუშებისთვის დარიგების საქმეს.

მუშკორი ა. ბ—შვილი.

შედით ჩვენს მდგომარეობაში

ამ დღეებში თამბაქოს ტრესტსა და მის თუთუნის ქარხნების მუშათა შორის ახალი კოლ. ხელშეკრულება დაიდება და ამისათვის საჭიროა პროფკავშირებმა და ქარხკომებმა ეს საქმე აუჩქარებლად და დაკვირებით მოაგვარონ წარმოებისა და მუშების სასარგებლოდ. თუთუნის ქარხნებს საკმარისი მოგება მოაქვთ სახელმწიფოსათვის. ქარხნის მუშები კი ძალზე მცირე ხელფასს იღებენ და მატერიალურად მეტად მძიმე პირობებში იმყოფებიან. კერძო ვაჭრები უხსნიან მუშებს კრედიტს და მუშები ყოველთვის 15 დღის განმავლობაში კერძო ვაჭარ-სპეკულიანტების ხელში იმყოფებიან.

აქამდე კვირაში ერთხელ მაინც ავანსის სახით სახარჯოდ მუშებს ეძლეოდათ ორიოდე მანეთი და ეს უკანასკნელი საშუალებაც კი მოხსნა ტრესტმა და ამიტომ არც ერთ კაპეიკს ჯამაგირის ანგარიშში აღარ გვაძლევენ. ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ:

რადგანაც ავანსი მოგვისპეს, ჩვენი ხელფასი კვირაში ერთხელ გვაძლიონ, რომ თვის ბოლომდე ასე თუ ისე იოლად წავიდეთ. ამგვარ მოთხოვნილებით არა ერთხელ მიგვიმართნია ადმინისტრაციისათვის, მაგრამ ყოველთვის უყურადღებოდ დაუტოვებიათ ჩვენი მოთხოვნები იმ მოსაზრებით, რომ ზედმეტი პროცენტების გამოანგარიშებას ვერ ასწრებენ მოანგარიშენიო. თუ მართლაც ეს ასეა, მაშინ მოგვცენ ჩვენი ძირითადი ჯამაგირი, პროცენტები კი თვის ბოლოს გაგვისწორონ.

ამნაირად ჩვენ საშუალება გვექნება, რომ კერძო ვაჭრებს აღარ მივმართოთ და ისინიც თავიანთ სურვილებისამებრ, რაც უნდათ, ისეთ ფასებს აღარ დაგვაწერენ.

აი ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც ახალ ხელშეკრულებაში უნდა შევიტანოთ. ამის შემდეგ აღარც ტრესტს შევაწუხებთ და არც დირექციას.

მუშკორი ალ. ბა—შვილი

დაიცავით მუშები ფიზიკურ განადგურებისაგან

ამა წლის ივლისში ჩვენ აღვნიშნეთ თუ რა შედეგი გამოიღო მუშების გადაჯგუფებამ მექვაბეთა საამქროში.

ამით მართალია, წარმოებამ აიწია, მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც მუშები ფიზიკურად ნადგურდებიან. თუმცა ჩვენი „ხოზიაისტვენიკები“ ამტკიცებენ, რომ აღნიშნულმა გადაჯგუფებამ მოგვცა წარმოების გადიდება 19%-ით და შრომის ხელფასიც 60 პროც-ით გავადიდეთ, რასაც არავინ არ უარყოფს, მაგრამ აქ მე, როგორც კავშირის წევრს, მხედველობაში მყავს კვალიფიციური მუშები, რომელნიც მსხვერპლათ ეწირებიან ამ სისტემის მუშაობას. მაგალითი გნებავთ? კეთილ ინებეთ და ამ სამი თვის ოქმები უბედურ შემთხვევათა შესახებ გადაათვალიერეთ მარტო საქვაბო საამქროში და თქვენ დარწმუნდებით თუ რამდენად გაიზარდა უბედურ შემთხვევათა და ავადმყოფობათა რაოდენობა. ფიქრი მარტო იმაზე თუ როგორ უნდა შევაჯიბროთ მუშები ერთმანეთს, რომ კიდევ მეტი გაკეთდეს, კი არ კმარა, არამედ ისიც უნდა მიიღონ მხედველობაში, თუ რა შედეგები მოსდევს ასეთ ახალ სისტემებს.

კარგია წარმოების გადიდება, კარგია მუშამ ხელფასი მეტი აიღოს, მაგრამ მუშის ფიზიკურად განადგურებასაც უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება. ყველას გვახსოვს, თუ რა დაემართათ მუშა ხუროშვილს, ზუბაშვილს, ფადეევს, უსატანაშვილს, კარეცკის. (სამუშაოდან საკაცით გაიტანეს ისინი საავადმყოფოში). მუშათა ჯანმრთელობის სისუსტე კი ყველასათვის ცხადია. იგი ჩვენში მეტად მოულოდნელ იქცა.

ეს ფაქტები გვიჩვენებს, რომ დადგა დრო, იფიქროთ მუშების ჯანმრთელობაზედაც. აქ ერთი გარემოებასაც მინდა გავუსვა ხაზი. ყველა ზემოჩამოთვლილი შემთხვევები უმეტესნი, თუ ყველა არა, მოხდა 12½-დან 2 საათამდის, ეს იმას ნიშნავს, რომ მოიქანცა მუშა და [illegible] ფიზიკურად გადაღლა. ამ დროს კი მანქანა მას სასიკვდილო განაჩენს უწერს.

წარმოების გაზრდას უნდა ჰქონდეს მუდმივი ხასიათი და არა დროებითი. მუშათა ძალღონე უნდა იხარჯებოდეს მიზანშეწონილად და მუშის ჯანმრთელობის დაუზიანებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოების გაზრდა იქნება ჩვეებითი, დროებითი, და ხელოვნური და მიუღებელია.

მუშა მექვაბე.

კულტმუშაკთა თათბირი

30 სექტემბერს საღამოს 7 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში პროფკავშირთა საბჭოს თაოსნობით შესდგა თბილისის ყველა [illegible] დრამატიული წრეების „ცოცხალი გაზეთის“, მუსიკალურ და მომღერალთა გუნდების ხელმძღვანელთა თათბირი.

თათბირს დაესწრო 35-მდე კულტმუშაკი. დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი: საერთო მიმოხილვა საჩვენებელ საღამოების ჩატარებისათვის. ამ საკითხის ირგვლივ მოხსენება გააკეთა ამხ. ე. კწონბერგმა, რომელმაც აღნიშნა შემდეგი: საკონკურსო საღამოები შესდგება მხოლოდ მუშათა ცენტრალურ კლუბში 4 ოქტომბრიდან და გასტანს 3-4 დღეს.

საჩვენებელ საღამოში მონაწილეობას მიიღებს პირველად „ცოცხალი გაზეთი“, შემდეგ დრამწრე, მუსიკალური და მომღერალთა გუნდები. ცოცხალ გაზეთს მიეცემა 20-25 წუთამდე დრო, დრამატიულ წრეს 30-40-მდე, ხოლო მუსიკალურს და მომღერალთა გუნდებს 25 წუთი. საჩვენებელ საღამოს დაესწრება განსაკუთრებული კომისია, რომელიც გამოარკვევს წრეების მუშაობას; დაესწრებიან აგრეთვე კლუბის აქტივი და წრის წევრები სათანადო გაცემულ ბილეთებით პროფსაბჭოდან.

საჩვენებელ საღამოს ჩატარებამდე ხელმძღვანელებმა უნდა აუხსნას აღნიშნულ საღამოს მნიშვნელობა.

საღამოს ხელმძღვანელებს დაურიგდათ ანკეტები, რომელიც შევსებული იქნება მათ მიერ. საჩვენებელ საღამოში მონაწილეობას იღებს „ცოცხალი გაზეთის წრე“ 18 დრამატიული წრე და იქნებიან აგრეთვე მუსიკალური და მომღერალთა გუნდები. საჩვენებელ საღამოს სწორად ჩატარებისათვის და ტეხნიკური პირობის გაუმჯობესებისათვის არჩეულ იქნა კომისია 3 კაცის შემადგენლობით.

მუშკორი რადიუმი.

ამათ დამატებითი შვებულება უნდა მისცეთ

ფოთის ნავთსადგურის ნავთ-შემკეთებელ ქარხანაში მომეწონა ყველაფერი. მუშაობა კარგად სწარმოებს. აქა-იქ მესმის „ეკონომიის რეჟიმ“-ზე ლაპარაკი. ადუღებულ წყლის ქურქელსაც აწერია „აქაც გახსოვდეს „რეჟიმ, ეკონომია“-ო.

მუშები ენერგიულად მუშაობენ. საქმე მართლაც, „საათივით აწყობილია“.

შევდივარ სადნობ განყოფილებაში: მტვერი ყვითელი ქვიშის, წოწინარები, აუარებელ კალაპოტებია. გარედ ღმუის დიდი ღუმელი, შიგნით პატარა სიცხეა. ორი მელითონენი დაკონცხულნი კალაპოტს აკეთებენ.

— ოხ, ამათ ხელში კაცი ვერ გაძლებს!—განიმეორა ერთმა.

— აგიც „მესტკომია“. ხომ კი გაგიგონია: „კაცი ზევით რომ აიწევს, მას მისი წინანდელი მდგომარეობა ავიწყდებაო“. წამოაბრძანეს ზევით აწი რას მოგხედავს.

— როგორ არ გაუსკდეს გული დიდი ბერვით გუდა გასკდება.

— ეს ვაუბატონი განა ჩვენი ამხანაგი არ იყო?, ჩვენს ინტერესებს არ უნდა იცავდეს?.

— რაშია ძიავ საქმე?! შევეკითხე მოსამსახურეს.

— მომცილდი, ძმაო, კალპოტი არ დამინგრიო!—

— თქვი, რა გაწუხებთ. გაზეთი გაქვთ? გაწერეთ, ან სხვას გააწერინეთ, წერის უფლება გაქვთ თუ რამე უკანონობა არის გამოსწორდება; გულგრილობა არ უნდა.

— ჩვენი საქმე გაზეთში როგორ დაიწერება? შემეკითხა გაკვირვებულმა მუშამ.

— როგორ და კარგად, მე დაგიწერთ. მუშებს გაუხარდათ და ერთმა მუშამ მიპასუხა შემდეგი: 1924 წ. 25 წელს კანონის თანახმად შვებულებაში ვიყავით თითო თვეს. წელს, ზაფხულში, მინდოდა სოფელში გავმგზავრებულიყავი, მოვითხოვე შვებულება, კანონით მერგებოდა თვენახევარი. თუთხმეტი დღე დასასვენებელი თუთხმეტი მალარიის და თუთხმეტი კი როგორც ჯანმრთელობისთვის მავნებელ სამუშაოზე მომუშავეს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ მომცეს. მიპასუხეს: „24—25 წ. შენ მოგეცა დასვენება ერთი თვე—კანონით 15—15 დღე გერგებოდაო. აქედან მოხმარებული ერთი თვის მაგივრად წელს შენ შვებულება არ მოგეცემაო“.

მეორემ მიპასუხა: მეც მერგება მაგრამ გარდა 15 დღის შვებულებისა არ გვაძლევენო, ყველასათვის ცხადია, რომ სადნობ განყოფილებაში მუშაობა მავნებელია და იქ მომუშავეთ უნდა მიეცეთ დამატებითი შვებულება.

რკო.

მუშათა წერილებიდან

= **საკანდიტეროა თუ სამიკიტნო?** ლენინის უბანში ლოტკის ქ. № 25-ში მოთავსებულია საკანდიტერო, რომელიც ეკუთვნის ვინმე დალაქიანცს.

აღნიშნულ საკანდიტერო სამიკიტნოდ აქვს გადაქცეული მას. 18 აგვისტოს დალაქიანცმა მოაგროვა თავისი „ძმა-ბიჭები“ და არყით ქეიფიც კი გამართა.

მიუხედავათ იმისა, რომ ამას უყურებდა საგუშაგოზე მდგომი მილიციელი № 490, იგი მაინც ყურადღებას არ აქცევდა.

ეს მუშათა მახე უნდა მოიშალოს.

ც—რე.

მეხილეობის მტკივნეული საკითხები

(წერილი ქართლიდან)

საქართველოს ზოგიერთ რაიონებში მეხილეობამ მიიღო სამრეწველო ხასიათი და ჩვენი სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში თანდათანობით იჭერს საპატიო ადგილს.

მეხილეობის განვითარებას ხელს უწყობს ჩვენი ბუნებრივი პირობები.

მთავარ რაიონად მეხილეობისა ითვლება გორის მაზრა, საიდანაც ყოველ წლივ შესაძლებელია გატანილ იქნეს ერთ მილიონ ფუთამდე სხვადასხვა ხილი.

საქართველოს მეხილეობას საძირკველი ჩაეყარა 30 წლის წინათ, მხოლოდ იმპერიალისტურ ომის დროს და რევოლუციის პირველ ხანებში არა მარტო შეჩერდა ამ დარგის განვითარება, არამედ საუკეთესო ბაღები გაიჩეხა, სადაც გლეხობამ მიჰყო ხელი პურეულობის თესვას.

წინათ საქართველოს ხილი უმთავრესად აკმაყოფილებდა—ადგილობრივ ბაზარს და იშვიათი იყო ხილის გატანა რუსეთის ბაზარზე. მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთში უცხოეთიდან აუარებელი ხილი შემოდიოდა, რომელიც თავისი ჯიშოვნებით, გარეგანი შეხედულობით და გამძლეობით არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ჩვენ ხილს. რუსეთში ხილი შემოდიოდა არა მარტო ევროპის მახლობელ სახელმწიფოებიდან, როგორც არის გერმანია, ტიროლი, საფრანგეთი, არამედ ისეთ შორეულ ქვეყნებიდან, როგორც არის ავსტრალია, აფრიკა, არგენტინა და სხვა.

1911 წელში რუსეთში შემოტანილი იყო საზღვარ გარეთიდან ხილი და ბოსტნეულობა 29 მილიონი მანეთისა. 1907 წელში შემოტანილი იყო 7.251.000 ფუთი ხილი.

ეს ცნობები ნათლად გვიმტკიცებენ, რომ რუსეთის ბაზარზე აუარებელი ხილის გასაღება შეიძლება.

მიუხედავათ ამისა ყველამ კარგად ვიცით, რომ თუ რა ბედი ეწია „ქართლს“ და „წითელ ქართლს“ და ამის გარდა ისიც ვიცით, რომ მიუხედავათ იმისა, რომ გასულ წელში რუსეთის ბაზარზე გაორკეცებული მოთხოვნილება იყო ხილზე. სპეციალურმა მეხილეთა ორგანიზაციამ „ბაღბოსტანკავშირმა“ ზარალით დაასრულა წელიწადი. რაც შეეხება ახალ მოსავალს, ამაზე კი დღეს არც ერთი ორგანიზაცია არ ზრუნავს და გლეხობა გულ-ხელ დაკრეფილი შეჰყურებს მყიდველებს. წრეულს მხოლოდ სამაზრო აღმასკომმა მოჰკიდა ხელი ხილის ოპერაციას მხოლოდ მას შეუძლიან დაამზადოს მოსავლის 7 პროც., რაც აშკარაა წვეთია ზღვაში. ამის გარდა ამ ოპერაციას უფრო აქვს საჩვენებელი სამაგალითო ხასიათი.

ეს მდგომარეობა ჩასაფიქრებელია და საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება. [illegible] საჭიროებას წარმოადგენს ყველა მიზეზების შესწავლა, რაც უშლის ხელს ჩვენი ხილის ექსპორტს.

მეორე მტკივნეული საკითხი ჩვენი მეხილეობისა არის ხეხილის მავნებლებთან ბრძოლა. ყოველ წლიურად სხვადასხვა ჯურის მავნებლების მსხვერპლი ქართლში ხდება მოსავლის 50 პროც. და ზოგ რაიონშიაც მთელი მოსავლის 80 პროც.

დღეს გლეხობას ნათლად აქვს შეგნებული ბაღების წამლობის მნიშვნელობა, მხოლოდ უბედურობა იმაში მდგომარეობს, რომ თავის დროზე ვერ შოულობენ საწამლ მასალას და სასხურებელ აპარატებს. წრეულს თითქმის არავის უფიქრია ამ საკითხზე, გარდა სამ-აღმასკომისა, რომელმაც შესძლო დაეკმაყოფილებინა მოთხოვნილების 15 პროც.

სხვა ორგანიზაციებმა ისეთი მცირე რაოდენობის საწამლი მასალა შემოიტანეს, რომ მეტია ამაზე ლაპარაკი. მავნებლებთან ბრძოლის საკითხს უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება, მით უმეტეს მავნებლები ყოველ წლივ მატულობენ და შეიძლება რამოდენიმე წლის შემდეგ არ შეგვრჩეს არც ერთი ჯანსაღი ხეხილი. ბრძოლა მავნებლებთან უნდა იყოს სავალდებულო და მასიური და მხოლოდ ამ საშუალებით შევძლებთ მოვსპოთ მათი გავრცელება.

შემდეგი საკითხი, რომელიც არა ნაკლებ ყურადღების ღირსია, არის ჩვენი მეხილეობის შესწავლა. ჯერ საქართველოში არ არის შესწავლილი—მეხილეობის რაიონები, გავრცელებული ჯიშები რაიონების და მიხედვით, ნიადაგები და სხვა. იმ დროს როდესაც მევენახეობაში ჩვენ გვაქვს ორი საცდელი სადგური, ამ დარგის განვითარება სწარმოებს სტიქიურად და სწორეთ ამ მიზეზის გამო გლეხობა იძულებული ხდება ბაღები გადააკეთოს. მეხილეობის მთავარ რაიონში, ტყვიავში, გავრცელებულია ისეთი ჯიშები, რომლებიც ადგილობრივ პირობებისათვის სრულიად უვარგისნი არიან. ასეთი ხეების რიცხვი შეადგენს 330 პროც. მეტს. მაშასადამე, საჭიროება მეხილეობის მეცნიერულად შესწავლა. რაც შეეხება მომავალში ნამყენით უზრუნველყოფას, უნდა ითქვას, რომ მაზრაში საკმარისია რიცხვი სანერგეებისა. რომლებითაც შეიძლება დაკმაყოფილება ამ ორი წლის შემდეგ მთელი საქართველოს მოთხოვნილებისა, მხოლოდ უნდა ითქვას, რომ ამ დარგშიც არის უგეგმობა. სანერგეები მოწყობილი აქვთ წარმოკავშირის მიწად-მოქ. სახ. კომის. აღმასკომებს და მათში კი არ არის კონტაქტი. ამის გარდა ნამყენის ღირებულება ძალიან დიდია, რაც მეტად უშლის ხელს ახალ ხეხილის ბაღების გაშენების საქმეს. აი ნაწილი იმ მტკივნეულ საკითხებისა მეხილეობაში,—რომლებიც აფერხებენ ამ დარგის განვითარებას. მე არ შევეხე ტრანსპორტს, ხილის ტეხნიკურ გადამუშავებას და სხვა მრავალ საკითხებს, რომლებიც აგრეთვე მწვავეთ სდგანან. საჭიროა ყველა ამ საკითხების დაწვრილებითი შესწავლა, შესწავლა მიზეზებისა, რომლებიც ხელს უშლიან მეხილეობის განვითარებას და საჭირო ღონისძიებების გამომუშავებას.

ნ. კეჩხუაშვილი.

ცეკავშირში

მატყლის დამზადება

ცეკავშირმა ა.-კ. კოოპერატიულ კავშირთან დასდო ხელშეკრულება 6000 ფუთ შემოდგომის მატყლის დამზადებაზე.

აღნიშნული მატყლის დამზადება ცეკავშირმა მიანდო ალვანის, ახალქალაქის, დუშეთის და ახალგორის კოოპერატივებს.

თხილის დამზადება

ცეკავშირმა ხელშეკრულება დასდო ა.-კ. კოოპერატიულ კავშირთან 50.000 ფუთ თხილის დამზადებაზე. ამ რაოდენობიდან ორი მესამედი თხილის საერთო რაოდენობისა დამზადებულ იქნება დასავლეთ საქართველოში, ხოლო ერთი მესამედი—კახეთში.

კალოშები

კოოპერატივებმა ცეკავშირს მოსთხოვეს 100.000 წყვილი კალოშები. ვინაიდან, თანახმად შინა-ვაჭრობის კომისარიატის დადგენილებისა, ცეკავშირს უნდა მიეცეს მხოლოდ 40.000 წყვილი კალოში, აღიძრა შუამდგომლობა, რათა გადიდებულ იქნეს აღნიშნული რაოდენობა.

პურის ფქვილი

ცეკავშირმა, ა.-კ. კოოპერატივთა კავშირთან შეთანხმებით, გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ჩრდილოეთ-კავკასიაში, ყოველთვიურად 100—150 ვაგონ პურის ფქვილის მოსაწოდებლად. ფქვილი გამოიგზავნება უშუალოდ კოოპერატივების სახელზე და მიეცემათ უფრო შეღავათიან პირობებში, ვიდრე აქამდე ღებულობდენ. ფქვილის პირველი პარტია—20 ვაგონის რაოდენობით, უკვე მიღებულია.

ახალი კოოპერატივები

უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულმა კოოპერატიულმა სამმართველომ, ივლის-აგვისტოს განმავლობაში დაამტკიცა შემდეგი კოოპერატიული ამხანაგობანი: მარტყოფის კოოპერატივი „ახალი გზა“, სოფ. დიდ-ლილოს წველა-დღვების კოოპ. ამხ-ბა, წილკნის წველა-დღვების კოოპ. ამხ-ბა, ნოქალაქევის (ზუგ. მ.) კოოპერატივი, სართიჭალის კოოპერატივი „გლეხის ნაჯახი“, კოკის (ზუგ. მ.) სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო ამხ-ბა „კოკი“, დიღომის სამანქანო კოოპ. ამხ-ბა „გუთანი“, ციხისჯვრის (გორის მ.) კოოპერატივი „ენისი“, სართიჭალის წველა-დღვების არტელი „სამგორი“, ყარაიაზის რაიონის კოოპერატივი „რაშპარი“, ყარატაფის წველა-დღვების ამხ-ბა „იატაფაკი“, ლვაბზუს (ზუგდ. მ.) სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხ-ბა „ლვაბზუ“, სოფ. საქობოს (სიღნ. მ.) სასოფ.-სამ. საკრ. ამხ-ბა „წნორი“, ლაგოდეხის სასოფ.-სამ. საკრ. ამხ-ბა „გარჯა“, წითელ წყაროს (სიღნ. მაზ.) წველა-დღვების ამხ-ბა „ზეზვა“, მალხაზოვკის მშრომელ მიწად-მომქმედთა ამხ-ბა „ტრუჟენიკ“-ი, ავჭალის სამანქანო კოოპ. ამხ-ბა „გლეხის მანქანა“, ქვემო-ჭალის სამანქანო ამხ-ბა „გლეხის ნაშრომი“, სოფ. სვობოდნაიას სამანქანო ამხ-ბა „პახარი“, სოფ. შემოქმედის (ოზურგ. მ.) სასოფლო-სამ. საკრ. ამხ-ბა „შემოქმედი“, სოფ. ულიანოვკის მიწად-მომქმედთა ამხ-ბა „ისკრა“, სოფ. ერთობის ასეთივე ამხ-ბა „რაბოტნიკი“, თბილისის შინა-მრეწველ ხელოსანთა საკრედიტო ამხ-ბა და ამაღლების სასოფ.-სამ. საკრ. ამხანაგობა.

ღვინო

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა უკვე შეუდგა საექსპორტო ღვინის დამზადებას დასავლეთ საქართველოში. წინასწარი მუშაობა ყურძნის შესასყიდათ უკვე ერთი თვეა რაც დაიწყო. ღვინის დამზადება სწარმოებს საზოგადოების ქუთაისის მარანში. მიღებული ცნობებით, წელს კარგი ხარისხის ღვინო მზადდება.

დასავლეთ საქართველოში, საერთოდ, განზრახულია დამზადდეს 60.000 ვედრო ღვინო. ღვინის გასაღება იწარმოებს საქ. სახელმწ. ვაჭრობის რუსეთის განყოფილებებში.

სტამბების გამოკვლევა

შრომის სახალხო კომისარიატის ქიმიურ-ტეხნიკური ლაბორატორია ახლო-ხანში შეუდგება თბილისის სტამბებში მუშაობის პირობების გამოკვლევას.

პირველ რიგში გამოკვლეული იქნება „კომუნისტი“-ს სტამბა, რომელიც მოწყობილია თანახმად სასტამბო ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვისა. „კომუნისტი“-ს სტამბაში გამოიკვლევენ ლინოტიპებზე, სტერიოტიპებზე და საროტაციო მანქანებზე მუშაობის პირობებს, როგორც მაგალ., ტყვიის დნობის პროცესი და მისი აორთქლება, აორთქლებაში შემავალი საწამლავები, ამტვერება და სხვ.

ბამბა

საქართველოს საბამბო კომიტეტის მიერ წარმოკავშირთან დადებულ გენერალურ ხელშეკრულების ძალით, 1925—26 წელში განზრახული იყო დათესილიყო 5.700 დეს., ამას გარდა 109 დესეტინა უნდა დაეთესა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს. სულ საქართველოში უნდა შეგროვილიყო 209.600 ფუთი ბამბა.

ბამბის აკრეფის დროს გამოირკვა, რომ აღნიშნული რაოდენობა ვერ იქნებოდა შეგროვებული; განსაკუთრებით ნაკლები მოსავალი იყო დასავლეთ საქართველოში; სულ შესყიდულ იქნა 147.156 ფუთი ბამბა, ე.ი. გეგმა შესრულებულია 70,2 პროც. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს, უმთავრესად, ბამბის შესყიდვა მაღალ ფასებში კერძო ვაჭრების მიერ და აგრეთვე ნაკლები მოსავლიანობა საერთოდ.

პირველი ხარისხის ბამბა მოსალოდნელი იყო 65 პროც., ფაქტიურად კი მიღებულია 74,45 პროც.; მაღალი ხარისხის ბამბის რაოდენობის გადიდება მოხდა დაბალი ხარისხის ბამბის რაოდენობის შემცირების ხარჯზე.

ამერიკულ თესლიდან მიღებულ ბამბაზე აღმოსავლეთ საქართველოში დაწესებული იქნა 4 მანეთი 85 კაპ. ფუთზე, დასავლეთ საქართველოში კი—3 მან. 97 კაპ., ნედლი ბამბის გადამუშავების დროს მიღებული იქნა 44.700 ფუთი ძაფი, 99.000 თესლი და 300 ფუთი ლინტერი.

მებამბეთათვის ავანსების მიწოდება და მთელი მოსავლის შესყიდვა, ხელშეკრულების თანახმად, ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრალური ორგანოების საშუალებით, მაგრამ ეს კამპანია კოოპერაციის მიერ სუსტად იქნა ჩატარებული, რის გამო ბამბის დიდი ნაწილი ხელში ჩაუვარდა კერძო პირებს. კამპანიის ბოლოს კოოპერაციაზე დარჩა დავალიანება, რომელიც წინანდელი სეზონის ნარჩენთან ერთად უდრის 237.865 მანეთს; აქედან 157.000 მანეთი ითვლება უშუალოდ გლეხებზე, საეჭვოა რომ ეს თანხა დაბრუნებულ იქნეს, რადგან დავალიანებულ გლეხების მეურნეობა ღარიბია.

მებამბეთათვის საქონლის მიწოდება ხდებოდა კოოპერაციის საშუალებით; სეზონის განმავლობაში მებამბეების რაიონში შეტანილი იქნა 146 ვაგონი ხორბალი და 273.000 მეტრი მანუფაქტურა.

ს. მ. უ. საბჭოში

არალიკვიდური ქონება

ს. მ. უ. საბჭომ [illegible] ყველა ტრესტებს, 1-ლ ნოემბრამდე განაცხადონ მათ განკარგულებაში გადასული არალიკვიდური ქონება; წინააღმდეგ შემთხვევაში ტრესტებს ჩამოერთმევათ ყველა დარჩენილი არალიკვიდური საქონელი.

ახალი განყოფილება

ს. მ. უ. საბჭოსთან არსდება სათბობ მასალების მომარაგების განყოფილება.

ა.-კ. სას. სამეურ. ბანკში

აგრონომების მოწვევა

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მოიწვია სპეციალისტი აგრონომები, რომლებმაც უნდა გამოიმუშაონ სოფლის მეურნეობაში კრედიტის ბრუნვის ვადები.

გამორკვეული იქნება რა ვადებშია საჭირო კრედიტების გაცემა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების საჭიროებისათვის და რა ვადებში შეუძლია სოფლის მეურნეობას ამ კრედიტების დაბრუნება.

კამპანია ანაბარების მნიშვნელობის შესახებ

თელავის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა შეუდგა კამპანიის ჩატარებას ანაბარების მნიშვნელობის შესახებ. სასოფლო საბჭოებში იმართება სპეციალური მოხსენებები; მიღებულია დადგენილებები, რომ გლეხობას განემარტოს ანაბარების მნიშვნელობა, რათა ისინი დარწმუნდნენ თავისუფალი თანხების საკრედიტო ამხანაგობებში მოთავსების აუცილებლობაში.

მოტო-გადარბენა

გუშინ, დილის 10 საათზე დაიწყო მოტოციკლების გადარბენა თბილის-გროზნოს შორის. გადარბენაში მონაწილეობას იღებს 15 მოტოციკლეტი, შემდეგი ფირმების მანქანები: ამერიკული. „ხარლე“, „დევიტსონ“, „ინდიან“, „პრემიერი“. ინგლისური: „ხარტონ“, „ჯემსი“, „ტრიუმფი“. გერმანული: „დორქე ვერკე“.

გადარბენის საერთო სიგრძე უდრის 750 კილომეტრს. გადარბენის მარშრუტია: თბილისის-კავკავი-გროზნო; გროზნო-კავკავი-თბილისი.

3 ოქტომბერს გროზნოში გაიმართება მოტოციკლების საერთო შეჯიბრება. გადარბენის მონაწილენი თბილისში ჩამოვლენ 5 ოქტომბერს ნაშუადღევის 3 საათზე.

გადარბენა მოწყობილია თბილისის ავტო-კლუბის ინიციატივით. კომანდორად დანიშნულია მოტოსექციის მდივანი ამხ. ახმეტელი.

კავკავი, 1 ოქტომბ. (საკუთარი კორესპონდენტისაგან) პირველი მოტოციკლეტი მოვიდა 8 საათსა და 40 წუთს, უკანასკნელი—6 საათზე. გზაში დარჩა 2 მანქანა. გადარბენას განაგრძობს 12 მოტოციკლეტი. შეხვედრას ბევრი ხალხი დაესწრო, შეგვეგებენ მუსიკით. მანქანები კარგ მდგომარეობაში არიან. მონაწილენი კარგად გრძნობენ თავს. გროზნოში გავემგზავრებით ხვალ დილის ათ საათზე.

1904 წელში დაბადებულთა გაწვევა

პირველი დღე

საერთო სურათი

გუშინ დაიწყო 1904 წ. დაბადებულთა გაწვევა წითელ ჯარში.

თბილისის გასაწვევ წერტილის ეზო დილიდანვე გაივსო გაწვეულ ახალგაზრდებით. ისმის ხმა-მაღალი ლაპარაკი, სიცილი, ოხუნჯობა. მოწყენილს იშვიათად შეხვდებით, ახალწვეულნი თავის რიგის მოლოდინში ირთობენ თავს სიმღერა - ცეკვით. ზოგს წამოუღია სახლიდან წიგნი და კითხვით იმოკლებს ლოდინს.

წესრიგის დასაცავათ სდგანან წითელი არმიელები, მაგრამ ახალგაწვეულნი არ საჭიროებენ დამრიგებლებს, თვითონ იცავენ წესრიგს საუცხოვოდ. თუ კი გამოჩნდება მთვრალი, ან მოყვირალი აყალ-მაყალის, ახალწვეულნი მაშინვე მიუჩენენ მათ სათანადო ადგილს.

პირველ ოთახში მოწყობილია სააგიტაციო პუნქტი, მორთული პლაკატებით და შესაფერ ლოზუნგებით. მაგიდებზე მოიპოვება გაზეთები და ბროშურები ყველა ენაზე. არის აქვე საცნობო მაგიდა, სადაც მორიგეობენ პოლიტხელები. გასაწვევთ შეუძლიანთ მიიღონ ცნობები შეღავათებზე, ოჯახების დახმარებაზე და ყოველ საკითხებზე, რომლებიც ეხება გაწვევას. ამ ოთახში გაიგონებთ ასეთ ლაპარაკს:

— თქვენ, ამხანაგო, უშეღავათო ხართ?

— რათ მინდა შეღავათი, მარცხენა ხელით შემიძლია ათი ფუთი ავწიო. უკეველათ არტილერიაში მოვხვდები, თუ ზომაში მოვედი.

— ნახე, ჩვენი მეეტლეც აქ არის. ეგ ზედგამოჭრილია ცხენოსან ნაწილისათვის, ცხენების მოვლა კარგათ იცის.

რკინისგზელები ცალკე იყვანებიან აღრიცხვაზე. ისინი გაიგზავნებიან ჯავშნოსან ნაწილებში, მათ იციან ზეინკლობა და იცნობენ სხვადასხვა მანქანებს.

ვინც იცის რაიმე ხელობა, მაგალითად დურგლობა, ზეინკლობა, ან ვისაც უმუშნია რაიმე ქარხანაში, კავშირზე — წინდაწინვე აცხადებენ ამას და მათ გზავნიან შესაფერ ნაწილში სპეციალობის მიხედვით.

საექიმო კომისია

ახალწვეულნი, პირადი ბარათის შევსების შემდეგ, იგზავნება საექიმო კომისიაში ჯანმრთელობის შესამოწმებლად. შემოწმება ჯანმრთელობის ხდება დაკვირვებით, რათა წითელი ჯარის რიგებში არ მოხვდენ ავადმყოფნი. არის შემთხვევა, რომ ახალწვეულნი მალავდენ ავადმყოფობას, რათა მოხვედრილიყვნენ წითელ ჯარში.

შემოწმების შემდეგ, თუ კი ახალწვეული ცნობილ იქნა სრულიად ვარგისად სამსახურისათვის, იგი - იგზავნება დასანიშნად შესაფერ ნაწილში.

ახალწვეულებს უფრო იზიდავს ცხენოსანი ნაწილი და არტილერია. სწყინთ, როდესაც კომისია გზავნის მათ ფეხოსან ლეგიონში.

ი—ა.

შვებულება ახალწვეულებს

ის ახალწვეულნი, რომელნიც მიიღებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში საკადრო ნაწილების შემადგენლობაში, მიღების შემდეგ გამწვევი კომისიების მიერ, გაიშვებიან მოკლე ვადიან შვებულებაში შინაური საქმეების მოსაწესრიგებლად 3—დან 15 დღემდი, რის შემდეგაც ისინი გამოცხადდებიან შესაკრებ წერტზე და გაიგზავნებიან თავიანთ ნაწილებში.

შესაკრებ წერტზე გამოცხადების დროიდან ისინი ჩაირიცხებიან სურსათის კმაყოფაზე სახელმწიფოს ხარჯზე.

ინგლისის მემაღაროეთა დელეგაცია

დღეს საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვა ინგლისის მემაღაროეთა დელეგაცია 10 კაცის შემადგენლობით და ინგლისის სამთამადნო მუშების ცოლთა დელეგაცია 6 ქალის შემადგენლობით.

მემაღაროეთა დელეგაციის თავმჯდომარეა ნოტინგამშირის სამთამადნო მუშების ფედერაციის თავმჯდომარე — **ვალ კოლემანი,** ქალთა ჯგუფს კი მეთაურობს ინგლისის მემაღაროეთა ფედერაციის მდივან კუკის ცოლი — **ანნა კუკ.**

მემაღაროეთა დელეგაციაში შედიან: **ჯონს ემერი, კოლმენ ჰოლგ, უოლტონ, ბრეტჩ, გაუნლი, სმიტ სუგენ და ლეიტხემ;** უმეტესობა ძველი მემაღაროებია, რომლებიც რამოდენიმე ათეული წლები მუშაობენ მაღაროებში.

ქალთა ჯგუფში შედიან: **ანნა კუკ, ანნა ედიშოუ, ჩესტერ, ჯონსონ, ერინგტონ და სტივენს.**

მემაღაროეთა დელეგაცია თვეზე მეტია, რაც იმყოფება საბჭოთა კავშირში. დელეგაციამ დაათვალიერა საბჭოთა კავშირის მთელი რიგი მსხვილი სამრეწველო ცენტრები, სადაც მას ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდნენ.

დელეგაცია თბილისში დარჩება რამოდენიმე დღე.

შრომის ეკონომიკა

სახ. მრეწველობის თვითღირებულების შემცირების მიზნით, ს. მ. უ. ს. მიერ დაეგზავნათ მიწერილობები ყველა ტრესტებს და შენაერთებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წარმოებაში შრომის ეკონომიკას და საქმის რაციონალურ ნიადაგზე დაყენებას.

ტრესტებს და შენაერთებს მიეცათ წინადადება მიიღონ სათანადო ზომები საწარმოო აპარატის გასაუმჯობესებლად და შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად.

ქარხნების აშენება

მარელისში

მარელისში გრეხილ ავეჯეულობის ქარხნის აგება წარმატებით მიმდინარეობს. უკვე დასრულდა საფირფიცარო განყოფილების მოწყობა. სახერხ განყოფილებაშიც შეუდგენ მუშაობას და სწარმოებს რცხილის მორების ხერხვა.

მიღებულია ახალი სახუროთმოძღვრო მანქანები, რომელთა გამოცდამაც სასურველი შედეგები მოიტანა.

შამგონში

შამგონში სახერხი ქარხნის აგებას ძლიერ უშლის ხელს წვიმიანი ამინდი.

ქარხნის კედლები აყვანილია ნახევრამდე. მოტანილია ლოკომობილი, რომელიც უკვე ამუშავდა.

ხილი

საქ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა შეუდგა საექსპორტო ხილის დამზადებას ქართლ-კახეთში. ხილის შესყიდვა სწარმოებს ძირითად კოოპერატიულ ქსელების საშუალებით. ხილის ექსპორტი რუსეთში უკვე დაიწყო. სექტემბერში გაიზიდა 10.000 ფუთი ხილი უმთავრესად ვაშლი და ატამი.

ამჟამად საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს დაამზადოს დამატებით 70.000 ფუთი ხილეულება რუსეთის ბაზრისათვის.

ნაწლავების დამზადება

თბილისის ბაზარზე ხორცის დიდი მოთხოვნილების გამო „მწყემსი“-ს საზოგადოება ყოველკვირეულად კლავს 1000 თავ საქონელს. ახლო მომავალში მოსალოდნელია ამ რაოდენობის გადიდება. აქამდე თითქმის უსარგებლოდ ფუჭდებოდა საქონლის ნაწლევები. ამის გამო აღიძრა საკითხი ნაწლევების ქარხნის მოწყობის შესახებ. ქარხნის გახსნა უკვე გადაწყვეტილი აქვთ „სოფლის კავშირი“-სა და „მწყემსი“-ს გამგეობას.

ქარხანა გაიხსნება თბილისის საქონლის სასაკლაოსთან და დაამზადებს ნაწლევებს როგორც ადგილობრივ, ისე დანარჩენ კოოპერატიულ გამსაღებელ პუნქტებისათვის.

წინასწარი მუშაობა ქარხნის მოსაწყობად დაიწყება ახლო ხანში.

სოღანლუღის ველის მორწყვა

წყალთა მეურნეობის სამმართველო შეუდგა წინასწარ გამოკვლევას სოღანლუღის ველის მოსარწყავათ.

მთავარი არხი გაივლის სოღანლუღისა და ალგეთის ველებზე და მორწყავს დაახლოებით 10 ათასამდე დესეტინა მიწას. წყლის გადმოშვება განზრახულია მდინარე ალგეთიდან, რომელსაც არხით შეუერთებენ კუმისის ტბას. კუმისის ტბიდან გაყვანილი იქნება ე. წ. განმანაწილებელი არხები.

გერმანელი ინჟინრები

გუშინ კახეთში გაემგზავრენ გერმანული ფირმის „მენკ უნდ ამბროგ“-ის რწმუნებული ინჟ. დიუნზინგი და წყალთა მეურნეობის სამმართველოს ინჟინერი მჭედლიშვილი.

მათი კახეთში წასვლის მიზანია დაათვალიერონ ალაზნის ველი და შემოწმონ აღნიშნულ ველზე არხების გასაყვანათ რა ტიპისა და კონსტრუქციის ესკავატორები და მიწის მთხრელი მანქანები იქნება საჭირო.

წყალთა მეურნეობის სამმართველოს განზრახვა აქვს შეიძინოს მიწის რამოდენიმე მექანიკურათ მთხრელი მანქანა და ესკავატორები.

მეფუტკრეობა

უკანასკნელი დროის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა დიდ ინტერეს იჩენს მეფუტკრეობისადმი. ამას ამტკიცებს, როგორც მეფუტკრეობის მეურნეობათა რიცხვის ზრდა ომის წინა ხანებთან შედარებით (1925 წელში იყო 10.000 მეფუტკრეობის მეურნეობა, 1913 წელში კი—5.000), ისე მოსახლეობის შეკავშირებულად მიდგომა მეფუტკრეობის კულტურის გაუმჯობესებისადმი; საქართველოს 6 მაზრაში უკვე არსებობს სპეციალური მეფუტკრეობის კოოპერატივები.

მეფუტკრეობის რაციონალიზაციისათვის საჭიროა სათანადოთ მოგვარებული იქნეს მეფუტკრეობის ინვენტარის მიწოდების საკითხი.

საქართველოში ამჟამად არსებული სახელოსნოები ყოველდღიურათ ამზადებენ 1.000-მდე სკებს, რაც სავსებით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას; ფიჭის საკითხი კი უფრო მწვავეთ სდგას, რადგან მისი დამზადება, გარდა თბილისისა, არსად არ სწარმოებს.

რაციონალური მეფუტკრეობა კი წარმოუდგენელია სკებისა და ხელოვნური ფიჭის გარეშე.

ამის გამო საქართველოს საგეგმო კომისიის აზრით, იმ თანხებიდან, რომლებიც გადადებულია სოფლის მეურნეობისათვის გრძელვადიანი კრედიტის მისაცემად, გამოყოფილი უნდა იქნეს განსაზღვრული თანხები მექანიკური სახელოსნოების მოსაწყობათ; ამ სახელოსნოებში უნდა დამზადდეს სკები და ხელოვნური ფიჭა.

განზრახულია ორი ახალი სახელოსნოს მოწყობა ქუთაისის და სიღნაღის მაზრებში; ორივე ამ სახელოსნოს მოწყობა დაჯდება 31.320 მანეთი. თვითეული სახელოსნო ყოველწლიურად დაამზადებს 1.500—2.000 სკას და 50 ფუთ ხელოვნურ ფიჭს.

ამას გარდა განზრახულია ახალი მანქანების შეძენა და არსებული სახელოსნოების მოწყობილობის გაუმჯობესება ,რაც დაჯდება 8.680 მანეთი; ეს სახელოსნოები ყოველწლიურად დაამზადებენ 2.500 სკას.

კვირას, ოქტომბრის 3-ს. ქ. თბილისში მოწვეულია გაზ. ,,ახალი სოფელი‘‘-ს

გლეხკორების მეორე ყრილობა

დღის წესრიგი

1. საერთაშორისო მდგომარეობა	მომხ. ამხ. შალვა ელიავა
2, გლეხკორთა მოძრაობის ძირითადი ამოცანები	მომხ. ამხ. გ. მუშიშვილი
3. პროკურატურა და გლეხკორები	მომხ. ამხ. ი. ვარძიელი
4. კედლის გაზეთი და მისი მნიშვნელობა	მომხ. ამხ. იმედაძე
5. ,,ახალი სოფელი‘‘-ს რედაქციის მოხსენება	
6. მიმდინარე საკითხები	

ყრილობას დაესწრებიან ის გლეხკორები, რომლებიც მიიღებენ რედაქციისაგან მოსაწვევ ბარათს და სამგზავრო ფულს.

ყრილობა გაიხსნება გლეხთა სასახლეში, დღის 12 საათზე.

ნ. 1837 3—1

ქრონიკა

მიწვევა ლონდონის გამოფენაზე

ამ ახლო ხანში ლონდონში იმართება საექიმო ხელსაწყო-იარაღების გამოფენა, სადაც იწარმოებს ყველა ქვეყნებში დამზადებულ საექიმო იარაღების გამოცდა.

გამოფენის სამდივნომ მოწვევის ბარათები დაუგზავნა ყველა ქვეყნების მთავრობებს. გამოფენაზე მიწვეული არიან აგრეთვე საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლები.

ინჟენრების კომისია

გუშინ თბილისში ჩამოვიდა მოსკოვიდან ინჟენრების კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გაეცნოს ჩვენში საბინაო ალმშენებლობის საქმეს.

დღეს კომისია ესტუმრება მუშათა საბინაო ალმშენებლობის დამხმარე კომიტეტს.

კომისიაში შედიან ინჟენერი—**ჩერეზოვ, პლოტნიკოვი, რიმმერი და ბოროვსკი.**

შეღავათი საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებს

თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა გაანთავისუფლოს საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობების ყველა სახლები საამორტიზაციო ანარიცხებიდან 5 წლის ვადით, იმ პირობით, რომ ეს თანხები საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობების გამგეობების მიერ მოხმარდება სახლების რემონტს.

კიდევ ერთი ქარხანა

ს. მ. უ. საბჭომ ცნობა მიიღო მოსკოვიდან, **რომ საკავშირო ს. მ. უ. ს. მიერ გადადებულია 400.000 მანეთი საქართველოში ახალი აბრეშუმის ამოსახვევი ქარხნის აგებათ.**

ქარხანაში უნდა დაიდგას 150 ამოსახვევი მანქანა.

ქარხნის ასაგები ადგილის ამორჩევა და ტეხნიკური ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს საქ. ს. მ. უ. ს.

თბ. აღმასკომში

— **მზადება აღწერისათვის.** თბილისში აღწერის ჩასატარებლად დაახლოებით იმუშავებს 800 კაცი.

— **გამოკვლევა.** ჯანმრთელობის განყოფილებამ დაამთავრა სამკურნალოების გამოკვლევა.

— **აბანო.** კომუნალური განყოფილება შეუდგა № 3 აბანოს გაფართოებას.

— **ქუჩების მოსაკირწყლავად** დამდეგ საბიუჯეტო წელში დაიხარჯება 60.000 მან.

— **ქალაქის განაპირა უბნებში ტყეების მოსაშენებლად** გადაიდო 36.000 მან.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— **სავადმყოფო.** ახალციხის სავადმყოფოსთან ეწყობა ელექტრო-სხივებით საექიმო კაბინეტი.

— **პროფსნეულების შემსწავლელი** პოლიკლინიკა გაიხსნება ოქტომბრის შუა რიცხვებში.

— **ლონდონში** ახლო მომავალში იხსნება საექიმო-სამკურნალო მსოფლიო გამოფენა, რომელზედაც საქ. ჯან. კომისარიატი გზავნის თავის წარმომადგენელს.

მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატში

— **არგვეთის სახალხო მამულში** განზრახულია მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

— **მიწად-მოწყობის განყოფილებასთან** 1926—27 საბიუჯეტო წლიდან მოეწყობა საახალშენო საქმის მომწესრიგებელი ნაწილი.

— **სასოფლო და სატყეო** მეურნეობის საჭიროებისათვის 1926—27 წ. ხარჯთ-აღრიცხვით გადადის 5.134.870 მან.

სხვა და სხვა

— **აღწერა.** მთელ რესპუბლიკაში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა აღწერის ჩასატარებლად.

— **ბავშვთა ბაგა.** რკინისგზელების ბავშვებისათვის რკ. გზის საავადმყოფოსთან ეწყობა ბაგა.

შემთხვევები

— **ეტლის ქვეშ.** პლეხანოვის გამზირზე ეტლმა გაიტანა 2 წლის ბავშვი სუტა ავეტისოვი. მეეტლე ბაგდანოვი შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 30 სექტ. გაქურდეს ისმაილ ჯაფაროვის ბინა.

— ამავე დღეს რიყის ქ. № 67 გაქურდეს ნიკ. მათიაშვილის ღვინის სარდაფი.

— „ტირ“-ი-დან პლეხ. გამზ. № 120 ღამით 30 სექტ. მოიპარეს ელექტრო-მრიცხველი.

ხელოვნების ქრონიკა

— **კონცერტი.** ოპერის თეატრში დღეს გაიმართება დიდი კონცერტი-საღამო ოპერისა და დრამის მსახიობთა მონაწილეობით.

— **სამხატვრო** აკადემიაში ხვალ გაიხსნება ამავე აკადემიის მოწაფეთა სურათების გამოფენა.

— **სახელმწიფო კონსერვატორიაში** განცხადების მიღება შეწყდა. გამოცდები დამთავრდება 15 ოქტომბრამდე.

— **ავლაბრის სახელმწიფო მუსიკალურ სკოლაში** სწავლა დაიწყო 1 ოქტომბრიდან. ვიოლინის (სკრიპკის) და ვიოლონჩელოს კლასებში განცხადებათა მიღება გაგრძელებულია 5 ოქტომბრამდე.

— **ვ. სარაჯიშვილის სახელობის კლუბში** დღეს მიდის კინო: „თავდასხმა ვირგინიის ფოსტაზე“.

რკინის გზეზე

შპალების დამზადება

ამიერ-კავკასიის ფარგლებში 1925—26 წლისათვის დამზადებულ იქნა 900.0000 ცალი შპალი.

ამ რაოდენობიდან, ა.-კ. რკ. გზების ხე-ტყის დამმუშავებელმა განყოფილებამ დაამზადა 414.000 ცალი, რესპუბლიკების მიწად-მოქმედების კომისარიატებმა და ს. მ. უ. საბჭოებმა—426.000 ცალი და დანარჩენ ორგანიზაციებმა—60.000 ცალი.

ვაგონების გადავარდნა

30 სექტემბერს საღანლუღ-სანდარის შუა ხაზის გაფართოების გამო, გადავარდა ერთი ვაგონი საბარგო მატარებლისა. ვაგონი ამოიღეს ადგილობრივი ძალებით.

ამ შემთხვევის გამო, ხაზი დაკეტილი იყო დღის 2 საათიდან—საღამოს 6 ნახ. საათამდე.

— ამავე დღეს სადგურ არარატში მატარებლის მიმოროხების დროს ლიანდაგს გადასცდა ერთი ამერიკული ვაგონი. მის ამოსაღებათ ერევნიდან გამოიძახეს ზეინკლები.

უბედურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

ღორის ხორცი

გასულ წლებში ცუდათ იყო დაყენებული ბაზარზე ღორის ხორცის ოპერაციის საქმე. ღორის ხორცის ოპერაცია უმთავრესად ხელში ჰქონდათ ჩაგდებული კერძო პირებს.

მიმდინარე საოპერაციო წლიდან საზ. „მწყემსი“-ს გამგეობას განზრახვა აქვს თვით აიღოს ხელში ეს საქმე და რაც შეიძლება გააფართოვოს აღნიშნული ოპერაცია. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ღორების შესყიდვას. 1927 წლის 1-ლ იანვრამდე თბილისის გამსაღებელმა პუნქტმა უნდა დაამზადოს 12.000 ფუთი ღორის ხორცი. ღორები შესყიდული იქნება აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. ხორცი გასაღდება კოოპერატივთა გამსაღებელ პუნქტების საშუალებით.

აღნიშნულ ოპერაციას მეორეს მხრივ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ბაზარზე მომავალში იქნება მუდამ მტკიცე ფასები ღორის ხორცზე.

„სამშენი“

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა სააქციო საზ-ბა „სამშენი“-ს თავმჯდომარის ამხ. **იორამაშვილის** საინფორმაციო მოხსენება.

მოხსენების გამო პრეზიდიუმმა აღნიშნა: 1. საზოგადოებამ საკმაოდ ვერ დაიპყრო საალმშენებლო ბაზარი; 2. სამუშაოებზე დაწესებულია მაღალი ფასები, რაც ხელსაყრელი იყო კერძო მოიჯარადრეებისათვის; 3. „სამშენს“ შეთანხმებული არ აქვს მთელი რიგი საკითხები საალმშენებლო დარგის მუშების კავშირთან.

საზ-ბა „სამშენი“-ს სამოქმედო ბაზის გაჯანსაღების და გაფართოების მიზნით, პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო მიღებული იქნეს ზომები სამუშაოების ფასების დასაკლებად.

საჭიროთ იქნა ცნობილი შინაური წესრიგის შემოღება სამუშაოებზე, სპეც-ტანისამოსის გაცემა სათანადო ნორმით და სხვა.

მუშაობის დაწყებისას კავშირმა და საზ-ბამ უნდა დასდონ ხელშეკრულება და გამომუშავებული უნდა იქნეს ძირითადი სამუშაოების ფასი.

ეთხოვოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას, რომ კერძო მოიჯარადრეები არ გამოდიოდენ სხვადასხვა ორგანიზაციების საწინდარის და მფარველობის ქვეშ, სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის მინიჭებულ შეღავათების მიღების მიზნით. ამავე მიმართულებით გაძლიერებული უნდა იქნეს კავშირის და საზ-ბის მუშაობაც.

ეთხოვოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას და პროკურატურას სასტიკი თვალყური ადევნონ იმას, რომ ყველა დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა შეასრულონ არსებული წესები საჯარო ვაჭრობის შესახებ ალმშენებლობის დარგში.

საზ-ბის საბრუნავი თანხები არ არის საკმარისი, რისთვისაც საჭიროთ იქნა ცნობილი მისთვის დახმარების გაწევა კრედიტების მიღების საქმეში.

სასამართლო

რკინისგზელთა საქმე

30 სექტემბრის დილის სხდომა

სხვა მოწმეებთან ერთად დილის სხდომაზე დაკითხულ იქნა მოწმე **იაკობაშვილი**, რომლის ჩვენება საინტერესოა იმ მხრივ, რომ მენიხრე მერაბიშვილს უთქვამს მისთვის, რომ მან (მერაბიშვილმა) აღმოაჩინა ბასიშვილის ანგარიშებში გამამართლებელ საბუთების დანაკლისი, ხოლო სათანადო აქტი ამის შესახებ შეუდგენია ერთი თვის შემდეგ, რაც უკანონობათ უნდა ჩაითვალოს.

30 სექტემბრის საღამოს სხდომა

30 სექტემბრის საღამოს სხდომაზე დაკითხული იქნა მოწმე **ნაკაშიძე** (მენიხრეა).

მოწმე ახასიათებს ბრალდებულ გოლოვატის და ამბობს, რომ ის მასთან სცხოვრობდა ბინაზე. ნაკაშიძეს გოლოვატისთან რამოდენიმეჯერ უნახავს ნიკოლოზ თევზაძე, რომელიც ამჟამად გაქცეულია. რის შესახებ ჰქონდათ მათ ლაპარაკი, მოწმემ არ იცის.

ნაკაშიძე აღნიშნავს, რომ საშემოსავლო ნაწილში ხშირად მოდიოდენ მოლარეები და ლაპარაკობდენ დიდხანს. ნაკაშიძე მათ შენიშვნას აძლევდა და უკრძალავდა განყოფილებაში ლაპარაკს. ამის შემდეგ ნაკაშიძე იქ დიდხანს აღარ დარჩენილა, ის სხვაგან გადაიყვანეს სამუშაოთ.

მოწმე ბრალდებულ დეკაპრილევიჩს ახასიათებს, როგორც სუსტ ადმინისტრატორს. ის ყველას ენდობოდა.

1 ოქტომბრის სხდომა

გუშინ დაკითხულ მოწმეთა შორის საინტერესოა მოწმე **აბელიშვილის, მაღნარაძის** და **კიკნაძის** ჩვენება.

მაღნარაძე (ქალაქის სადგურის ყოფ. უფროსი) ახასიათებს ბრალდებულ არსენ ქავთარაძეს, როგორც პატიოსან და ბეჯით მუშაკს; მას არასოდეს შენიშვნა არ მიუღია სამსახურში და ყოველთვის კეთილსინდისიერათ ასრულებდა თავის მოვალეობასო.

ბრალდებული თოფურია მან გადმოიყვანა აბაშიდან, როგორც **კარგი და გამოცდილი** მოლარე.

აბელიშვილიც ქავთარაძეს ახასიათებს, როგორც პატიოსან და მუყაით მუშაკს; მას ხშირად უხდებოდა ზედმეტი მუშაობა და ყოველთვის კეთილსინდისიერათ მუშაობდაო.

დეკაპრილევიჩის შესახებ ამბობს, რომ ის იყო თავის საქმის კარგი მცოდნე.

პროკურორის შეკითხვაზე უპასუხებს, რომ მოლარეებს ბევრი ჰქონდათ სამუშაო და ხშირად შეცდომებს უშვებდენო.

ბრალდებულ გოლოვატის შესახებ მოწმე ამბობს, რომ მენშევიკების დროს ის რაღაცაზე მოხსნეს სამსახურიდან, რისთვის მან არ იცის.

მოწმე კიკნაძე, რომელიც ქავთარაძესთან ერთად მუშაობდა გაუყოფელ სალაროში, ამ უკანასკნელს ახასიათებს, როგორც პატიოსან მუშაკს; მე მას ვენდობოდი,—აცხადებს მოწმე.

შემდეგ დაკითხული იქნა მთელი რიგი მოწმეები, რომელთა ჩვენებას ახალი არაფერი შეაქვს საქმეში.

მკვლელობა

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში დაიწყო მოქ. **რუბენ მაზმანოვის** საქმე. მას ბრალად ედება მოქ. ვასო ჩირაქიშვილის მოკვლა.

როგორც საქმიდან სჩანს, გასული წლის 17 დეკემბერს ჩირაქიშვილი მისულა მაზმანოვთან ფეხსაცმელების სახელოსნოში, სადაც მათ მოსვლიათ უსიამოვნება. შელაპარაკების შემდეგ ჩირაქიშვილი წასულა. მაზმანოვი მას დადევნებია და როდესაც დაწევია უსვრია მისთვის სამჯერ და მოუკლავს.

გვამის გასინჯვის შემდეგ ჩირაქიშვილს ტყვიის გარდა აღმოაჩნდა კიდევ დანით მიყენებული ჭრილობა.

მკვლელი ათი დღის განმავლობაში იმალებოდა, შემდეგ ის დაპატიმრებული იქნა სისხლის სამართლის მილიციის მიერ.

თავმჯდომარეობს ამხ. **ი. ზერიშვილი**, მსაჯულები—**ჯავახიშვილი და თურმანიძე**, პროკურორი—**აბაკელია**, დამცველი—**დიდებულიძე**.

გუშინ დაკითხული იქნა ბრალდებული რუბენ მაზმანოვი. თავის ჩვენებაში ის აცხადებს, რომ მას მოკვლა დაუპირა თვითონ ჩირაქიშვილმა, მაგრამ მან წაართვა მას რევოლვერი და მისივე იარაღით მოკლა.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

ფეხბურთი

„რუსკაბელ“—„ლენრაიონი“

მეხუთე და უკანასკნელი შეჯიბრი მოსკოველებთან თბილისის სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. ჩვენ არ ვიცით რისთვის დასჭირდა ფიზკულტურის თბილისის საბჭოს ასეთი უსუსური გუნდის გამოყვანა ძლიერი მოპირდაპირის წინააღმდეგ. ნუ თუ საკმარისი არ იყო სამი დამარცხება? რა შემატა „ლენრაიონის“ გამოსვლამ თბილისის სასპორტო სახელს? ფიზკულტურის საბჭო ხომ თავიდანვე დარწმუნებული იყო, რომ მარტო სასკანდალო შედეგით დამთავრდებოდა! ამის შემდეგ რა აზრით წავლენ აქედან ჩვენი მოსკოველი სტუმრები?

„რუსკაბელ“-ი, ალბად, წინდაწინვე გრძნობდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე. „ლენრაიონთან“ შეჯიბრში სტუმრები სუსტი შემადგენლობით გამოვიდენ. ოთხი ძირითადი მოთამაშის მაგივრად თამაშობდენ სათადარიგონი.

პირველი ტაიმი მათ ხუმრობით ჩაატარეს, მიუხედავათ იმისა, რომ ლენრაიონელები თავს არ იზოგავენ და ყოველ ღონეს ხმარობდენ, რომ გოლი გაეტანათ. მაგრამ მარტო უთავბოლო სირბილი ხომ არ კმარა! საჭიროა ტეხნიკა, გამოცდილება, რომელიც ლენრაიონს ჯერ არ აქვს.

იყო მომენტები, როდესაც ლენრაიონელები საკმაოდ მძლავრად უტევდენ მოპირდაპირეს, მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო წუთებში მათი ფორვარდები ვერ ახერხებდენ ბურთის მოხმარებას. მათ „პენდელიც“ ვერ გამოიყენეს.

პირველი ტაიმი არ იძლევა შედეგს.

თამაშის მეორე განყოფილებაში სურათი ერთბაშათ შეიცვალა. თამაშის დაწყებისთანავე მოსკოველების მიერ ერთხელ წაღებული ბურთი აღარ მოშორებია „ლენრაიონის“ ჭიშკარს.

მოსკოველების სასახელოთ უნდა ითქვას, რომ მათი ფორვარდები იშვიათად შეწყობილად და ლამაზად თამაშობდენ. მთელი ხავტაიმის განმავლობაში ისინი „ლენრაიონის“ „გოლში იჯდენ“ და ყოველხუთ წუთში გაჰქონდათ ბურთი.

შეჯიბრი დამთავრდა 8:0 მოსკოვის სასარგებლოდ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს **გუროვის** შესანიშნავი თამაში; რვა გოლიდან ექვსი მან გაიტანა.

ამრიგათ, „რუსკაბელმა“ თბილისში ჩაატარა ხუთი შეჯიბრი. აქედან ოთხი მოიგო (8:2, 7:0, 3:2 და 8:0) და ერთი ფრედ (2:2) გაათავა.

ლ—ი.

ნარევი

საქალაქო ტრანსპორტი ლონდონში

ლონდონის ქუჩებში მოძრაობის საშუალო სისწრაფე უდრის სულ 12 ვერსს საათში. ვინაიდან ავტომობილების რიცხვი თანდათან იზრდება, ექსპერტები წინასწარმეტყველობენ, რომ უახლოეს მომავალში სწრაფი მიმოსვლა ქუჩებში კიდევ უფრო დაბრკოლებული იქნება. ამრიგათ ქალაქს ძალაუნებურად უხდება მეტი ყურადღების მიქცევა მიწისქვეშა რკინის გზებისათვის. მიწისქვეშა გვირაბებში, სადაც მატარებლები მოძრაობაში მოჰყავენ ელექტრონის ენერგიის საშუალებით, მოძრაობა სწარმოებს 27 ვერსის სისწრაფით საათში; ის მატარებლები კი, რომლებიც პატარა სადგურზე არ ჩერდება, მოძრაობენ 36 ვერსის სისწრაფით საათში.

ლონდონში რკინის გზებსა და სხვა სახის საქალაქო ტრანსპორტში დაბანდებულია სულ 1 250.000.000 მანეთი; აქედან 820.000.000 მანეთი დახარჯულია მიწისქვეშა რკინის გზის ხაზების გაყვანაზე. მიწისქვეშა რკინის გზის თითეული ხაზი ქალაქს უჯდება 8.500.000 მანეთი. თითეულ 1½ ვერსზე წლიურად გადაჰყავთ 14.000.000 მგზავრი.

ცურვის სავალდებულო სწავლა

შვეციის მავრობამ გამოსცა განკარგულება, რომლის ძალით შვეციის ყველა მოქალაქეებმა (როგორც მამაკაცებმა, ისე დედაკაცებმა) უსათუოდ უნდა ისწავლონ ცურვა. სამსახურში შესვლის დროს მოხელეებმა და მასწავლებლებმა უნდა წარადგინონ მოწმობა, რომ მათ დაიჭირეს გამოცდა ცურვაში. ასეთივე მოწმობები უნდა წარადგინონ აგრეთვე უნივერსიტეტში შესვლის მსურველებმა.

ეს განკარგულება გამოწვეულია იმით, რომ წელს შვეციაში 400 კაცი დაიხრჩო ცურვის უცოდინარობის გამო.

საპოლიციო გამოფენა

25 ენკენისთვეს ბერლინში გაიხსნება მსოფლიოში უდიდესი საპოლიციო გამოფენა. გამოფენასთან ერთდროულად გაიხსნება პოლიციელთა სრულიად გერმანიის კონფერენცია, რომელმაც უნდა მოამზადოს ნიადაგი საერთაშორისო საპოლიციო კონგრესის და საერთაშორისო სისხლის სამართლის პოლიციის კომისიის მოსაწვევად. 26 სახელმწიფო კონგრესზე გზავნის თავის გამოჩენილ პოლიციელებს. კამათი კონგრესზე იწარმოებს გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენაზე.

იურიდიული რჩევა-დახმარება

როგორ უნდა მოვიქცე და ვის მივმართო

კითხვა

მე ვმუშაობ ჩემს სპეციალურ ხელობაზედ „დესიატნიკად“ 32 წელიწადი, მხოლოდ ეხლა 20 მაისიდან 1925 წლისა, საქართველოს წყლის მეურნეობაში. თბილისიდან განმაწესეს გორის მაზრაში ტირიფონის არხზედ. ვმუშაობდი ქარელში და სკრაში, ქვემო ჭალაში, მეჯვრის ხევში და ბერშუეთში. ერთი ადგილიდან მეორეზედ გადასვლის დროს მე არავითარ მივლინების და გზის ფულს არ მაძლევდნენ (მე ვემორჩილებოდი გორის მაზრის ინჟენერს ლიაძეს) ამას გარდა ჯამაგირს ვღებულობდი როგორც უფროსი მუშა იმ დროს, როდესაც ვასრულებდი თანამდებობას „დესიატნიკისას“, საწყობის გამგისას და ამავე დროს ვაწარმოებდი ჩემ საკუთარ მუშაობას. 1925 წ. 20 მაისიდან პირველ სექტემბრამდე ვღებულობდი 35 მან. 1925 წ. პირველ სექტემბრიდან 1 იანვრამდე კი 45 მანეთს და შემდეგ პირველ იანვრიდან დღევანდლამდე 51 მ.

გთხოვთ ამიხსნათ კანონით რამდენი მერგებოდა ჯამაგირი, მივლინებისა, საშუალოდ ერთ დღეში, და ზედმეტი ნამუშევრის ერთ საათში. ზედმეტი ნამუშევარი საშუალოდ მაქვს დღეში ოთხი საათი დაწყებული 1925 წლის 20 მაისიდან პირველ ივნისამდე.

ვარ კავშირის წევრი 1917 წლიდან (წიგნ. № 14/11940).

ტირიფონის მუშა.

პასუხი

ყოველგვარი დავა დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის წყდება შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის საშუალებით და თუ თქვენ არა ხართ კმაყოფილი თქვენი ხელფასის რაოდენობით, თქვენ უნდა მიმართოთ შემფასკომს სათანადო განცხადებით. რაც შეეხება მივლინების ჯილდოს თუ მივლინებას არ ჰქონდა სისტემატიური ხასიათი, ასეთი თქვენ უნდა მოგეცეთ **თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 81 და 82-ის და ამ.-კავ. შრომის სახკომატის 1925 წ. 30 აპრილის დადგენილება № 29-ის და იმავე სახკომატის 1923 წ. 25 აპრილის დადგენილება № 56-ისა.** თუ კი თქვენ მივლინებებს ჰქონდა სისტემატიური ხასიათი თქვენი პროფესიის მიხედვით მაშინ თქვენ უნდა მოგეცეთ, **თანახმად ა.-კ. შრომის სახკომატის 1925 წ. 30 აპრილის დადგენილება № 29-ისა მუხ. 13-ისა** ძირითად ხელფასთან მუდმივი დამატების სახით განსაკუთრებული ჯილდო, რომლის ოდენობა ისაზღვრება კოლექტიური ან შრომითი ხელშეკრულებით. ზედმეტი საათების სამუშაოსათვის მომუშავეს ეძლევა ჯილდო, **თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 60-ისა.** აღნიშნული ჯილდოს რაოდენობა არ შეიძლება იყოს ნორმალურ მუშაობის ჯილდოს ერთნახევარზე ნაკლები. (პირველი ორი საათების მუშაობისათვის) და არა ნაკლები ორმაგი ჯილდოსი შემდეგი საათებისა და კვირა-უქმეებში მუშაობისათვის.

ყველა ამ საკითების მოსაგვარებლად თქვენ უნდა მიმართოთ ადგილობრივ შრომის ინსპექტორს და შრომის სასამართლოს, თუ კი ადმინისტრაცია კუთვნილ ჯილდოს არ გაძლევთ ნებაყოფლობით.

როგორ მოვიქცე და ვის მივმართო?

კითხვა

მე ვარ უკიდურესი ღარიბი. გლეხის შვილი, რომელსაც არ გამაჩნია არავითარი საარსებო წყარო. ამასთანავე მოგეხსენებათ. რომ 1924 წელს დავიჭერი გურიაში მენშევიკურ ავანტიურისტ-ბანდიტების მიერ მარცხენა ხელში, რის მოწმობები მაქვს. ხელს სავსებით ვერ ვხმარობ და არ შემიძლია არავითარი ფიზიკური მუშაობის შესრულება.

მე, როგორც სამოქალაქო ომში დასახიჩრებული, ჩარიცხული ვარ ინვალიდების მეოთხე ჯგუფში, მაგრამ დახმარების არსაიდან ვერ ვღებულობ და როგორც ინვალიდი დაშვებული არ ვიქნები სამსახურზეც.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას. არსებობს თუ არა ისეთი კანონი რომლის ძალითაც ვალდებული გავხადო ის ავანტიურისტი, რომელმაც მე დამიჭრა და ვის მივმართო ამის შესახებ. ვარ ს. ა. ლ. კ. კ. წევრი 1923 წლიდან.

მიხეილ ცინცაძე.

პასუხი

უპირველეს ყოვლისა, თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 158-სა. თქვენ გაქვთ უფლება ზიანის მიმყენებლის წინააღმდეგ აღძრათ სისხლის სამართლის წესით ძიება და მოითხოვოთ მისი პასუხისგებაში მიცემა. მეორედ, თქვენ გაქვთ უფლება აღძრათ აგრეთვე მის წინააღმდეგ სამოქალაქო ძიება, **თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხ. 403 და 414-ისა,** და მოითხოვოთ სასამართლოს წესით მავნებლობის (ზიანის) მიმყენებლისაგან მიყენებული ზიანის საზღაური.

სალერბო გადასახადი დაბადების და გარდაცვალების მოწმობებზე დაიშვება თუ არა

კითხვა

მე ვმუშაობ საფეიქრო ტრესტში ფიზიკური შრომის მუშად, ვარ კავშირის წევრი. ცოლშვილი ქალაქში ბინის უქონლობის გამო სოფლად მყავს. ბავშვის სკოლაში მისაცემად მჭირდება მისი დაბადების მოწმობა. გთხოვთ განმიმარტოთ, ვარ თუ არა ვალდებული გადავიხადო სალერბო გადასახადი?

ფეიქარი ლუკა ქობ—ლია.

პასუხი

ყველა მუშა-მოსამსახურეთა, წითელარმიელების, უმუშევრების (ოჯახის მარჩენლების), სოციუზრუნველყოფაზე მყოფ პირთა ოჯახის წევრები სრულიად თავისუფალი არიან დაბადების და გარდაცვალების შესახებ ყველა პირვანდელი მოწმობები თავისუფალია სალერბო გადასახადებისგან. **(იხ. შინსახკომის ცირკულიარი № 3 1924 წ. 10 იანვრიდან. გამოქვეყნ. საქარ. ცაკის და სახკომსაბჭოს „მოამბე“ № 2 1924 წ. თვე თებერვალი).**

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 63.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა
სათემო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გარიგებათა, ხელშეკრულებათა და საბუთების შემოწმების შესახებ გამოცემული დადგენილების შევსების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისაგან სათემო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გარიგებათა, ხელშეკრულებათა და საბუთების შემოწმების შესახებ—1926 წ. ივნ. 22-ს თარიღითა და 44 №-ით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლს დაემატოს პ. „ვ“ შემდეგი შინაარსისა:

„ვ“ ხელშეკრულებანი ადგილობრივ საფოსტო ორგანოებსა და გლეხებს შორის ფოსტის გადაზიდვის შესახებ 3.000 მანეთზე არა უმეტესი თანხისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—**ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—**ს. თოდრია.**

დადგენილება

განათლების სახალხო კომისარიატისა
კერძო გამომცემლობათა ახალ რეგისტრაციაში გატარების შესახებ

1. ჩატარებულ იქნას ს.ს.ს.რ. ტერიტორიაზე არსებულ კერძო გამომცემლობათა პერერეგისტრაცია.
2. გამომცემლობათა რეგისტრაციაში გასატარებლად და დასამტკიცებლად სავალდებულოა წარდგენა ლიტერ. და გამომ. საქმ. მთავ. სამმართველოში (მთავარლიტში): ა) წესდების, ბ) ცნობების გამომცემლობათა ფინანსიური მდგომარეობის შესახებ და გ) გამომცემლობის დამფუძნებელთა სია.
3. როგორც აქამდე არსებული, ისე ახლად დასაარსებელი კერძო გამომცემლობანი უნდა გატარდენ რეგისტრაციაში მთავარლიტში ა.-წ. 15 ოქტომბრამდე.
4. დღემდე არსებული კერძო გამომცემლობანი, რომელნიც არ გატარდებიან რეგისტრაციაში აღნიშნული ვადის განმავლობაში, ჩაითვლებიან გაუქმებულად.

ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარი—**დ. კანდელაკი.**
ს.ს.ს.რ. მთავარლიტის გამგე—**ასათიანი.**
საქმეთა მმართველი—**ალ. მიქაბერიძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო კოლეგიის მორიგი სხდომა შესდგება სამშაბათს 5 ოქტომბერს, დილით 9 საათზე თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ლობჟანიძეს, რათა 21 ოქტომბერს გამოცხადდეს თბილისის კომიტეტში ამხ. ზუდილევთან.

ნიკოლოზ (კოლია) ნიკოლოზისძე წულუკიძე აუწყებს მეგობრებს და ნათესავებს ძვირფასი მეუღლის

ლიდია გრიგოლის ასული წულუკიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ქალ. 1 საავადმყოფოდან (ყოფ. არამიანცისა) შაბათს, 2 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 ნახ. ს.

3891 2—1

გამწარებული დები: ეკატერინე და ნინო და ძმა დათიკო გრიგოლის ძე და ასულნი ლობჟანიძეები, რძალი მაკრინე იოსების ასული ლობჟანიძისა აუწყებენ ნაცნობთ, მეგობართ და ნათესავთ პირველთათვის დაუვიწყარი ძმის და მეორის საყვარელ მაზლის

გიორგი გრიგოლის ძის ლობჟანიძის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება მიხეილის საავადმყოფოდან, ქუთაისში წასასვენებლათ სამშაბათს, 5 ოქტომბერს, ნაშუადღევის 5 საათზე.

1—1

ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე ფურცელაძე უძღვნის გულითად მადლობას თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის საფინგანს, აღმასკომის საბჭოთა სავაჭროთა მუშაკებს, ადგილკომს და ყველა იმ პირთ, რომელთაც გაიზიარეს მისი მწუხარება შვილის,

ელისაბედ (ბაბე) ნიკოლოზის ასულის ფურცელაძის

გარდაცვალებისა გამო.

2

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი მშობლები ზაქარია ივანეს-ძე და სოფიო გრიგოლის ასული ჩხიკვაძენი, ძმები გიგიშა, ელიზბარ და ბიძინა, ბიძა რომან გრიგოლის-ძე და დეიდა ეფემია გრიგოლის ასული პეტრიაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, ოქტომბრის 3-ს გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

ბაბო ზაქარიას ასული ჩხიკვაძე-ხერხეულიძის

გარდაცვალებიდან წლის თავის აღსანიშნავად ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. პანაშვიდი დაიწყება შუადღ. 1 საათზე.

8

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ტერეზია დიმიტრის ასული შვილებით: სერიოჟა, თამარა და შოთა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ტრიფონ ალექსის-ძე სულავა

დაკრძალვა მოხდება ქუთაისში კვირას, 3 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე საფირჩხიის სასაფლაოზე, პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6-ს საათზე. გელათის ქუჩა მეორე შესახვევი № 62.

6. 1

ქუთაისის საფინგანის თანამშრომლები ამით აცხადებენ, რომ 28 სექტემბერს ღამის პირველ საათზე ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათი ძვირფასი ამხანაგი, დაუღალავი და პატიოსანი მშრომელი ქუთაისის შემოსავალ-გასავლის სალაროს მოლარე

აკაკი ივანეს-ძე მენაბდე

ნის. 1

მიიღება ხელისმოწერა გაზ. „კომუნისტზე“ ოქტომბრისათვის

პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. **ხაშურში**—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისი**—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **ხონში**—განყ. გამგე ჩემიასთან—ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
5. **სამტრედია**—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. **სენაკი**—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. **აბაშა**—განყ. გამგე მიქაძესთან—ღ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. **ფოთი**—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. **ბათომი**—„კომუნისტი“-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის.
10. **ოზურგეთი**—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
11. **თელავი**—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
12. **სიღნაღი**—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
13. **ზუგდიდში**—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
14. **სოხუმში**—„კომუნისტი“-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
15. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—განყ. გამგე შიშნიაშვილი ესტატე
16. **ოჩემჩირი**—ვ. სოხელიას განყოფ. გამგეს
17. **სად. ბორჯომი**—ბორია ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა“ მაღაზიაში
18. **ბორჯომ-ბაღი**—იაშა ტერტეროვთან

6—1

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

0—1

აპოლო
არფასტო
სოლეი

დღეს და ყოველდღე საქ. სახკინმრეწვის
ახალი სურათი
ხანუმა
რეჟისორი—ა. რ. წუწუნავა
ოპერატორი—ს. პ. ზაბოზლაევი.

მთავარ როლებში: ე. ჩერქეზიშვილი, ტ. აბაშიძე, თ. ბოლქვაძე, ც. წუწუნავა, ს. ქოზეფი, ნ. ნაზარაშვილი, ქ. ქელაშვილი, ი. კორსუნსკაია, ვ. გუნია. კ. მიქაბერიძე, მ. ჭიაურელი, ლ. კავსაძე და ი. ტრაპაიძე,

სიმფონიური ორკესტრი და საზანდარი. სალარო ღიაა დღის 5 საათ. და 30 წ. 1833 0—16.

რუსთაველის თეატრის **საკონცერტო დარბაზი**
კვირას, 3 ოქტომბერს
გ. ა. პროზოროვსკის სიმღერების საღამო

შემსრულებლები: თამარ წერეთელი, სახელმწიფო ოპერის პრემიერები—ტ. გ. ბოკოვა, ნ. გ. ქუმსიაშვილი, პოეტი **ი. გრიშაშვილი** და ვიოლონჩელზე დამკვრელი **ქ. ნ. ჯანუმოვი.**

მუსიკალური შემსრულებელი—ბ. ა. პროზოროვსკი.

დასაწყისი სრულ 9 საათზე. | ბილეთები იყიდება.

1823 2—1

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო
ხაწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 548ტ5 —1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე ლენინის ქ. (ოლღის) № 49.

3574 ტელეფ. № 4—82

კვირას, 3 ოქტომბერს, დილის 10 საათ. თბილისის ქალაქის ლომბარდის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 8)
დანიშნულია
სააუქციონო გაყიდვა
ვადაგასულ გირაოებისა. გასაყიდ გირაოების ნომრები გამოკიდულია ლომბარდის დარბაზში. 1—1 ნ. 3

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა
წინადადებას აძლევს განცხადებათა შემკრებ ყოფილ აგენტს
ვასილ პატარაიას
გამოცხადდეს კანტორაში ანგარიშების გასასწორებლად ორი დღის განმავლობაში; წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება სათანადო ზომები.

ამასთანავე ერთად ცხადდება დაწესებულებების და ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ მოქ.

პატარაიაზე გაცემული მანდატები გაუქმებულია

და მთავარ კანტორის აგენტად იგი აღარ ირიცხება.

ქ. თბილისის მე-4 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი

აცხადებს, რომ ამა წლის 6 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, არტემ ჯალალიანცის საშაქარლამოში, მდებარე მალაკნების ქუჩაზე, სახლი № 6-ში, 1-ლ **საჯარო ვაჭრობით** ის გაყიდის ჯალალიანცის კუთვნილ შემდეგ ქონებას, შეფასებულს 205 მანეთად: ელექტროდენის მრიცხველი, შუშის სამი შკაფი, „ნალიჩნიკი“, კედლის პატარა შკაფი და, აგრეთვე, კაკაო, ყავა და ჩაი. უ.

ქ. თბილისის სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

ამით აცხადებს, რომ ის 7 ოქტომბერს 1926 წ. დღის 2 საათზე სახლში № 26, ნორაშენის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის აკოფ დავარაშვილის მოძრავ ქონებას: კედლის სარკე, კედლის საათი, კედლის ხალი (ნოხი) პატარა სასადილო შკაფი და სხვ. შეფასებულს 48 მანეთად, ალმასტ ხოჯაიანცის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 19 ივნისს 1926 წ. თარიღით, № 2086 და 3478 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3

გორის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი გ. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ 6 ოქტომბერს 1926 წ. დღის 10 საათზე ადგილობრივ ქ. გორში, ცხაკაიას ქუჩაზე დანიშნულია მოქ. მიხეილ ბესარიონის-ძე მერებაშვილის ქონების **საჯარო ვაჭრობა.** ქონება შეიცავს: ქვიტკირის შენობის ხილის საწყობს, სხვადასხვა ზომის ხილის ყუთებს, ყუთების დაჭრილ მასალას, ფიცრებს, სახლის ავეჯეულობას და სხვას სულ შეფასებული 2907 მან. 50 კ. სააქციონერო სატრანსპორტო საზოგ. „ტრანსპორტისა“ და სხვ. ვალის სანაზღაუროდ თანახმად გორის უბნის და სხვ. სასამ. აღმასრ. ფურც. და სასამ. ბრძანებისა. 1926 წ. ყველას ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის საჯარო ვაჭრობაში უნდა წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს აღმოსავლეთ საქ. ოლქის სანოტარო თანა-განყოფილების ცნობა, რომ არც თვითონ მას, არც მის მეუღლეს და არც მის არა სრულ წლოვან შვილს არა აქვთ იმ ადგილას რაიმე შენობა, და აგრეთვე უნდა მისცეს ხელწერილი, რომ არც თვითონ მას და არც ოჯახის ზემო-აღნიშნულ წევრს არა აქვთ შენობა რომელსამე სხვა ადგილას (სამოქ. კოდექსის, 82 მუხ.) 3867

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—9

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი

დაბრუნდა და განაახლა **შინაგან და ბავშვთა** სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ. 22—59, ნ. ღ.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბონ-მონდი“).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (ხომსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—2

ექიმი არსენ ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა ავადმყოფთ. და უწევს აგრეთვე სამეანო დახმარებას დღის 9—12 ს. საღამოს 4—6 საათამდე ლენინის ქ. № 35 3824 13—

პროფესორი მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა თბილისში

და განაგრძობს შინაგან ავადმყოფების მიღებას საღამოს 5 საათიდან 8 ს-მდე კვირა დღის გარდა. კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 7). 3755 13—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—1

ექიმი გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ 348ƨ 25—1

ექიმი ლ. ა. სარალიძე

დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს აბჭოთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87. 25—

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი ნ. პ. ფალიაშვილი

დაბრუნდა და განაახლა მიღება ყოველგვარ მედიკურ გამოკვლევების ანალიზები მიიღება მთელი დღე. პირადათ დილის 9 საათამდის და 5—7 საათამდე ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ექიმი ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

ექიმი-ქალი თოფურიძე-ფანიევა

იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.

მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

ექიმი ნ. მელიქიშვილი

დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება და სამშობიარო ამის (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დღისით 1—2. საღამოზე 4—6 საათამდე. 3896 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ ვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № [illegible] (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—

დავკარგე საბინაო დავთარი დავით ბარდაძეს სახელზე, მცხ. ლოტკის მთა № 331, ჩ. გ. 4

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 804, ელისაბედ გაბრიელის ასული ახსიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 7

დავკარგე მედსან-შრომის პროფკავშირის წიგნაკი № 1038, ვლადიმერ მგალობლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 9

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის პირადობის წიგნაკი ფორმა № 4, ისიდორ მალაქიას-ძე მანჯავიძის სახელზე, ჩ. გ. 11

დავკარგე სურსათ-გემოვნების პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 1828, ბარნაბა ეძგვერაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ნუსხა და წითელი არმიიდან მოცემული უვადო შვებულების მოწმობა შალვა კუხიანიძეს სახელზე, ჩ. გ. უფ.

დავკარგე პარტიის საკანდიდატო ბარათი № 2651, კაპიტონ ნიკიფორეს-ძე მათეთაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფილიპე სპირიდონის-ძე მიქაბერიძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 1

დავკარგე ლანირ-ქუტირის საბჭოს წევრობის მანდატი მოსე ლევანის-ძე ხობუას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1

დავკარგე პირადობის მოწმობა და სამხედრო ბარათი სილიბისტრო ელიასეს-ძე ფურცხვანიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1

დავკარგე პირადობის მოწმობა ოსმანდაროღლი სეჩერიაოღლი შუჩრონის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1

დავკარგე პირადობის მოწმობა სიფაიოღლი ლარიდენ ასანოღლი თეფეკის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1

დავკარგე პირადობის მოწმობა ალემდაროღლი იბრაგიმოღლი მუსტაფას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1

დავკარგე მეტრიკული მოწმობა ლიზა ხომასურიძეს სახელზე, ჩ. გ. 1

დავკარგე პირადი ნუსხა № 36, გაცემული ახალხიბულის სამხედრო მაგიდის მიერ პლატონ ჯღანჯღავას სახელზე, ჩ. გ. 5

დავკარგე პირადი წიგნაკი, გაცემული ბანძის სამხედრო მაგიდის მიერ, პლატონ ჯღანჯღავას სახელზე, ჩ. გ. 5

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4, მიხეილ სულამანიძეს სახელზე, ჩ. გ. 5

დავკარგე პირადობის წიგნაკი ფორმა № 4, სილიბისტრო გოგიას სახ. ჩ. გ. 5

დავკარგე პირადობის მოწმობა ვალიკო კისიშვილის სახელზე, ჩ. გ. 5

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68